ციცინა 1852

№8//2019

ლიტერატურულ –
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

რედაქტორ-სტილისტი
ქეთევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ქეთი გომართელი

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

როინ აბუსელიძე
გიორგი ალიბეგაშვილი
ივანე ამირხანაშვილი
ბაღათერ არაბული
ლაშა ბაქრაძე
ნაირა ბეპიევი
ლევან ბრეგაძე
გენრი დოლიძე
გურამ დოჩანაშვილი
ზვიად კვარაცხელია
ლანა მანველი
გაგა ნახუცრიშვილი
გიორგი სოსიაშვილი
მაია ტურაბელიძე

ჟურნალი გამოდის
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

სარჩევი

პოეზია

ლალი გულისაშვილი 3
ლექსები

პოეზია

თამუნა გელიტაშვილი 6
ლექსები

მცირე პროზა

დათია ბადალაშვილი 17
მინიატურები

თინა სიხარულიძე 23
მინიატურები

ივდით კუხიანიძე 36
მინიატურები

ესეისტიკა

მანანა ყიფიანი 39
რას გვამცნობს ზღაპარი?!

ზაზა აბზიანიძე 46
გზა ხარფუხიდან მთაწმინდამდე
(ი. გრიშაშვილი)

ინტერვიუ

თამაზ ტყემალაძე 54
მრავალსახეობა შემოქმედისა
(რაულ ჩილაჩავა)

ახალი თარგმანები

ზახარ პრილეპინი 60
ტყე
მოთხრობა
რუსულიდან თარგმნა
ტატა კოტრიკაძემ

არტრევიუ

იოსებ ჭუმბურიძე 75
შემოქმედის დაბადება
სამშობლოს სულიდან
(შტრიხები ანზორ ერქომაიშვილის
პორტრეტისათვის)

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: https://www.facebook.com/ciskari1852



ლალი გულისაშვილი

დედაჩემი

შემომიკეცე, შემომიკეცე
საბანი, დედაჩემო...
მე ავად ვარ,
წითელა მჭირს
და ჩემთვის ვმღერი:
„შემომიკეცე საბანი,
დედაჩემო,
შემომიკეცე...“

●

შენს ხსოვნას ისე ვუფრთხილდებოდი,
როგორც პირველად დაწერილ სტრიქონს,
ოდნავ უხეშს და ოდნავ სატირალს...
და მოვდიოდი შენს სამარესთან,
ჩაის ვარდებით მოტეხილ მკლავით
ჭრელი პეპლების გასაფანტავად...

აღარ გალობდა ჭრიჭინობელა,
ჭიამაიაც არ ჩანდა არსად,
ისე საოცრად მენატრებოდი...

●

გადადებული საჩუქარივით
უჯრაში ვკეტავ ჩემს სიყვარულს –
უკანასკნელს და ფრთებდამსხვრეულს.
უშენობა გამიჭირდება,

მაგრამ რა უჭირს,
გამოვძებნი რაიმე საქმეს
(თუნდაც, ხელსაქმეს).
ვქარგავ, ვკერავ, ზამთრისთვის მოვქსოვ
ჭრელი ჩიტებით მოხატულ შალებს...
საღამოობით მივაკითხავ ისეთ მეგობრებს,
რომლებსაც სულ არ ვენატრები,
მაგრამ მიტანენ,
რადგან არასდროს არ მაკვირვებს მათი სიბრიყვე...
გამიჭირდება უშენობა...
ვგრძნობ, უკვე მიჭირს.
სწორედ ამიტომ იწერება ახლა ეს ლექსიც,
უაზრო და არაფრისმთქმელი,
სწორედ ამიტომ ისე წავა მთელი ცხოვრება,
თითქოს მოცელილ ბალახებში მარხავენ ჩიტებს...

●

ავად ვიყავი, მახსოვს და დედა
მართობდა ჩემი დამტვრეულ ბატით...
ახლა ის ბატი ტახტზე აგდია,
ძველი სკივრიდან ამოქექილი
და სხივგამკრთალი ნათურასავით
ჭერზე ჰკიდია მოგონებები...
ხოლო კედლიდან დედის სურათი
გაკვირვებული თვალებით მიმზერს,
ეუცხოვება ჩემი ასაკი
და უკვდავება დამტვრეულ ბატის...

●

მოვდივარ შენთან და მუდამ მომაქვს,
წყალი და პურის მცირე ნაჭერი,
ძველი დარდი და ახალი ჭორი,
დაუმთავრებელ ლექსის სტრიქონი...
...მივდივარ გვიან და სახლში შესულს
სულს მათქმევინებს წყალი და პური,
რომელიც შენგან გამომყვა საგზლად...
მემსუბუქება ძველი დარდი და
მამხიარულებს ახალი ჭორი,
იმედიანად მთავრდება ლექსიც,
სევდიანად რომ დავიწყე დილას...

●

მეშინია, ზღვაში არ დაიხრჩო
და სანამ ჩამოხვალ,
მეჯავრება ზღვა.

მეშინია, დრომ არ მოგაწყინოს
ჩემი თავი
და სანამ მოხვალ, მეჯავრება დრო.

მეშინია, ვინმე ლამაზი არ შეგიყვარდეს
და სანამ გნახავ,
მეჯავრება ყველა ლამაზი.

შენ იცინი და გიხარია,
უაზროდ რომ მიყვარხარ.
მე კი მეჯავრება ყველაფერი უაზრო,
გარდა ჩვენი სიყვარულისა...

●

ჩვენს წინაპრებს უწინ
ჰქონდათ საოცარი,
კარის ეკლესია,
გვარის სალოცავი...

ეზოში ან ეზოს
ახლოს – ღმერთის ქნარი –
კარის ეკლესია
იდგა უჩინარი...

კარის ეკლესია,
გვარის სალოცავი,
წითელ კრამიტს შერჩა,
ხსოვნა საოცარი...

თამუნა გელიტაშვილი

•

რა უფლება მაქვს, მონაზონი
დავირქვა შენი,
თვალი თამამად გაგისწორო,
მწუხრის ლოცვისას შენზე ჩუმი
ფიქრი ვახელო,
რა უფლება მაქვს, დაგივარცხნო
თითებით თმები
ანდა პერანგის გაგისწორო
ლურჯი საყელო.

არ შემიძლია დავაბრუნო
თბილი დღეები,
იქ ფიქრი დამრჩა – უთქმელი და
ვერგამხელილი.
იქ წარსულია, იქვე დარჩა
შენი სახელიც,
ვარ მარტოდ მარტო ტაძრის
გარეთ დარჩენილი
კათაკმეველი.
ოდესღაც მისი ნათლობა რომ
დააგვიანეს,
არჩადენილი ცოდვებისთვის
დასაჯეს მხოლოდ,
ღმერთი ღმერთია, შენ
წყალობა გამოსთხოვე და
იქნებ გაიღოს მოწყალება

ბოლოს და ბოლოს.
ველარ ვერევი მონატრებას
შენი თვალების,
გადავიღალე...
მიკვირს, საწუთრო, შენი ვალი
რიღათი ვერ გადავიხადე?!
ველარ ვერევი მონატრებას,
მე დავიღალე...
არადა, ქარმაც შეისვენა –
ან როგორ გაძლო,
ოთხი დღეა, გამეტებით ბერავს
ნესტოებს,
ახლა კი, მგონი, შეეგუბა ორივე
ფილტვი,
წამით იყუჩა და აიღო ტაიმ-აუტი,
რა უფლება მაქვს, რომ
გინატრო,
შენზე ვთქვა კარგი, ანდაც აუგი.

რა უფლება მაქვს, მონაზონი
დავირქვა შენი,
თითებით თმები დაგივარცხნო,
თუნდაც პერანგის გაგისწორო
ლურჯი საყელო,
მე ვერსად წავალ, აქ დავრჩები,
ამ სიშორეში,
შენი სიცოცხლე შევავედრო
უნდა გამრიგეს
და როცა სული დამძიმდება
ძლიერი ცოდვით,
იმ ეკლესიას მივაკითხავ,
შენ რომ ამიგე!

●

ხანდახან მინდა, გადავიქცე
ბავშვობის თეთრი, მიამიტი
სიზმრის ნაწილად,
ყოველი დილა აღარ ჰგავდეს
ჩამონგრეულ მერცხლების
ბუდეს,
აპრილს ჟანგბადად ამოჰქონდეს
შოპენის ვალსი,
იასამნების ქოლგების ქვეშ
ტიროდეს ვაზი
და ძლიერ ქარში ხელგაშვებულ

ფერად ფრანივით,
ახლოდან ვგრძნობდე
ნაოცნებარ წვიმების
სურნელს.

ხანდახან მინდა, ხელმეორედ
დავიბადო,
მაგრამ სულ სხვაგან, სხვა
მიწაზე და სულ სხვა ცაზე,
იქ, სადაც მერცხლის ბუდეები
არ ინგრევიან,
სადაც ყველაზე იოლია ახდეს
ოცნება პატარა სახლის,
ბედნიერება სადაც მუჭში
მომწყვდეულია
და არ აშინებს მღელვარება
ძველის და ახლის.

ხანდახან მინდა, შევიშალო
დილის ნიავით,
მზის ნაფეხურზე ამოენთოს
ფერი თავთავის,
აისის ცაზე ფეხათრეულ
მთვარესავით ჩავუღიმილო
უცვლელ სამყაროს
და კიდევ ერთხელ შევიშალო
მისი თვალთვალით.

ხანდახან, თორემ რა გაუძლებს
ამდენ მოარულ ჭირთა თმენას,
სადაც მოწყენა დასტყობიათ
სახლის დარაბებს,
სადაც სამყარო ისე
დაბალჭერიანია,
ხშირად თავს ვურტყამ
მტკივნეულად
და გაფითრებულ მაისის დილას
ხშირად იანვრის ფერდაკარგულ
დღეებს ვადარებ.

ხანდახან მინდა, გავურიო
ფერები ხმაში,
ხანდახან მინდა, გამოვხურო
ძველი დარაბა,

ქუჩის კუთხეებს აუკენკავთ
სევდები ქარში,
იცით, მერცხლებო, ჩემს ეზოში
ბალი აყვავდა!

როგორ მინდოდა...

როგორ მინდოდა, მქონებოდა
პატარა სახლი,
შორს, ცხრა მთას იქით,
მთის ფერდობზე შეკიდული
გუგულის ბუდედ.
რამდენ ოცნებას დავარწევდით
ბუხრის პირს ორნი,
უარს ვეტყოდით ქალაქის მტვერს –
ცრუსა და მრუდეს.

როგორ მინდოდა, რომ მქონოდა
პატარა სახლი,
სახლის წინ ეზო და ეზოში
ცაცხვის ხეები.
იცი? მწვანილსაც მოვიყვანდი
და ნასამხრალზე
სულ ქორფა კიტრებს
მოგიკრეფდი
ჩემი ხელებით.

ბინდისას ერთად მოვუსმენდით
ჭრიჭინობელებს,
აცეკვდებოდა კრამიტებზე
ზაფხულის წვიმა,
უეცრად სადღაც გაქრებოდა
სიბნელის შიში,
მარტოობისას რომ მაკრთობდა
დიდი ხნის წინათ.

ჩვენი ცაცხვის ქვეშ გავაბამდით
ვარდისფერ ჰამაკს,
ჩავეტეოდით ორივენი
სულ თავისუფლად;
ხომ გაგიგია, ანდაზაა ისეთ
ცოლ-ქმარზე
ცულის ტარზეც კი დაეტევაო –
თუ მოისურვა.

როგორ მინდოდა, მქონებოდა
პატარა სახლი,
მეყოლებოდა ქათმები და
თეთრი კურდღლები.
შენ, ყოველ დილით, ალიონზე,
მზის ამოსვლისას,
ბალახის თიბვას დაიწყებდი
და იმის შიშით, არ დამღლოდა
გზისკენ თვალები,
მიატოვებდი თიბვასა და
ცელზე დაყრდნობით
მოიწურავდი დაცვარულ შუბლს
და შენს სახეზე, მზეზე დამწვარ
ლამაზ სახეზე
კოპებს შეჰყრიდნენ
მონატრების
ცელქი ღრუბლები.



შემომიტანდი მოთიბული
ბალახის სურნელს,
დაკოჟრილ ხელებს
შემომხვევდი
წელზე ძლიერად,
გეხურებოდა თავზე დიდი
ჭილოფის ქუდი,
მე ჩითის კაბა მეცმებოდა
და ასე თბილად –
ავივსებოდით სიყვარულით
დილა-მზიანად.

ცაცხვის ქვეშ სუფრას
გაგიშლიდი
თიბვაში დაღლილს.
გამოგიწყობდი ლობიოს და
პრასის შეჭამანდს,
ხელადით ღვინოს დაგიდგამდი
ჩვენი ქვევრისას
და იმ საღამოს სოფლის
ბოლოს გავისტუმრებდით
ყოველგვარ სევდას და სევდის
წილ – ცრემლის შენაკადს.

მე, ისე ახლოს მოვიდოდი,
რომ შენს თვალებში
დავინახავდი ჩემი სახის
მზისფერ ანარეკლს,
ერთმანეთს კოცნას
გავუცვლიდით
იქ, სადაც, ჩრდილში,
ცაცხვის ხეები მზის სხივებს
რომ მაინც აპარებს.

გვეყოლებოდა ერთი გოგო
და ერთიც ბიჭი,
ჩამოგვათოვდა მერე წლები
თოვლისფერ ფიფქებს,
ამოვიცნობდი ამოუთქმელ
ერთურთის ფიქრებს,
ეზოში ღობე გვექნებოდა,
ღობის ძირს – ძაღლი,
როგორ მინდოდა, მქონებოდა
პატარა სახლი.

●

დღეიდან გადავწყვიტე,
ვიყო ბედნიერი,
დილეგში გამომწყვდეული
ილბალი გავათავისუფლო,
ყველა დარდი და ყველა
მოგონება
წინა ცხოვრებაში
გავისტუმრო
და, ბედკრული მხატვარივით,
შენი თვალების სილრმე
დავხატო.

აღარც ჭორების მეშინოდეს,
აღარც განკითხვის,
აღარც სინდისის განწირულ
კივილს შევეწირო
და შენი მზისფერი თვალების
მილმა
ჩემი ტკივილი დავინახო.

გადავწყვიტე და ვიქნები
ბედნიერი,
არც დაღამების შემეშინდება,
აღარც გათენების,
ცა ზურმუხტისფრად
მომეჩვენება,
სადაც ღრუბლები თავისუფლად
ინავარდებენ
და მზეს თამამად
გაუმიჯნურდებიან.

შენს სახელს ხელის გულზე
ამოვიტვიფრავ,
როგორც თანამგზავრს
დაღდასმული ეული სულის,
ასე უფრო მშვიდად შევხვდები
სიკვდილს მაშინ,
როცა გადავწყვეტ, კარზე
ურცხვად მომიკაკუნოს.

და წავალ ბედნიერი,
ყველაზე ბედნიერი,
რომ ამ ცხოვრებაში მქონდა

თუნდაც მცირედი სიხარული,
მეცქირა შენი უძირო
თვალებისათვის
და შემეგრძნო შენი ჩამოქნილი
თითების სითბო.

მე უთუოდ ვიქნები ბედნიერი,
მაგრამ მანამდე პატიებას
გთხოვ, რომ ვერ შევძელი
შენი დავიწყება და თუნდაც
უთქმელი, სულ უთქმელი
ფიქრებიც კი თავს მოგახვიე.

მე უთუოდ ვიქნები ბედნიერი.

●

როგორ გავუძლო, როგორ
გავუძლო
ამ შემოდგომის ფერების
ლივლივს,
მაინც მიდიხარ, ამ სცენაზეც
ეშვება ფარდა,
დუღს მელოდია, არ მინდა,
მაგრამ...
შენს სუნთქვას მჩუქნის
ასე ნაცნობს, ასე ახლობელს –
მე რომ მიყვარდა!

დღეები დღეებს ისევ ისე
მისდევს კვალდაკვალ,
ცხადი სიზმარს თუ სიზმარ-
ცხადი ერთურთს ახელებს,
შენ კი მიდიხარ, მაგრამ მე
რა ვქნა,
უშენობა რომ
ფილტვებდახვრეტილ
სნეულივით შემომახველებს.
რა გვემართება, რა გვემართება,
რა გვემართება ან შენ და ან მე?!
იქნებ არ ეყო დრო ჩვენს
ცხოვრებას
და ერთმანეთის ძებნა-ძახილში
იქნებ, უბრალოდ გადავიღალეთ?!

მაშინ ნუ იტყვი, რომ დასრულდა
ძველი ზღაპარი,
მარტის ქარებმა შენი თავი ხომ
მე მაჩუქეს.
სისულელეა ეგ ნათქვამი,
არ დაიჯერო –
ქარის მოტანილს ისევ ქარი
ხომ არ წაიღებს?!

გთხოვ, არ წახვიდე, დამელოდე
ფოთლების შვავში,
ისევ ვუმღეროთ შემოდგომის
ფერთა ნიაღვარს
და ნულარ ამბობ, დამქანცვლი
გზების სიშორეს
გვიანია და არსაითკენ აღარ
მივყავართ.

ისევ ვინახავ ძველ გვირილებს –
დამჭკნარს, გაცრეცილს –
შენ რომ გხიბლავდა,
შენი არ ვიცი, მე კი ისევ
მტანჯავს სიშორე, გელოდები
და ისევ ისე,
ძველებურად ისევ მიყვარხარ!

●

ამ დილას გნახე.
შენი თვალები უხდებოდა
დეკემბრის თოვას,
მოურიდებლად გიკოცნიდნენ
ფიფქები ბაგეს.
ვყოფილიყავი მათ ადგილას,
როგორ მერჩივნა,
გაგინათებდი ალმასისფრად
უმთვარო ღამეს.

ისევ მიყვარხარ, როგორც მაშინ –
ვარსკვლავები ლურჯ ხეივანში,
ფეხარეული დადიოდა
ლანდებთან ვიღაც,
როგორც მცხეთიდან მონაბერი
ჩურჩული ქარის,
ისევ მიყვარხარ,
როგორც წინათ,
დიდი ხნის წინათ.

●

გაცვდა, აღარა სურს სინდისს,
პირქვე დაცემული ემხოს,
მხრებზე მოუხურავს თითქოს
ტაძრის გუმბათი და ჭერხო.
სუნთქვა აღარ მყოფნის
შთენილს,
ბლონდი მარყუჟებად მერთო.
ღმერთო, განმიახლე სული,
სული განმიახლე, ღმერთო!

●

წავიდეთ! ნისლებს გავატანოთ
წყეული დარდი.
მოდი, დავიწყოთ ყველაფერი
ისევ თავიდან.
მერე რა, თუკი ძველებურად
არ შემიყვარდი,
ყველაფერს დავძლევ –
უნდობლობასაც,
ეჭვსაც,
მოძალებულ ბრაზსაც,
ბოღმასაც;
გრძნობაზე მკაცრად
გავილაშქრებ,
დაგემსგავსები და...
ბოლოს მაინც ჩემსას
გავიტან!

წავიდეთ! ცისკარს ჩამოვხიოთ
შავ-თეთრი ფარდა
და გაზაფხული მოვიყვანოთ
სევდის ჯინაზე,
აქ არაფერი არ იქნება
ღიმილის გარდა,
ლოყას ამიწვავს შენი მზერა
და თითების ურცხვი სინაზე.

წავიდეთ! ერთად შევეგებოთ
მზისფერ ალიონს,
რა ვუყოთ მერე, სცდება ხოლმე
ზოგჯერ გრძნობა თავის
ნაპირებს,
არდაბრუნებას ნუ შეაჩვევ
თაფლისფერ თვალთა,

ცრემლის მორევი უშენოდ რომ
გადინაპირეს.

გთხოვ, ნუ მომაკვეც ამ ნაფერებ
დალალებს ძირში,
ქვით ნუ დამქოლავ, გამარიდე
რისხვას მალულად,
მარიდე ჯვარცმას
ვირზე უკუღმა შემომჯდარი
პერანგა ქალის
და შენს სიყვარულს ნუ
ჩამითვლი
დანაშაულად!

მხოლოდ ერთადერთს დაგიძახებ
ჯადოსნურ სახელს,
მარტო ეს შვენის ჩვენს სიყვარულს –
გიჟსა და შეშლილს,
წავიდეთ, თორემ მარტოობას
არ უჩანს ბოლო,
წავიდეთ, ვიდრე უშენობა
ჭკუიდან შემშლის.

უერთმანეთოდ ყოფნას
აბა, როგორ ავიტანთ?!
მოდი, დავიწყოთ ყველაფერი
ისევ თავიდან!



დათია ბადალაშვილი

ლეკვი მომიკვდა...

ახლა, როცა ამას ვწერ, ღუმლის ქვეშ, ჩემს ქურთუკზე, მკვდარი ლეკვი წევს...

დედამისი შარშან, ხმელ და უწვიმო ზაფხულს მოვიდა სოფელში. მეძებარი იყო. ალბათ, მონადირეებმა დაკარგეს, ამანაც გზა ველარ გაიგნო.

ამ მონადირეების ხომ არ მესმის – იმათ კლავენ, ვინც მათ ბევრად ჯობია, მათზე ლამაზიცაა და კეთილიც.

ძაღლმა კი იმდენი ილაწლაწა მშიერი მუცლით, სანამ ტროსში არ მოაყოლეს და კეტით არ გაუჩეჩქვეს თავი.

მე კი სახლიდან შორს, საბძელში რომ გადავდივარ, ლეკვის ყეფა მესმის. ვეძებ, ვერ ვპოულობ... ბოლოს, როცა შივდება, თვითონ გამოდის.

შორს ვარ – მიყეფს, ახლოს მივალ – წკმუტუნით გარბის. ვიჭერ და ხელში ამყავს; კანკალებს და შიშჩამდგარი თვალებით მიყურებს. ასეთი თვალები ობლებს და მშივრებს აქვთ ხოლმე. ყველა ერჩის – ძროხა ფეხს ადგამს. იცის, რომ ობოლია... ცხვრები რქენენ და წყლით სავსე სათლში აგდებენ.

მე საბძლის ჭუჭრუტანებს ვქოლავ, რომ არ გამოძვრეს და ისევ არ სცემონ. დღეში სამჯერ პურის გულს ვაჭმევ. ისე ჭამს, რომ გულზე ადგება და ასლოკინებს.

მერე ქალაქში წავედი. მე ხომ საქმიანი კაცი ვარ, დამავიწყდა, ჩვენებისთვის მეთქვა, რომ ეჭმიათ მისთვის.

ის კი არა, ლეკვო, ამ ბოლოს ისიც დამავიწყდა, ვინ ვარ. სხვებმა დამავიწყეს.

რომ დავბრუნდი და საბძელში გადავედი, იწვა და იკრუნჩხებოდა. მარტო შიმშილის გამო არა – ზამთარმა პირი გაიშრო, გაყინა და შესცივდა.

ძროხა ხელდახელ ჩამოვწველე, რძე ხბოს საწოვარაში ჩავასხი. ვერ ყლაპავს, კრიჭა აქვს შეკრული.

პირს თითით ვუღებ და რძეს ვაწვეთებ. ნახევარი გულზე ეღვრება.

თავს მაღლა ვუჭერ, ყელში რომ არ გადასცდეს და არ დაიხრჩოს.

ყბას ხურავს, კბილებს კი სიმწრით ბოლომდე მასობს თითში.

ვფიქრობ, რომ მშიერზე ბევრი არ უნდა ჩავაყლაპო და საბძელში შემყავს. კარს ვხურავ და წკმუტუნებს. თითქოს მეძახის, რომ წავიყვანო.

სახლში გადმოსული, ვხვდები, რომ

იმას ახლა სითბო უნდა. ქურთუკს ვიღებ და ისევ გადავდივარ, შიგ ვახვევ და გადმომყავს. მოხარშულ ქონს წვრილად ვაქუცმაცებ, პირს ვუღებ და თითით ვუტენი, მერე კი ღუმლის ქვეშ ვაწვენ.

მინახავს, ღორი როგორ კვდება.

ძაღლიც ვნახე. იმ დროს იმაზე მეტყველი თვალები აქვს, ვიდრე ადამიანს, მათ ხომ ენა არა აქვთ.

ცოტა ხანში მივდივარ. ლეკვის გულს ვეძებ. მინდა გავიგო, სუნთქავს თუ არა.

ადვილად ვიპოვე.

ოცდაათის ვხდები და ის არ ვიცი, ადამიანებს სად აქვთ გული, თორემ ძაღლებისა ვიცი.

არა, არ სუნთქავს.

თვალებს ვუხუჭავ. თუ გაახილა, ცოცხალია.

არა, არ გაუხელია.

მაშინვე რომ გადმომეყვანა, იქნებ არ მომკვდარიყო?!

უფრო ხშირად რომ მეჭმია, ჯანი ექნებოდა და იქნებ არ მომკვდარიყო?!

რომ არ დამვიწყებოდა და ჩვენებისთვის მეთქვა, იქნებ არ მომკვდარიყო?!

მაგრამ მოკვდა!

მე საწოლზე ვზივარ, ის კი ფეჩქვეშ, ჩემს კურტკაზე წევს მკვდარი.

არ ვუყურებ...

მაპატიე, ლეკვო. შენ მელოდებოდი, მე კი არც გამხსენებიხარ. ისე, ადამიანებისგან ეს არ უნდა გაგიკვირდეს – იმედს ვუცრუებთ იმას, ვისაც ჩვენი იმედი აქვს. როცა ვიღაც გველოდება, კვალწმინდად ვიკარგებით. ალბათ, გვგონია, რომ არ დაგვაგვიანდება.

შენამდე ბებიაჩემიც კვდებოდა და მელოდებოდა. მე კი არ ავედი, არ ვუთხარი, რომ მიყვარდა. ვიფიქრე, არ დამაგვიანდებოდა. ახლა მის საფლავზე გავდივარ, ქვაზე ვჯდები და ვეუბნები, რომ ძალიან მიყვარს და მომენატრა.

შენც მომენატრები, ლეკვო!

როგორც ყველა მოგვენატრება, ვინც გვიყვარდა და ვერ ვუთხარით, ვისაც იმედი გავუცრუეთ, ვინც გველოდებოდა და დავეკარგეთ.

იქნებ შენთვის კარგიც იყოს, რომ მოკვდი. შეგვხდებოდა პატრონი, რომელიც გაჭმევდა და, ყოფაზე გაბრაზებული, წიხლსაც მოგაყოლებდა. იმიტომ გცემდა, რომ ძაღლი ხარ – ერთგული. იცის, რომ შენ ადამიანი არ ხარ, ვინმეს მიცემული ლუკმა რომ დაივიწყო.

ხომ მიხვდი, ლეკვო, რაც არის ერთგულების საფასური?

თანაც ეს ცხოვრება ობლებისა და უპატრონოების არ არის.

თუ დაგამშვიდებს, გეტყვი: შენ იმ ბევრ ადამიანს ასი თავით ჯობიხარ, ვისაც ზაფხულიდან მოყოლებული შევხვედრივარ. იმათგან რომელიმე ახლა ჩემი ღუმლის ქვეშ რომ იწვეს, საერთოდ არ მივიტანდი გულთან.

ღამე უნდა ავდგე და გადაგმალო, დედაჩემმა რომ არ გნახოს.

არა, ხევში არ გადაგაგდებ! ხვალ რომ მოდღევდება და მიწა მოლღვება, დაგმარხავ. დაგიტირებ კიდეც. შენ ამას იმსახურებ.

ვერ შეგპირდები, საფლავზე მოვალ-მეთქი, იმიტომ რომ მე ძაღლი ვარ – ერთს წამოვიტირებ და გადამივლის.

დედაჩემს ვეტყვი, რომ არ მოკვდი და გაგაჩუქე, რომ პატრონი არ გცემს, პატრონის პატარა ბიჭი კი დედამისს რძეს პარავს და გასმევს; ვეტყვი, რომ მშიერი არ ხარ, არ გცივა და არც არავის ელოდები.

ძაღლი

(ვუძღვნი ბიძაჩემს)

ლეკვს ახალი ახელილი ჰქონდა თვალები, საქონლის თბილი ბაგისა და რძის სუნი ასდიოდა ისევ. ძუ გამოდგა. მამაჩემმაც ვერ გაიმეტა ხელმეორედ გასაჩუქებლად.

დედაჩემს რძეს და ახალ პურს ვპა-

რავდი და ვაჭმევდი. დამრგვალდა, „წამოვიდა წვიმა-წყალივით“ (როგორც ბებიაჩემი ამბობდა ხოლმე გოჭებზე). სტუმრად მოსულმა ცხონებულმა ბიძაჩემმა ბურთა დაარქვა – გულაღმა წაქცეულს, წამოდგომა უჭირდა სიმსუქნის გამო. ყველას ეთამაშებოდა: მამაჩემთან გასაკრეჭად მოსულებს, მეზობლის კოჭლ ცხენს, თოკმა ფეხი რომ გაუფუჭა და თავიანთი ბოსტნიდან, გრძელი კისრის წყალობით, ყვავილებს ჭამდა; ფეხზე კბენა უყვარდა, ყოველგვარი გაბოროტების გარეშე და ამის გამო, შეიძლება, მთელი დღე ფეხდაფეხ ედევნა.

ზაფხულში, თიბვის დროს, როცა შუადღით მუშაობა აუტანელი ხდებოდა, მწვანე ბალახი ყვითლად იწყებდა კვდომას. ხო იცით, აგვისტოში ყვითელი სიკვდილის ფერია. ლეკვი გაეხვეოდა ბებიაჩემის გასაჩეჩად გაშლილ მატყლში და ეძინა. აიშვერდა მაღლა ოთხივე ფეხს. ხოდა, ჩხუბობდა ბებიაჩემი: „ახალი ჩულქი დამიხიაო, ამ დასაწველმა!“, მაგრამ მალე უბრუნდებოდა „დასაწველ“ ლეკვზე გული და პატიჟებდა მატყლზე: „დაწე, გოგო, ნანინა ქენი!“

– „არ დადგება ამისგან „ფხიზელი“ ძაღლი!“, – ამბობდა მამაჩემი. – ყურების დაჭრა მოუნდა, „გამოფხიზლებისთვისო“. არ დავანებე. არ მოუხდებამეთქი.

სწავლა დაიწყო და წამოვედი სოფლიდან.

არდადეგებზე ავბრუნდი ისევ. ლეკვი გაზრდილი დამხვდა. თვეები ჩვენთვისაა ცოტა, ძაღლისთვის, ალბათ – ძალიან ბევრი.

მამაჩემი აშკარად კმაყოფილი იყო ძაღლით – ფხიზელია, მთელი ღამე ყეფს, უცხო საქონელს არ აჩერებსო ეზოში. ბებიაჩემი სიძეებს ელოდებოდა უკვე, მალე ამძუვნდებაო, – ასკვნიდა, ვეტექიმ ეფრემასავით. დავუსხი საღამოს მოპარული რძე, ჩავუფშვენი ახალი პური და, როცა თამაში ვცადე, გაავებული წამწვდა ფეხებში საკბენად.

გაზრდილიყო და გაბოროტებულიყო...

არ მომეწონა ეს. მერჩივნა, ისევ ისეთი მხიარული და უწყინარი დარჩენილიყო (ჯანდაბას, წაერთმია წიგნი და მედევნა კარტოფილის კვლებზე, ეთქვა მერე ბებიაჩემს, არაფერი გეშველებაო...), მარა მას რას ვერჩოდი, მე თვითონ ვიცვლებოდი დღითი დღე, სქელკანიანი ვხდებოდი – აღარ მაღელვებდა ფილმი ცუდი დასასრულით, კუთხეში მდგარი ბებრული ცრემლით მტირალა მათხოვარი, კარგი წიგნი და წყაროში ჩაცვივნიული ვერხვის ოქროსფერი ფოთლები – ჰაერით სავსე კოპლებით შავ კუნელზე. ჰოდა, რაღას ვერჩოდი ძაღლს?!.

დაღამდა...

თებერვლის ღამეა ცივი, თოვლის ღამეული მსხვილი ფანტელით. ვზივარ ჩამქრალ ღუმელთან და ამ ინტერნეტის ხანაში სანთლის შუქზე ვკითხულობ ბუნინის „ლიკას“.

ვამთავრებ წიგნს და ჩემი ძაღლის გაავებული ყეფა მესმის. „მგელია! ძაღლს წაიყვანს!“ – წინდების ამარა გავვარდი მუხლამდე თოვლში. მივრბივარ, მივრბივარ და მთელი ძალით ვყვირი. ვეძახი ძაღლს. ფერდაზე, ვაშლის ხესთან, ხელებზე გავხოხდი კიდეც. ახლა უკვე ჩემი ძაღლის უმწეო წკმუტუნი მესმის ხევს გადაღმიდან, კილომეტრს იქით. გული რომ ამომვარდა, გავჩერდი თოვლში ნაგორავები. სისხლი და გაყინული ტირიფის ტოტების ტკაცატკუცი ისმოდა მხოლოდ.

„ვერაფერს უშველი, წაიყვანაო უკვე!“ – ჩემი გულჩვილობით გაბრაზებულმა მამაჩემმა დამიყვირა სახლიდან, იმ ღამესავით სუსხიანი ხმით. მგლის ბოღმა რომ არა, აუცილებლად მოვაღებდი პირს.

მე მაინც დიდხანს ვეძახდი ძაღლს, უმწეობით გატენილი ბრაზითა და სველი ფეხებით.

გარე-გარე მოსიარულე

ბიჭი კი არ ჭრიდა, გლეჯდა ბალახს. შეაწუხებდა წელი, ჩამოეყრდნობოდა პირგალეულ ცელს და ფიქრობდა. ვერაფერს ვერ უდებდა გულს, იჯდა და მარტო სვამდა – აკაციასთან, მაღაზიის ჩრდილში. მოწევდა და აგრძელებდა თიბვას. ფიქრობდა, დაღლილზე მკლავების ტეხვა სიცარიელეს დაავიწყებდა, სიცარიელეს, რომელიც დილით თვალის ახელისთანავე ასდევდა. ამიტომ არც უნდოდა, გათენებულიყო.

სწავლა მიატოვა. მიაჩნდა, შეიძლება, ბევრი რამ, იცოდე მაგრამ არა ის, როგორ გაუძლო ცხოვრებას, თუმცა აქაც ვეღარ პოულობდა ადგილს.

გაგიჟდა მამამისი – „მაგის უტვინო თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევსო“.

აღარ უთხრა მამას – „აქაც არა ვარო კარგად. თათრებს მინდა გავყვე, საზაფხულო საძოვარზეო“.

გაირეკავდა ცხვარს, წამოწვებოდა გადაღმერთილი კუნლის ძირში და წაიკითხავდა. შეეძლო, დაეძინა კიდეც, სანამ ბალახის ხმელი ღეროები ტანზე ჭიანჭველებივით დაუწყებდნენ კბენას. მზეც მოძებნიდა და შუბლს ოფლით დაუწვეთავდა.

მოდღევდა და ჩამოცხა გატყეევებულ ბაღში. ჩერდებოდა და ოფლს მაისურის კალთით იწმენდდა. საერთოდაც, მიაჩნდა, რომ მზე შემოდგომითაა კარგი, ზედ რომ მიგიფიცხებს ანდა გაზაფხულობით, წითელ ალუბალს თეთრად რომ ააფეთქებს და არა ახლა – მწველი, შემაწუხებელი, შავად რომ ხრუკავს მწვანე მინდორს.

დაიღლებოდა, ამოუვარდებოდა გული, ცელსაც ქვა გადაუბრუნებდა პირს. ჩერდებოდა, ცელს ლაჯებშუა ამოიდებდა და ლესავდა სალესავის ნატეხით. არადა, ის გოგო, აივანზე ფეხებშემოწყობილი, წიგნით ხელში, პატარა, მოხდენილი გაბუშტული ტუჩებით და დიდი თვალებით... რა იქნებოდა, მასაც რომ შეჰყვარებოდა? დაენახა, როგორი მარტოა ბიჭი – შიშველი, უამრავ ჩაცმულთა შორის.

კინაღამ მოიჭრა თითი, ბალახის ფოთლითა და ნაღვლიანი ღიმილით შეიჩერა სისხლი. ცელი დაშალა და შეინახა. დიდხანს აკვირდებოდა ადგილს. ამ ბოლოს ბევრი რამ ავიწყდებოდა.

ტყე-ტყე წამოვიდა სახლში. არ უნდოდა, არამკითხე მოსაუბრე გადაჰყროდა. მზე ისევ შემაწუხებლად აჭერდა, ფიჭვის ტოტებიდან, ოფლიან და ჭინჭრით დაფოთლილ ზურგზე. თავის ოთახში შესულს მთვრალი მამის საბანში ჩალაპარაკების ხმა მოესმა: „დადის გარე-გარე, ლაჯაღებული ბოზი ქალივით“.

ბიჭი გაირინდა, არაფერი უთქვამს. ოთახში შევიდა, ტახტიდან წიგნები გადაყარა და პატარა ძმის ტანსაცმელში გახვეული ცალლულა თოფი ამოიღო. ოთახიდან გამოსვლამდე დიდხანს უყურა საბანწაფარებულ მამას. ხევის პირზე ბებერ კაკალთან მისულმა თოფი გადატენა, ჩაიმუხლა და ნიკაპით ჩამოეყრდნო.

ღამეულ ნიავს მეზობლების სიცილისა და წყლის ლუკლუკის ხმა მოჰქონდა.

ფიჭვები შორს იყო

მოვა თებერვალი – გაზაფხულის პირი. აამღვრევს ბუნებას და უჩენს ადამიანს ჩუმ სატკივარს, მოხუცებს განსაკუთრებით. ეხუმრები, შენ, ოთხ მკვდარს ორ კვირაში?! მეხუთე ბოტანიკის მოხუცი მასწავლებელი იყო – ნამლევა, მკაცრი. როცა გავაბრაზებდი, უკვე მეცხრეკლასელ ვირს, მემუქრებოდა, ფანჯრიდან გადაგაგდებო.

წავყევი მეც მესაფლავეებს. ჯერ ერთი, დავაღამებდი დღეს, მეორეც – მახსოვდა მისი ნასწავლი ბუტკო და ფოტოსინთეზი.

წავედით საფლავის გასათხრელად:

ერთი მოხუცი ყრუ-მუნჯი, ერთიც შუახნის, ლოთობით გვერდზე გადაღმერთილი, ერთიც ჩემხელა, აქა-იქა კბილებით და მე – უშნოდ გამომღამებელი წუთისოფლისა. გამოგვყვა სასაფლაოს ცალთვალა ყარაულიც, მოგვიზომა და მოგვადგა კოჭლი ბებერი თავთიხაც. ადრე სასაფლაო ჩემი სათიბი იყოო, კალიასავით იხტუნავა კოჭლი ფეხით, აქეთ გზისკენ ნუ გადმოხვალთ, მე და ჩემი ცოლი უნდა დავიმარხოთო. კაცი გულზე დასაყრელი შავი მიწით რომ ვერ გაძღება...

მიწა რბილია. რამდენიმე დღის წინ აქ თოვლი იდო, თებერვლის დღენაკლული თოვლი და გაზაფხულს ებრძოდა, როგორც ჩემი მასწავლებელი – სიკვდილს. გაღმა ძველი სასაფლაოა, სოფლის ასაკისა. ვიღას არ ნახავ ქვაზე ამოკვეთილს – კავიან მეცხვარეს თუ გუთნისდედას. ფიჭვი დგას ბევრი და სოჭი. მიწა – მაგარი, სალი კლდე. ამიტომაც ხალხი აქეთ მარხავს, ახალ სასაფლაოზე. არავის უნდა, თავის მკვდარს გულზე ლოდები დააყაროს. თანაც ძველ სასაფლაოზე საფლავის გათხრისას შეიძლება, ვიღაცის კუბოს მოახვედრო წერაქვი. კუბო სანამ მიწაშია, საღია, მოხვდება მზის სხივი და იშლება. ძვლებია მარტო, ტომარასავით ჩამოცმული ტანსაცმლით. მესაფლავეები შეყოფენ კუბოში ხელს და სასმელს ეძებენ. ძველ სასაფლაოზე შეიძლება, შენი მკვდარი ვიღაცას დაამარხო გულზე. სხვისი არ ვიცი და, სიკვდილი ჩემთვის მოსვენებაა და სულაც არ მინდა, ვიღაცას ვაწვე გულზე.

ახალ სასაფლაოზე ბებერი კაკალია, უამრავი მარმარილო თუ გრანიტი (ვერ ვერკვევი კარგად), მარჯვნივ – წმინდა გიორგის საყდარი, მარცხნივ – ღვთისმშობლისა.

ღმერთთან სალაპარაკოდ გამოვდივარ ხოლმე.

მიწის ზედაპირს ბელტებს აჭრი და საფლავის პირზე ალაგებ, მიჯნა რომ არ დაგერღვეს. მერე ნელ-ნელა სიღრმეში ჩადიხარ, მიწას მაღლა ყრი, შორს არა, იქვე. ხვალ დილას ისევ შენ უნდა მიაყარო. მუნჯი მიტევს, ნიჩაბს ხელში ნუ მაწვდიო. არ შეიძლება თურმე. მე მეცინება და მიწაზე ვაგდებ.

ჯერ მუდმივად სველი თიხა გვხვდება, მერე კი – შავი მიწა. ისეთი შავი, იფიქრებ, ვიღაცას განგებ გაუპოხიერებიაო. გვერდზე გადაღმერთილი ფილოსოფოსობს: „რამდენი შეჭამა ამ მიწამ და კიდევ რამდენს შეჭამს“.

ზომა, როგორც წესი, მეტრა-ნახევარია. მალ-მალე ჩაზომება გვეზარება.

როცა ზედაპირს ნიკაპით გაუსწორდები, საფლავი მზადაა.

ვლაპარაკობდით იმაზე, როგორი კარგი ამინდი დაუდგა მიცვალებულს – არც ჭირისუფალს გააწვალებს და არც მოტირალს.

ვიღლები, ხელიც ამებებრა. ამოვდივარ და აკოკოლავებულ მიწაზე ვჯდები. მაღლა ამოსული ფიქრობ – ვისაც ვერ იტან, იმისთვის ბელტსაც არ გადააბრუნებ. საყვარელი ადამიანისთვის კი მიწის მიფარება გაგიჭირდება. იმაზეც იფიქრებ (არა, ინატრებ!), ვინც გულით მიყვარს, ნეტა, იმათ სიკვდილს არ მომასწროო. მზად ხარ, რომ წინ-წინ შენ წახვიდე.

გამოგიგზავნიან საჭმელს, ჯდები. არც იბან, ხელზე შემხმარ მიწას იფშვნეტ. პირველად ახლად შესვენებულს მოიხსენიებ, მერე უდროოდ წასულებს, ვინც გული დაგვწყვიტა. იქნებ ის უდროოდ წასული უფრო მეტს მიხვდა, ვიდრე მე მივხვდები, დროულად რომ წავიდე? არ ვიცი.

კიდევ მოიხსენიებ უპატრონოებს, აღდგომას წითელი კვერცხის გამგორებელი რომ არ ჰყავთ.

სასმლისგან შეხურებული რასაც იტყვი, აღარაა საინტერესო.

როგორ შეიძლება, კაცი თებერვალში მზეს დაემდუროს – ნუ აცხუნებო? მაგრამ მაჭერდა სასმლით გახურებულ შუბლზე. ფიჭვები შორს იყო, მივწექი საფლავის გვერდით და ცხელი შუბლით ცივ მიწას მივეხუტე. მოედო სასმელი გადაღმერთილსაც, ვერ ჩადის მიწის ამოსაყრელად საფლავში, თუ ჩადის, ვეღარ ამოდის.

ბოლოჯერღა ჩავედი დაბლა და მივეზომე ნიკაპით. გავუსწორდი უკვე.

მოვრჩით...

წერაქვი მხარზე გავიდე და მიწას ამოფარებულებს ჩამოვუარე.

როგორ არ უხდება ქვაზე დახატული ლამაზი სურათი ჭიისგან შეჭმულ მკვდარს...

მივხვდი, როგორი უნდა იყოს ჩემი საფლავი – უბრალო, გათლილი ლოდი, გვარითა და სახელით...

ერთი საფლავის ღია კარი მივკეტე. ქვას გავხედე, ლამაზი ქალია ძალიან და ასეთი ეპიტაფია აქვს:

„ნუ ტირი,
თუ მართლა
გიყვარვარ. თუ
მართლა
იცი, რა
არის
ღვთის
მადლი
და სასუფეველი“.

რომ არ ვიცი, მაგას ვჩივი მეც...

თინა სიხარულიძე

ჭრელი კატა, სახელად „ატიკუსი", რომელსაც გოგონა შეუყვარდა

(ვუძღვნი ნინიას, რომელსაც არ უყვარს კატები და რომელმაც არ იცის, რომ სინამდვილეში, სულ, სულ სინამდვილეში, ძალიანაც უყვარს)

– რაც არ გკლავს, გაძლიერებს, რაც არ გკლავს, გაძლიერებს! – ოთახიდან ოთახში დადიოდა ჭრელი კატა, სახელად ატიკუსი და სწრაფად იმეორებდა.

– იქნებ დაველაპარაკო, იქნებ მომისმინოს?! არა, არა! გული გაუსკდება, გაგიჟდება, გადაირევა, სახლიდან გაიქცევა, – თავის თავთან ლაპარაკს განაგრძობდა. კუდი მაღლა აეპრიხა და ნერვიულად დააბიჯებდა. – აი, თუ არ მოვკვდი, მართლა ვიქნები უფრო ძლიერი. შესაძლოა, კარადაზეც ავხტე, თაგვიც დავიჭირო, ოღონდ ახლა არ მოვკვდე. მგონი, სიცხე მაქვს, ცხვირი მიშრება და მაქსუტუნებს. აი, როგორ იცის თურმე სიყვარულმა, მაგრამ, რაც არ გკლავს, გაძლიერებს – ეს უნდა დავიმახსოვრო!

ხალიჩაზე გულაღმა დაწვა და თათები თავქვეშ ამოიწყო.

– ნეტავ სად წავიდა? დღეს კვირაა, სწავლა არ უნდა ჰქონდეს და, საერთოდ, ნეტავ სად დადის, სად სწავლობს?!. მე მაგის ხელში წიგნი არ მინახავს! საქმესაც არ აკეთებს. ხომ შეიძლება, ერთი კრემიანი ნამცხვარი გამოაცხოს?! აი, ახლაც დამიყარა რაღაც ნაყიდი საჭმელები და დამისხა რძე. ნეტავ რა ჰგონია, ამეებს შევჭამ? არაფერიც, ფანჯრიდან გადავყრი, რძესაც ლამაზად მოვასხამ ზემოდან, მერე ყავას მოვიდუღებ და ლიმონიან მაფინებს მივაყოლებ, მერე, თორმეტზე, დოკუმენტური სერიალი დაიწყება. დღეს ვეფხვებზეა. უნდა ვნახო ერთი, მართლა ვგავარ, თუ რატომ მეძახის: „ატიკუს, ჩემო ვეფხვო!.." მაგას ჰგონია, მომწონს, ვიღაც ვეფხვს რომ მადარებს?! – ბრაზიანად აიბზუა ცხვირი და ულვაშები ააცმაცუნა.

– წავალ, ხალიჩას გავაფუჭებ, კარსაც ჩამოვკაწრავ! იქნებ ფარდებიც ჩამოვგლიჯო! რა გზას დავადგე, მასწავლე, ღმერთო! როგორ მოიქცეოდა ასეთ დროს ჩემი ცხონებული დიდი ბაბუა არტური? ამაღამ, როცა ის დაიძინებს, არტურის სულს გამოვიძახებ და ასე ვეტყვი: „გზა მიჩვენე, არტურის

სულო! ოღონდ ნუ დამიწყებ მორალის კითხვას! სიყვარული ისეთი რამეა, ხომ იცი... აი, შეჩვევაა სიყვარული და კიდევ – სილამაზის შეგრძნება და სხვანაირად, სულ სხვანაირად რომ კრუტუნებ, ეგეც სიყვარულია!“ არტური ბრძენი კატა იყო, გამიგებს. მთავარია, ამაღამ სავსე მთვარე იყოს და ყველაფერიც გამოვა...

ხალიჩაზე იწვა, მოჭუტული, ფოსფორისფერი თვალებით ჭერში იყურებოდა და ნერვიულად აქანავებდა კუდს.

– ნამდვილად იმის სანახავად იქნება! სხვანაირად გამოიპრანჭა დღეს. თან აბაზანაში მღეროდა! ვერა, ღმერთო, მე ამას ვერ გავუძლებ, მაგრამ, რაც არ გკლავს, გაძლიერებსო და, აბა, გავძლიერდე ახლა! თუ ვკვდები ნეტავ უკვე? რა სამწუხარო იქნება ჩემი სიკვდილი! ასეთი ბეწვი, ასეთი კუდი თუ აქვს ნეტავ სხვა კატას... ნეტავ თუ იტირებს ის ჩემს სიკვდილზე ან თუ მიხვდება, რის გამოც მოვკვდი... არა, არა, არ შეიძლება ჩემი სიკვდილი! მერე ხომ ვეღარ ვნახავ, როგორ დადის პირსახოცით, ფეხშიშველი, როგორ სძინავს დილით, როცა არსადაა წასასვლელი და მზე ადგას სახეზე, მკლავებზე. როგორ იღიმის, როცა ტკბილ სიზმარს ხედავს, როგორ ისწორებს თმას, როგორ ღიღინით არჩევს ტანსაცმელს, როგორ ტრიალებს სარკესთან... ვერა, ვერ მოვკვდები! მერე ხომ ვეღარ დავუწვები გვერდით, თავს ვეღარ მივადებ, მის წელზე ვეღარ მოვიკალათებ, შიშველ ბარძაყებზე ცხვირს ვეღარ დავადებ... ჯანდაბა! რატომ გამახსენდა ახლა მისი ბარძაყები!.. წავალ, ავიდუღებ ყავას, სანამ დაბრუნებულა.

ყავის მოსადუღებლად ადგა და რის ვაი-ვაგლახით ახტა სამზარეულოს კარადაზე, ღონივრად დაჰკრა თათი ყავადანს, მაგიდიდან ლიმონიანი მაფინი ჩამოიღო, ყავისთვის ცისფერი, ლამაზად დაწინწკლული ფინჯანი და ლამბაქი გაამზადა, თან სევდიან სიმღერას ღიღინებდა და კუდი სულ მაღლა აეპრიხა. უცებ კარის ხმა გაისმა. შიშისგან თავგზააბნეულს ხელიდან გაუსხლტა ლამბაქი და, ფინჯანთან ერთად, სამზარეულოს იატაკზე ხმაურით დაიმსხვრა.

შემოვიდა ლამაზი გოგო. შესასვლელშივე უწესრიგოდ მიაწყო მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, ჩანთა მეორე მხარეს დააგდო და ლამაზი კაბით, ფეხის ცერებზე დადგა სარკესთან. თავის თავს გაუღიმა, ერთხელ დაბზრიალდა, ახლა უფრო მეტად გაიღიმა, მერე გადაიკისკისა.

– ატიკუს, მოვედიი! ატიკუს, გამოდი, შე მსუქანა, სად მემალები?

ატიკუსი სამზარეულოს მაგიდის ქვეშ იყო დამალული და ელოდა, როდის შეარცხვენდა გოგონა დამსხვრეული ჭურჭლის გამო.

გოგონამ არაფერი უთხრა. დაბლა დაიხარა, დამსხვრეულ ჭურჭელს თავი მოუყარა და სანაგვე ურნაში ჩაყარა. ყავა დუღდა, ვერ შენიშნა, რომ უცნაური ამბავი იყო. დაისხა.

ფანჯარასთან დაჯდა და სულ სხვა რამეზე ჩაფიქრდა, თანაც ტუჩის კუთხეებით ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა.

ატიკუსი მაგიდის ქვემოდან გამოიზლაზნა.

„ერთი, ორი, სამი...“ – ჩუმად დაიძახა, გოგონას კალთაში ჩაუხტა და თვალებში დაჟინებით შეაცქერდა.

– რა გინდა, ატიკუს, შე მსუქანა მავნებელო? – ბეწვი აურია გოგონამ და ფუმფულა მუცელზე შეუღიტინა.

– მიაუ! – სევდიანად უთხრა ატიკუსმა და მერე ჩუმად, ძალიან ჩუმად, მარტო თავისთვის გასაგონად ჩაილაპარაკა: „არც მოვკვდი, არც გავძლიერდი“.

კაფე „ცისფერი ალუბლები”

ხის თეთრსაღებავგადაცლილ კარს ზემოთ აბრა ჰკიდია, რომელსაც

მკრთალი, ცისფერი ალუბლები ახატია და ლამაზად მოყვანილი ასოებით აწერია: „შეხვედრის ადგილი ცისფერი ალუბლები“.

დილაა. ქუჩაში ხალხი მიმოდის. თხელი ლაბადებით დაფრიალებენ. გაზაფხულის ამინდია. ნიავის მსუბუქ ჩამოქროლებაზე ხეებიდან თეთრი ყვავილები ცვივა. თითქოს თოვს. თაფლისა და ვანილის არომატი იგრძნობა. ყვავიან ხეები, ყვავიან... ჩიტებსაც ემღერებათ.

ძველი დროა, მგონი. ჯაზის ხმა გამოდის „ცისფერი ალუბლებიდან“.

გვერდით პატარა სილამაზის სალონია, სახელად – „ლილია“. ლამაზი ქალიშვილები შედიან იქ და კიდევ უფრო ლამაზები გამოდიან. იმის გვერდით მესაათის პატარა ვიტრინაა. უფრო იქით არომატული საფუნთუშე. კი, ნამდვილად ძველი დროა. აბა, ახლა ასეთ სილამაზეებს სადღა ნახავ, ახლა სადღა უსმენენ ასეთ მუსიკას და ასეთი სეზონურად ჩაცმულებიც ხომ საერთოდ აღარსად დადიან...

„ცისფერ ალუბლებში“ თბილა და შემწვარი ვაშლის სუნი დგას. მიმტანები ჯაზის რიტმში დაარწევენ ლამაზ სხეულებს და მაგიდებს ემსახურებიან. ხალხი ცოტაა. მშვიდად სხედან, საუბრობენ, მუსიკას უსმენენ და საუზმობენ. კარს ქალი და მამაკაცი აღებენ. მამაკაცი გზას უთმობს, ქუდს იხდის, ქალს თეთრ ლაბადას ხდის და საკიდზე კიდებს.

ფანჯრისკენ სახით, ერთმანეთის გვერდიგვერდ სხდებიან და ჩუმად არიან.

ფანჯრიდან ყვავილების თოვა და ქალაქის დილის მოძრაობა მოჩანს.

ერთხანს ჩუმად არიან, მერე ქალი ღრმად ჩაისუნთქავს და იწყებს:

– რაზე ვილაპარაკოთ?

– იმაზე, რომ არაფერი ხდება შემთხვევით.

– არა, იმაზე, რომ ცუდ დროს შევხვდით.

– მე შემიყვარდი და ამისთვის ცუდი დრო არ არსებობს!

– მეც შემიყვარდი და ეს არასწორია!

– რა ადვილია სათქმელად...

– მოდი, შევუკვეთოთ. ნაყინები ვჭამოთ და დავემშვიდობოთ, – სევდიანი ხმით თქვა ქალმა. თან ტკივილის დასაფარად იღიმებოდა. ისეთი აშკარა იყო ეს დაფარული ტკივილი, ისე ყვიროდა მისი თვალებიდან, მისი აკანკალებული ხელებიდან, მისი ხმამაღალი გულისცემიდან... გულისწამღები იყო მისი ტკივილი, მხიარულ მუსიკაში გაზავებული ჩუმი ტკივილი.

კაცი გაჩუმდა, მუშტები შეკრა, პირი მოკუმა და გამხდარი ყბების კუთხეებს ნერვიული თრთოლვა დაეტყო. მიმტანს ელოდნენ და აღარაფერს ამბობდნენ.

– გამარჯობა. რა სასიამოვნო დღეა! რას ინებებთ? – მკერდსავსე მხიარულმა გოგონამ სახეში შესცინა ორივეს.

– ორი ნაყინი, თუ შეიძლება. ჩვეულებრივი ვანილის ნაყინი!

ფიქრებში წასულები, ჩუმად მიირთმევდნენ.

არ იცოდნენ, რა ეთქვათ.

სასიყვარულო დიალოგების მოფიქრება ძალიან რთულია. მით უმეტეს, თუ თან უყვართ და თან ემშვიდობებიან.

ავტორმაც ვერაფერი მოიფიქრა და გადაწყვიტა, ნაყინების ჭამა დაასრულონ და უსიტყვოდ დაშორდნენ... მაგრამ კაცს გულმა ვერ გაუძლო და ხელი ფრთხილად შეახო ქალის ფერმკრთალ ხელს. უთხრა:

– არ მინდა, რომ წახვიდე! მინდა, რომ ყველაფერი შევცვალოთ და ერთად ვიყოთ. მინდა, ეს მიზანსცენა შეიცვალოს და ხელი გთხოვო, მუხლზე დაგიჩოქო და ხელი გთხოვო.

– ხო, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია... ჩვენ დაქორწინებულები ვართ და არასწორია ჩვენი სიყვარული. ასე გადაწყვიტა იმ ნევრასთენიკმა საძაგელმა ქალმა (ამას ჩემზე ამბობს).

– გაჩუმდი, ყველაფერი ესმის და შეიძლება, აქედან გასულებს ავტობუსი დაგვაჯახოს!

– დამაჯახოს მერე, რად მინდა ასეთი ცხოვრება?! რატომ უნდა ვიყო უბედური იმ ვიღაც კაცთან ერთად. უნივერსიტეტის პროფესორიაო, რესპექტაბელურიო. ჰყავდეს მერე თვითონ და ნახოს, როგორია მასთან სექსი, შუალედურ გამოცდებსა და სტიპენდიებზე რომ ფიქრობს ორგაზმის დროს. არ მინდა მე ტყუილი სიჩუმეები, ტყუილი დიალოგები!.. ჩემი დიალოგები მინდა, საკუთარი დიალოგები! აი, ეს ხელებიც რატომ მაქვს ფერმკრთალი, რატომ მიკანკალებს? მინდა, რომ ჩვეულებრივი ხელები მქონდეს და ნაყინის ჭამის დროს მემორჩილებოდეს და შენც მაგრად მიჭერდე ხელს! ხო, აი, ასე. ცოტა ნაზად, რა მოგივიდა!

კაცმა ოდნავ შეუშვა ხელი და უთხრა:

– არც მე მინდა ის ქალი. ლამაზია, მაგრამ სულს ვერ ეხება. არ მინდა ისეთი ცხოვრება, სადაც შენ არ იქნები, არ მინდა ასეთი სწორი არჩევანი, არ მინდა მისი გახამებული საყელო! შენ მინდიხარ! წავიდეთ აქედან!

უცებ მიმტანს მკაცრი ხმით დაუძახა. მივიდა ის მკერდსავსე გოგონა.

ყურში უჩურჩულა:

– ბეჭედი მოიტანე! სასურველია ოქროსი იყოს.

გოგონამ თანაგრნობანარევი ღიმილით შეხედა თვალებში და დაბეჯითებით უთხრა:

– ჩვენ არ გვაქვს უფლება, მიზანსცენას გადავუხვიოთ! შეგვიძლია, ნაყინი დაგიმატოთ ან საფირმო კერძი შემოგთავაზოთ. თქვენ კი უხმოდ მირთმევთ და დაშორდებით. პირველი თქვენ წახვალთ, შემდეგ – ის!

ქალს არაფერი ესმოდა. ძალიან იყო აღელვებული და თავისთვის ლაპარაკობდა:

– ან ეს ამინდიც, ეს აუტანელი ამინდი... მე არ მიყვარს გაზაფხული, მე შემოდგომა მიყვარს, ყვითელი ფოთლები და ჭრელი შარფები. ეს თეთრი ლაბადაც არ მიხდება, მასუქებს... ან ეს ეპოქა, ძველი დრო... რა მინდა ძველ დროში. უცებ რომ კბილი ამტკივდეს?!. მგონი, ჯერ პენიცილინიც არ გამოუგონიათ. თუ გამოუგონიათ... არ მახსოვს, ისტორიაში ცუდად ვერკვევი... სმარტფონების დროში მინდა! მოგენატრება – მისწერ, დაურეკავ. თანაც მე სიგარეტი მინდა მოვწიო და არ მაქვს უფლება!

ლაბადას მივარდა და საიდუმლო ჯიბიდან ისე ამოიღო სიგარეტი „ქემელი“, როგორც რაღაც სანუკვარი. მოუკიდა, თეთრი კვამლი გამოუშვა და შვებით ამოისუნთქა.

– წესები იმისთვისაა, რომ დაარღვიო! – უთხრა საკუთარ თავს და ძლიერი ხველა აუტყდა. არ იცოდა მოწევა, ის ხომ არამწეველი იყო.

ამ დროს მამაკაცი ისევ დიდი მონდომებით ცდილობდა, მიმტანი გოგონა ბეჭდის მოტანაზე დაეყოლიებინა. გოგონა პრინციპული აღმოჩნდა.

– მენეჯერს დაუძახე! – უყვირა უცებ მამაკაცმა და შეშინებულმა გოგონამ უკან დაიხია.

მოვიდა მენეჯერი – სახეზე თავაზიანი ღიმილით. ისიც იმ მიმტან გოგონას ჰგავდა. იქნებ ის იყო... მამაკაცმა საქმის ვითარებაში გაარკვია. მენეჯერმა ხელები გაასავსავა, ვერაფერში დაგეხმარებითო.

მაშინ მამაკაცი წამოიმართა და მთელი კაფე მძევლად აიყვანა ერთადერთი მოთხოვნით, მიეცათ მათთვის ერთად ყოფნისა და დაქორწინების უფლება. ყველას სათითაოდ ჩამოუარა და ულრილა. ირაღი არ ჰქონდა და ძალიან, ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა.

არაფერი გამოვიდა.

არაფერი გამოვიდა.

შუადღისას სკოლიდან უნდა გამოეყვანა ორივეს თავ-თავიანთი შვილები.

დრო აღარ იყო. პასუხისმგებლობები ხომ არასწორად შეყვარებულ ადამიანებსაც აქვთ!..

– ყურადღება! ბავშვების გამოსაყვანად წასვლამდე დარჩა ორი წუთი! – დაიყვირა მიმტანმა გოგონამ მბრძანებლური ტონით და თან ტაში შემოჰკრა, რომ ყველა გამოეფხიზლებინა, მერე ისევ ის ღიმილი აიფარა სახეზე და იკითხა:

– მაშ, დაგიმატოთ თუ არა ნაყინი? თუ ჩვენი საფირმო შემწვარი ვაშლი შემოგთავაზოთ, შოკოლადის გლაზურით?

ხასიათწამხდარმა შეყვარებულებმა ნაყინი მოითხოვეს, უსიტყვოდ მიირთვეს, ანგარიში მოითხოვეს და სხვადასხვა გზით წავიდნენ. პირველი მამაკაცი გავიდა, მერე – ქალი. სხვადასხვა მხარეს წავიდნენ და მას შემდეგ აღარასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს.

„ცისფერი ალუბლები“ კი გაზაფხულის მსუბუქ ნიავში იდგა და თეთრი მსუბუქი ყვავილები ათოვდა. ძველი დრო იყო, ჯაზითა და დარიჩინიანი ფუნთუშების არომატით თვრებოდა რომელიღაც ლამაზი ქალაქი.

ის მკერდსავსე მიმტანი გოგონა მე ვიყავი.

ფეხაკრეფით

ჩვენს სახლში ვარ და არ ვიცი, სადაა ჩემი ადგილი.

ტუალეტში შევიკეტები, წყალს მოვუშვებ და ვიტირებ. რაღა თქმა უნდა, დაბალ ხმაზე, მაგრამ მერე იმას რომ მოუნდეს შემოსვლა, სულ გაგიჟდება. შემიძლია, კარი ღია დავტოვო და ისე ვიჯდე. მშვენიერი აზრია, მაგრამ რომ შემოვიდეს და მკითხოს, რა მატირებს, რა ვუპასუხო?!. ან გაცეცხლდება, ან დამცინებს და აბუჩად ამიგდებს. შეიძლება, მომეფეროს კიდეც. რას გაუგებ...

ჩვენს სახლში ვარ და არ ვიცი, სადაა ჩემი ადგილი.

ის კი ზის თავის დიდ სავარძელში და წერს. გვერდით ვისკის ცარიელი ბოთლები უწყვია და გადაყრის უფლებას არ მაძლევს – უხმაუროდ ვერ გაიტან და ნერვები მომეშლებაო. რითმები მეკარგება, ამეებს რომ აწკარუნებო. სიგარეტის ნამწვებს პირდაპირ ფანჯრიდან ისვრის, საფერფლე თუ გასაწმენდია, დაბლა აფერფლებს. არადა, არ მაწმენდინებს – ხომ ხედავ, ვეწევიო. ყველა სუფრა ამოწვა და უკვე აღარც ვაფარებ. მუსიკას ხმამაღლა უსმენს, მაგრამ ჩემი ჩურჩული ხმაურად ეჩვენება, თავს ატკიებს, რითმებს ურევს. უსმენს ბრამსს, შუბერტს ან კიდევ სხვებს (მე სახელები არ ვიცი)... უსმენს, უსმენს, კულმინაციების დროს კიდევ უფრო აუწევს ხმას, თვალებს ხუჭავს და დირიჟორობს, როგორც დიდი მაესტრო; ზოგჯერ ღრიალსაც ააყოლებს, მერე გაუპარსავ ნიკაპზე გაისვამს ხელს და ტუჩებს ააწკლაპუნებს იმის ნიშნად, რომ მოეწონა. ამ დროს მე გადმომხედავს და უსიკვდილოდ ადგილზე უნდა ვიყო, რომ დამინახოს და მანიშნოს, რა კარგიაო და მეც გავუღიმო იმის ნიშნად, რომ ცამდე მართალია.

ოთახში ფეხაკრეფით დავდივარ. მის პერანგებსა და წინდებს, სიგარეტის კოლოფებს, დაჭმუჭნულ ფურცლებს ვკრეფ, ვგვი, მტვერს ვწმენდ, ვეძებ აბლაბუდებს, რომლებიც თამბაქოს საშინელ ბურუსში აღარც კი ჩანან.

ახლაც თავის გიგანტურ სავარძელში ზის. ხმამაღლა ხვნეშის, ჩაახველებს, ხელს დროდადრო ჭერისკენ აიქნევს და წერს.

არ ვხმაურობ, მაგრამ ჩემი სიარულის ტალღები უშლის ხელს. სიარულსაც ვწყვეტ. საწოლზე ვჯდები და კაბის ბოლოს ვაწვალებ. ასე დიდხანს ვერ ვძლებ. მოუსვენრობა მიპყრობს, რომ მშიერია. უნდა ვაჭამო.

– ხამანწკებს მოვამზადებ, – მინდა ვთქვა და, მგონია, ვამბობ. სინამდვი-

ლეში არაფერსაც არ ვამბობ. ვდგები, ფეხის ცერებით მივდივარ სამზარეულოსკენ. კაბის ბოლოც კი ხელით მიჭირავს, რომ არ იფრიალოს და ჰაერი ზედმეტად არ შეარხიოს.

ხამანწკების წვნიანს ვამზადებ, მას როგორც უყვარს, სწორედ ისე.

მესმის ბარიტონი:

– რისი სუნია? – ვხვდები, რომ ცუდადაა ჩემი საქმე, შეცდომა დავუშვი, რომ არ ვკითხე და ერთხანს ვიმალები. მერე მახსენდება, რომ მას გამეორება არ უყვარს. წინსაფარზე ხელის მშრალებით, გაუბედავად გავდივარ და ხმადაბლა ვპასუხობ:

– ხამანწკებია, – და ვჩუმდები.

– ვერ გავივე, ამოიღე ხმა!

– ხამანწკებია! შენ რომ გიყვარს, – ვამბობ და ბრაზისგან ხმა მიკანკალებს.

– ვიცი, რაცაა. არ მინდა! – ამბობს და ნესტოები ებერება. ეტყობა, ისევ გავაფუჭე რაღაც. ალბათ, სხვა რამე უნდოდა.

– რა გაგიკეთო, შენ მითხარი... – ვამბობ და ვხვდები, როგორ დავიღალე. ის კი მუსიკას ხმას უმაღლებს და ზურგს მაქცევს. ველარ ვხვდები, რას მოითხოვს ჩემგან და ფეხებში ძალაგამოცლილი იქვე ვჯდები.

დრო გადის. ერთი კომპოზიცია, მეორე...

– წამო, რესტორანში ვისადილოთ. ის კაბა ჩაიცვი და ის ქუდი დაიხურე, – ისე მეუბნება, არც მიყურებს.

ამ დროს ყველაზე მეტად მიყვარს. ვიცი, არ უნდა მიყვარდეს. მაინც მიყვარს.

კარადას ვაღებ და მის საყვარელ კაბას ვიცვამ. ტუჩებს წითლად ვიღებავ და თავზეც მის საყვარელ ქუდს ვიფარებ. სხვას ვგავარ ამ ქუდსა და კაბაში. ვგრძნობ, რომ დაღლილი ვარ.

ის, როგორც სჩვევია, უწესრიგოდ იცვამს და მივდივართ.

გასვლის წინ ხამანწკების წვნიანი მახსენდება. უკან ვბრუნდები, ქვაბს ვიღებ, ტუალეტში შემაქვს და წვნიანს უნიტაზში ვასხამ. მერე იქაურობას თვალს ვავლებ და ვფიქრობ – აქვეა პატარა ფანჯარა, აქვე, ჭერზე, რაღაც კაუჭია და ხალათზე – ქამარი, აქვეა სამართებელიც... იქნებ აღარც გავიდე აქედან?! ლამაზი მოვკვდები და ჩემზე დაწერს, ისე, როგორც სხვა ქალებზე წერდა.

ნეტა ლამაზად დაწეროს, როგორც არასდროს დაუწერია...

მაგრამ ეს დაღლილობა და ეს თავბრუ, ეს უცნაური თავბრუ... მგონი, ნიშნავს, რომ ეს კაცი მამა გახდება.

ეს კაცი... ეს კაცი... ჩემი შვილის მამა...

ძნელია პოეტის ცოლობა. მისთვის სულ ცელქი ბავშვი ხარ ან მეზობლის ძაღლი, მაგრამ ხანდახან შეიძლება, მოენატრო, როგორც ცელქი ბავშვი ან, როგორც მეზობლის ფინია, მოგისაკლისოს, გიპოვოს და მოგეფეროს, გამოგაწყოს და რესტორანში წაგიყვანოს და შენ იცი, რომ არ უნდა გიყვარდეს, მაგრამ მაინც გიყვარს.

ხვალ მივატოვებ. ან ზეგ... ან...

ნეტა ეს წვნიანი არ გადამეღვარა. დავჯდებოდი შუაღამისას, შევჭამდი, ერთ ღერ სიგარეტს და დიდი ჭიქით კალვადოსს დავაყოლებდი და სარკეში ვეტყოდი ჩემს თავს: „გახსოვს, როგორი იყავი?“

გავედი. ტყუილად ვალოდინებ.

გვერდიგვერდ მივდივართ.

– რომ დავბრუნდებით, ხამანწკების წვნიანი შევჭამოთ, – ღიმილით მეუბნება, წელზე ხელს მხვევს და მკოცნის.

ხვალ არა, დღესვე მივატოვებ!..

გადამფრენი ჩიტების გორაკი

– გაიღვიძე, ლილიპედ, გაიღვიძე! დღეს სწორედ ის დღეა, ჩვენ რომ ველოდით!

ლილიანამ გაფუებული ბალიშიდან თავი წამოსწია და გაკვირვებული თვალებით შეხედა ჯასპერს.

– როგორ გამოიპარე?

– პფ, სულ ადვილად. ერთი, ორი, სამი და აქ გავჩნდი.

– ისევ დაგიჭერენ და გცემენ.

– უკვე ყველას სძინავს. ჩქარა ჩაიცვი, მივდივართ! ყველაფერზე ვიზრუნე, ორცხობილები მოვიპარე, – ჯასპერმა თითქმის ცარიელ ზურგჩანთას თავმომწონედ გადაუსვა ხელი და დიდი თეთრი კბილები გამოაჩინა.

ლილიანამ გაჩეჩილი თმა მოიქექა და ჩუმად იკითხა:

– აღარ მახსოვს, რა დღეა დღეს. მზებუდობა უკვე იყო. ბოლოს მაშინ გცემეს.

– დღეს ვარსკვლავცვენაა, ლილიპედ. ჩვენ აუცილებლად ვნახავთ მოწყვეტილ ვარსკვლავებს და ოცნებებს ჩავუთქვამთ.

ლილიანამ თვალები გადაატრიალა, მერე საწოლზე დაენარცხა, ბალიში თავზე გადაიფარა და იქიდან მოგუდული ხმით დაიძახა:

– ჯასპერ, კეთილი ინებე და შინ დაბრუნდი, ამ დროს ბავშვებს სძინავთ!

– მშიშარა! შენ თუ არ წამოხვალ, მარტო გავუდგები გზას. გავივლი ქვრივი დების სახლს, ბებერი ჰერმანის მამულს, ავალ გადამფრენი ჩიტების გორაკზე, იქიდან მთელ კონექტიკუტს გადმოვხედავ და, გინდა იცოდე, რას ვიზამ? გინდა იცოდე? – ბალახზე პლედს გავშლი, დავწვები, ცას ავხედავ და ოცნებებს ჩავიფიქრებ! ყველა ვარსკვლავი ისე ჩავარდება ტბაში, რომ შენ ვერ დაინახავ, მერე კი მე არცერთ ოცნებას არ გიამბობ! იმიტომ, რომ შენ ხარ მშიშარა, მშიშარა, ზარმაცი გოგო! წავედი!

ლილიანამ ბალიშის ქვეშიდან ცალი თვალით გამოიჭყიტა, მერე ერთბაშად წამოხტა და იკითხა:

– თბილად ჩავიცვა?

– ხო, ტბასთან ეციება.

– თვალები დახუჭე, უნდა ჩავიცვა!

– ისედაც ხომ ბნელა...

– დახუჭე-მეთქი! უცებ ფარდა რომ აფრიალდეს, დამინახავ.

– კარგი, კარგი, სულ მივბრუნდები! – თქვა ჯასპერმა და ცხვირაბზუებული შებრუნდა.

წავიდნენ.

●

გულაღმა იწვნენ. ცოტათი სციოდათ, მაგრამ ერთმანეთს არ უმხელდნენ. ორცხობილის ნამცეცები ყელსა და სახეზე ეცემოდათ და თვალებს ხუჭავდნენ.

– ეს ორცხობილები ქიშმიშიანია. გიყვარს ქიშმიში?

– მიყვარს. შენ არა?

– მე არ მიყვარს. გინდა, ამოვჩიჩქნი და შეგიგროვებ?

– არც იფიქრო, რომ შენი ტურტლიანი ხელებით ამოჩიჩქნილ ქიშმიშებს შევჭამ!

ჯასპერს გული ეტკინა და მეორე მხარეს გადაბრუნდა. აღარ ლაპარაკობდნენ. მათ სიჩუმეში ტყიდან ცხოველების უცნაური ხმები მოისმოდა. ლილიანას თითქოს არაფრის ეშინოდა, მაგრამ მაინც უნდოდა, რომ ჯასპერთან უფრო ახლოს ყოფილიყო.

– ჯასპერ!

ჯასპერი არ პასუხობდა. თავსაც არ აბრუნებდა.

მაშინ ლილიანა მეორე მხარეს გადახოხდა და დაინახა, ჯასპერს ცრემლები მოსდიოდა, ნაჭამი ორცხობილა მუშტში მაგრად ეჭირა, პლედზე კი ქიშმიშები ჯარისკაცებივით ჩაემწკრივებინა.

– ჯასპერ, მაპატიე. აი, ნახე, სულ შევჭამ, პირში ჩავიყრი და ზედ ქვებს და ბალახებსაც დავაყოლებ! არ გამიბრაზდე რა. გთხოვ, გთხოვ, არ გამიბრაზდე! – ლილიანამ მუჭში მოიქცია ქიშმიშები და პირი გამოიტენა. ჯასპერმა ცრემლები შეუმჩნევლად მოიწმინდა,

ისევ გამოაჩინა დიდი თეთრი კბილები და ჰკითხა:

– ხომ მოგეწონა, ლილიპედ?

– მომეწონა. სულაც არ იყო ტურტლიანი, – ლილიანას ხმა აუკანკალდა. ჯასპერმა ცრემლები ტურტლიანი სახელოებით მოსწმიმდა და ჩაეხუტა.

ისევ გაჩუმდნენ. შერიგების სიჩუმე სასიამოვნო იყო.

მოულოდნელად ლილიანამ ყურში ჩასჩურჩულა:

– გინდა ის გავაკეთოთ, რასაც შერონი და ბილი ძველ ავტობუსში აკეთებდნენ?

– მე არ ვიცი, რას აკეთებდნენ.

– როგორ თუ, არ იცი?! ეს ყველა ბავშვმა დაინახა.

– მე არ დამინახავს. მომიყევი!

– ვერ მოგიყვები, მაგრამ გაჩვენებ.

ლილიანამ თავისი ბავშვური სახე ფრთხილად მიუტანა ჯასპერს სახესთან, ტუჩებზე მოუხერხებლად აკოცა და ფეხები წელზე შემოაჭდო. თან კვნესას მოჰყვა.

ჯასპერმა მოიშორა, წამოდგა და ჰკითხა:

– რატომ ტირი, რამე იტკინე?

– არაფერი მიტკენია. ასე უნდა. იგრძენი რამე?

– რა უნდა მეგრძნო?

დაბნეულები უყურებდნენ ერთმანეთს. ბოლოს ისევ ლილიანამ დაარღვია სიჩუმე:

– ალბათ, საქმე იმაშია, რომ შერონი თექვსმეტისაა, ბილი – ოცის, ჩვენ კი მხოლოდ თორმეტის ვართ, – თქვა და ცას ახედა.

– ალბათ, – დაუდასტურა ჯასპერმა და მანაც ცისკენ აიხედა.

– მცივა.

– მე ყოველთვის გაგათბობ.

– ჯასპერ, შენი აზრით, მალე დაიწყება ვარსკვლავცვენა?

– არ ვიცი. უნდა დაველოდოთ.

– ჯასპერ, შენი აზრით, ყველა ვარსკვლავი ტბაში ჩადის?

– არც ერთი ვარსკვლავი არ ჩადის ტბაში. ჩვენ გვეჩვენება ასე და მოგვწონს ასე ფიქრი. მასწავლებელმა ხომ გვითხრა, რომ ჩვენი ოცნებები ცაში ჰკიდია. საკმარისია, თვალები დახუჭო და დაინახავ.

– მე არ გამიგონია. ალბათ, ეგ გაკვეთილი გავაცდინე.

– სულელი გოგო ხარ, ლილიპედ, მაგრამ მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ.

– მე უფრო დიდი ბიჭები მომწონს, მაგრამ რომ გავიზრდები, ალბათ, ცოლად შენ გამოგყვები, იმიტომ რომ შენ არ ეწევი, არ იპურჭყები და ცუდ სიტყვებს არ ამბობ. ასე რომ, კარგ შვილებს გავზრდით.

ჯასპერს ისევ ეტკინა გული, მაგრამ თან სიხარულის ღიმილი შეეპარა ტუჩების კუთხეებთან.

– დახუჭე, ლილიპედ, თვალები და მითხარი, რას ხედავ?

ლილიანამ თვალები მაგრად დახუჭა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. რომ გაახილა, თავზე ოთხივე მშობელი წამოსდგომოდა და სხვადასხვა მიმართულებით მიათრევდნენ. ჯასპერს სცემდნენ და უყვიროდნენ: „რა გააკეთე? რა გააკეთე?“ ის კი ყვიროდა, რომ ჯერ არ დაწყებულა ვარსკვლავცვენა, მაგრამ არავინ უსმენდა. შეშინებული ლილიანა ტიროდა.

●

ხვალ შინ ვბრუნდები. საზაფხულო კაბა ვიყიდე. მოცისფრო თეთრ ფონზე ჩახჩახა ყვითელი ლიმონები ახატია, მწვანე ფოთლებით. შუაში წვრილი ღილები აქვს, წელამდე მომდგარია და ქვემოთ ზომიერად იშლება. თუ დავბზრიალდები, ფრიალებს. თუ ბზრიალისას თვალებს გავახელ და დაბლა დავიხედავ, შეიძლება, ლიმონების სიყვითლითა და ფოთლების სიმწვანით შექმნილი რგოლები და მათ შორის მოცისფრო, თეთრი სივრცეები დავინახო. სარკეს-

თან ვდგავარ ფეხშიშველი, ვბზრიალებ, თავბრუ მეხვევა, დაბლა ვჯდები და ვირწევი. ფეხები განზე მაქვს დაწყობილი, იატაკს მუშტებით ვეყრდნობი, თან ვმღერი სიმღერას დესმონდსა და მოლიზე, ხმას ვუმაღლებ და მერე უხერხულად ვჩუმდები. ვდგები. ასე არავინ იცვამს, მაგრამ მე მიყვარს, როცა საზაფხულო კაბას ზამთრის ყავისფერ მაღალყელიან ფეხსაცმელს ვუხამებ და მყარი ნაბიჯებით დავდივარ. ვიხდი კაბას, საკიდით ვკიდებ საწოლის წინ, კედელზე, მის ქვემოთ ბათინკებს ვაწყობ. თითქოს მაღალმა ქალმა თავი ჩამოიხრჩო ან დაიღალა, მხრები ჩამოუშვა და ქარები სულ ადვილად გადარკალავენ. დასაძინებლად ვწვები. მახსოვს, ამ დროს ანაბელი ტიროდა, როცა კბილები ამოსდიოდა. ვუმღეროდი სიმღერებს კატის კნუტებზე, ათპატარა ინდიელ ბიჭზე. მისმენდა, ჩუმდებოდა.



ხვალ შინ ვბრუნდები, რადგან, რომელ ბედნიერებასაც ჩავეჭიდე, ყველა მათგანი ხავსივით გამომეცალა ხელიდან. აქ ვეღარ ვიცხოვრებ. ორი თვის წინ ქმარმა დამტოვა. მითხრა, შეშლილი ხარ და სახლში დაბრუნდიო. გულში ჩვილი ანაბელი მყავდა ჩაკრული და ვერ ვტიროდი, მხოლოდ ვჩურჩულებდი. ბავშვობაში ვისწავლე, რომ, როცა ყველაზე მეტად მეტირება, ყველაზე ჩუმად უნდა ვიჩურჩულო ან ყველაზე ხმამაღლა ვიმღერო. მერე მივხვდი, რომ ეს ბალიში იყო და არა ანაბელი. ძალიან შემეშინდა. სწორედ მაშინ მიმატოვა.

ახლა კი ჩემი მარტოობიდან ჩემი ბავშვობის ცარიელ სახლში ვბრუნდები.

ბრიჯპორტის სახლი ცარიელია, იქ არავინ მელოდება. ბებია და ბაბუა დიდი ხნის წინ გარდაიცვალნენ. მშობლებს თვალი ბოლოს მაშინ მოვკარი, როცა ნიუ-იორკში კოლეჯის სტუდენტი ვიყავი. მაღალი კაცის უკან დავიმალე, მათ რომ არ დავენახე. სახლი, როგორც ვიცი, გაუდაბურებულია, მაგ-

რამ ოჯახის დანაზოგით შევძლებ, რომ ყველაფერი გავმართო და ვიცხოვრო.

●

პირველად მიცნეს ქუჩაში სარბენად გამოსული – გახუნებულ კეპში, გაქექილ შარვალსა და ხაკისფერ მაისურში. ამ დრომდე მხოლოდ ოფიციალურად ჩაცმულს მცნობდნენ.

როცა სექტემბრის თბილ, მზიან დილას ცენტრალ პარკის ყვითელფოთლებიან ბილიკებს ძუნძულითა და სვენებ-სვენებით გავუყევი და ჩემი ახალი რომანის დასასრულის სცენებს გონებაში განვიხილავდი, მოულოდნელად, ნეკნებთან, რომელიღაც კუნთი დამეჭიმა. ტკივილის ელდამ რომ გამიარა, იქვე მდგარ ძელსკამზე ჩამოვჯექი. მერეღა შევამჩნიე გვერდით მჯდომი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი. მანაც შემომხედა და რაღაც მითხრა. ვიფიქრე, მეკითხებოდა, ხომ არაფრით დაგეხმაროთო, რადგან კუნთი ძალიან მტკიოდა და ხელით ვიზელდი. ფიქრებში წასულმა, ანგარიშმიუცემლად ვუპასუხე: „არა, გმადლობთ, ყველაფერი რიგზეა“, მაგრამ მან დაჟინებით გამიმეორა:

– მწერალი ჯეი უაიტი არ ბრძანდებით?

– დიახ, გახლავართ.

– რა ბედნიერი შეხვედრაა!.. თქვენი წიგნები მიყვარს, – მითხრა და გულისპირიდან შაქრის პუდრი მორცხვად ჩამოიფერთხა.

– მადლობელი ვარ, – ვუთხარი და ყურებს არ დავუჯერე, რომ ამხელა ქალაქში შემხვდა ქალი, რომელმაც იცოდა ჩემი მცირეტირაჟიანი წიგნების შესახებ და მეტიც, უყვარდა ისინი.

– დიახ, დედა ხშირად მიკითხავდა მათ და ყოველთვის მომწონდა. თქვენ ისე წერთ კოსმოსზე, თითქოს იქიდან იყოთ ჩამოფრენილი. ყოველთვის, როცა ავად ვიყავი, დედა ვარსკვლავცვენის ზღაპარს მიკითხავდა, ახლა კი მე ვუკითხავ ჩემს შვილებს. უფრო მოზრდილებისთვის განკუთვნილ მოთხრობებს კი ჩუმად ვკითხულობ, – თქვა და ეშმაკურად გადაიკისკისა. როგორ უხდებოდა ეს ერთდროულად ნაზი და ამავე დროს ბავშვური, ცელქი სიცილი... წამიერად წარსულში დამაბრუნა.

უცებ პირი მოიწმინდა, პლედი შეისწორა, კალთაში ჩადებულ ქაღალდის ჭრიალა პარკში დონატის დარჩენილი ნახევარი ჩადო, თავი კარგად მოუკრა, თითქოს იქიდან ამოსულ არომატს გზას უკეტავდა და პაკეტი რომ გვერდზე გადადო, ლამაზად მომრგვალებული მუცელი გამოუჩნდა – მიზეზი, რის გამოც ასეთი ლამაზი და ნაზი იყო.

აღარ ვიცოდი, საუბარი უნდა გაგვეგრძელებინა თუ არა. კუნთი უკვე აღარ მტკიოდა. შემეძლო, ავმდგარიყავი და მომესინჯა, გავაგრძელებდი თუ არა ძუნძულს.

მოულოდნელად გოგონამ გვერდით დადებულ უფრო დიდ პაკეტზე მიმითითა და იდუმალი ხმით მკითხა:

– იცით, რა მიდევს ამ პაკეტში?

მე, ამ უეცარი შეკითხვით გაკვირვებულმა, ვუპასუხე:

– ვფიქრობ, ახალშობილის ტანსაცმელი იქნება. ალბათ, უკვე ემზადებით თქვენ და თქვენი მეუღლე ბავშვისთვის, არა? – ღმერთო, რა უხერხული იყო, რატომ ვახსენე მეუღლე! იქნებ სულ არავინ ჰყავს და მარტოხელა დედაა! ენაზე ვიკბინე. მან შემატყო უხერხულობა. შორს, შორს წავიდა ფიქრებში, მერე გაიღიმა, ღრმად ჩაისუნთქა და მითხრა:

– დიახ, აქ ახალშობილის ტანსაცმელია.

– მიხარია, – ვუპასუხე და თავი დავხარე.

იგი წამოდგა. როგორც ეტყობოდა, წასვლა გადაწყვიტა. მეც წამოვდექი. მან ხელი გამომიწოდა.

– მე ეიფრილი მქვია, ეიფრილ შვარცი. დიდად სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა. ჩემი წასვლის დროა. თუ

ოდესმე კონექტიკუტში მოხვდებით, მე და დედა ძალიან გავიხარებთ თქვენი სტუმრობით. ის ვერც კი წარმოიდგენს, რომ მის საყვარელ მწერალს ასე ახლოს ვესაუბრე. მართალია, მამა კარგა ხნის გარდაცვლილია, მაგრამ ბრიჯპორტში ყველამ იცის ექიმი შვარცის სახლი.

თავბრუ დამესხა კონექტიკუტისა და ბრიჯპორტის გაგონებაზე. მუხლებში ძალა გამომეცალა, ეიფრილის სუსტ ხელებს დავეკიდე და დავჯექი. შუბლი დამეცვარა, თვალები დამებინდა, ყურებმა გუგუნი დაიწყო, ხელები გამიცივდა. თითქოს სიკვდილი შემეხო.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე. გონს რომ მოვედი, ეიფრილი ფრთხილად მანჯღრევდა.

– სერ, სერ, როგორ ხართ? მე ეიფრილი ვარ. გემშვიდობებოდით და უცებ ცუდად გახდით. მითხარით, რა შემიძლია, გავაკეთო, ვისთან დავრეკო?

უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე და ვუპასუხე, რომ არაფერი იყო საშიში. ჩემს ასაკში ეს ლოგიკურიც კია-მეთქი, ვეხუმრე და ისევ გამიღიმა იმ ღიმილით, რომელიც მის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე შევიყვარე.

– მაშინ, თუ დარწმუნებული ხართ, რომ არაფერი გემუქრებათ, მე დაგტოვებთ. ალბათ უკვე მელოდებიან.

რომ შებრუნდა, მაშინღა გავბედე:

– ერთი წუთით! თუ შეიძლება, მიბრძანეთ მისის შვარცის სახელი, რომ უკეთ მოგაგნოთ. თუკი, რაღა თქმა უნდა, ოდესმე ბრიჯპორტში მოვხვდები.

– დედაჩემს არასოდეს შეუცვლია ქალიშვილობის გვარი. იგი დღემდე ლილიანა ჰილია. შეხვედრამდე, სერ! – მითხრა და ფოთლების შრაშუნით გაუყვა გზას.

შინ ვბრუნდები.

●

ჯასპერმა არ იცოდა, როდის ბრუნდებოდა ეიფრილი ბრიჯპორტში, მაგრამ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მასზე ადრე ჩასულიყო. მაშინვე მოემზადა გასამგზავრებლად.

იელის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კონექტიკუტში აღარასოდეს დაბრუნებულა, ამიტომაც აღარაფერი ახსოვდა, მაგრამ მაინც გაიკვლია გზა.

როდესაც ექიმი შვარცის სახლის წინ იდგა, თავი ისევ თორმეტი წლის ბიჭად წარმოიდგინა, რომელიც ჰილების სახლის წინ ბოლთას სცემდა და ბურდღუნებდა: „თუ გცემენ, მერე რა! გეტკინება? მერე რა! ლაჩარი ხო არა ხარ?! ეს ლილიპედისთვისაა. ლილიპედმა ვარსკვლავებიანი ცა უნდა ნახოს! ლილიპედმა ყვავილები უნდა ნახოს! ლილიპედმა ჩანჩქერი უნდა ნახოს! ლილიპედმა განძი უნდა იპოვოს!“ და ასე გრძელდებოდა ბოლო ვარსკვლავცვენამდე.

ახლაც ბოლთისცემას მოჰყვა გაუცნობიერებლად. მერე უცებ გაჩერდა.

საღამო იყო. სახლში შუქი ენთო. ვიღაც დადიოდა. ჯასპერმა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს დახედა, თეთრი წვერი შეისწორა, ყელი ჩაიწმინდა და ზარი დარეკა.

ლილიანას სულ ერთი წამითაც რომ დაეგვიანა კარის გაღება, ჯასპერი უსათუოდ გაიქცეოდა. ახლა კი იდგნენ ღია კარის საპირისპირო მხარეს ორნი, დაბნეულები, გაშეშებულები და გაოცებისგან ხმა ვერ ამოეღოთ.

შემოდგომის ქარი უბერავდა, ლამაზ ფოთლებს ურევდა და თითქოს საიდანღაც მოჰქონდა ორცხობილების ტკბილი სურნელი ან შეყვარებულებს ეჩვენებოდათ ასე.

ლილიანა ისევ ძალიან ლამაზი იყო – მაღალი, გამართული, ქალურად მოხდენილი, ჩაუქრობელი თვალებით, მათ ირგვლივ – სამოცდათხუთმეტწლიანი ცხოვრების ისტორიით, რომელიც ძალიან ამდიდრებდა და ამშვენებდა.

ისევ კარში იდგნენ და ისევ უხერხული სიჩუმე იდგა, სანამ ლილიანამ არ

იკითხა:

– როგორ გამოიპარე?

– პფ, სულ ადვილად. ერთი, ორი, სამი და აქ გავჩნდი.

ორივემ გაიცინა. მისაღებში შევიდნენ. დასხდნენ.

– დღეს რა დღეა?

– შენი ნახვის დღეა, ლილიპედ, ჩემო ყვავილო.

– დაგიჭერენ და გცემენ.

– უკვე ყველას სძინავს.

უფრო ხმამაღლა გაიცინეს. ერთმანეთს ვერ ეხებოდნენ, ეშინოდათ.

– ჩაის მოგიმზადებ.

– კარგი.

– როგორი გიყვარს?

– შენი მომზადებული.

ისხდნენ, ჩაის სვამდნენ და ორცხობილებს აყოლებდნენ.

– ქიშმიში არ აქვს, თორემ გამოვჩიჩქნიდი, – იხუმრა ჯასპერმა.

– იმ დღის შემდეგ ქიშმიში შევიზიზღე, – თითქოს მაგიდის გადასაფარებლის ყვავილებს ჩასჩურჩულა ლილიანამ და შეუმჩნევლად მოიწმინდა ცრემლი.

ისევ დაბნეულობა.

– რატომ არასდროს დაბრუნდი ბრიჯპორტში?

– იმიტომ, რომ იმ დღის შემდეგ მაშინვე ნიუ ჰეივენში მიკრეს თავი. სახლი გაყიდეს და აქეთ აღარც მოუხედავთ. ასე ამბობდნენ: ისინი უბრალოდ თავხედი ბავშვები არიან, რომლელთა ნებაზე მიშვებაც კარგს არაფერს მოგვიტანსო. უსამართლოდ მამცირებდნენ. მაფიქრებინეს, თითქოს საშინელება ჩავიდინე და საკმაოდ დიდი ვიყავი, როცა გავაცნობიერე, რომ სიძულვილის მსხვერპლი გავხდი. მხოლოდ რა სახის სიძულვილის, დღემდე ვერ დამირქმევია სახელი. ლილიპედ, ეს არავისთვის მომიყოლია. დიდი დრო დამჭირდა საწოლიდან გამოსაძრომად, მერე – ოთახიდან, მერე – სახლიდან. თანდათან ფეხი ავუწყე ცხოვრებას, მაგრამ ვერასდროს დაგივიწყე, ლილიპედ. ერთხელ ხმა მოვიდა, რომ შენც წახვედი. მას შემდეგ შენზე არაფერი მსმენია. სამუდამოდ დავკარგე შენამდე მოსვლის იმედი. მერე წერა დავიწყე. დანარჩენი უკვე იცი. შენზე მიამბე!

ლილიანა დუმდა. რაღაცაზე ფიქრობდა. მერე ფეხზე წამოდგა, მხრებზე მოსასხამი მოისხა, კართან შედგა, საკიდიდან გასაღები ჩამოხსნა, თავი მოაბრუნა და სულ სხვანაირი გამოხედვით ჰკითხა ჯასპერს:

– მზად ხარ, ნახო, რა დარჩა ჩვენი გადამფრენი ჩიტების გორაკისაგან? წამოდი!

ჯასპერი უსიტყვოდ გაჰყვა. ავტომობილით მიდიოდნენ. გზაში არ ლაპარაკობდნენ. თითქოს ისევ ისე მიიპარებოდნენ, მშობლების უჩუმრად. ჯასპერმა იქაური ადგილები ვეღარ იცნო. მშენებლობების ბუმს სულ გადაესხვაფერებინა ბავშვობისდროინდელი სახეტიალო ადგილები. გორაკი დავაკებული დახვდა, ტბა – დამშრალი. სანახევროდ ამოყვანილი შენობები, გაჭრილი საძირკვლები, თხრილები და მიწაყრილები სიბნელესა და ავტომობილის ფარების შუქზე საზარელ სურათს ქმნიდა.

– გადმოდი!

ჯასპერს შეეშინდა.

– ნუ გეშინია, მე ვიქნები შენი სტალკერი. ჩაიფიქრე ის სურვილი, ვარსკვლავცვენის დროს რომ უნდა ჩაგეფიქრებინა. თუ გავალთ, აგიხდება.

წამით შედგნენ, მერე ხელი ჩაჰკიდეს და წავიდნენ. ღამის სიბნელეში მიდიოდნენ, მიწას წინასწარ სინჯავდნენ ფეხით და ერთმანეთს ენდობოდნენ, როგორც ბავშვობაში.

– ლილიპედ, მიამბე შენზე!

ლილიანა ჩუმად ლაპარაკობდა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა.

– სულ სამი სიტყვა: ბევრი ტკივილი და მოლოდინი. სულ თავშესაფარს ვეძებდი, სულ ვძლიერდებოდი და ისევ ვსუსტდებოდი. პირველი ქორწინები-

დან შვილი დავკარგე, ქმარმა მიმატოვა. დეპრესიამ დამაუძლურა, მერე შინ დავბრუნდი, ვიმკურნალე. ჩემი ექიმი საუკეთესო ადამიანი აღმოჩნდა, ძალიან ნაზად მომექცა და ცხოვრება დამიბრუნა. რამდენიმე წლის შემდეგ ვიქორწინეთ და ეიფრილი შეგვეძინა – ჩემი ცხოვრების გაზაფხული. მერე შენი წიგნები გამოჩნდა. გულში ჩაგიკარი. ეიფრილს ჩვენს ამბებს ვუკითხავდი და თითქოს გეხებოდი. ბედნიერი ვიყავი და დღემდე ასე ვარ. ათი წელია, ქვრივი ვარ. ახლა ეიფრილი ნიუ-იორკში ცხოვრობს და მესამე შვილს ელოდება.

– მე დღეს შევხვდი ეიფრილს და ასე მოგაგენი. მაშინვე წამოვედი.

ჯასპერის ნათქვამს გაკვირვება არ გამოუწვევია. თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო.

გაჩუმდნენ და ერთხანს ასე განაგრძეს გზა.

ლილიანა მამაცად მიდიოდა და უკან მინდობილი მგზავრი მისდევდა.

– ჩვენ ისევ მოხეტიალეები ვართ, ჯასპერ. ერთი დღის ადამიანები. ჩვენი ცხოვრება ერთი დღეა. დილით დავშორდით და საღამოს კვლავ შევხვდით. არაფერზე იდარდო. ბოლოში გავალთ და იქ ცას ავხედავთ. ხედავ? მიწაყრილები მიილია.

– ვხედავ.

– დაწექი!

სველ მიწაზე იწვნენ. ციოდა. ცხოველების ხმა აღარ მოისმოდა. ცაზე ვარსკვლავები არ ჩანდა.

ლილიანამ სიგარეტს მოუკიდა. წამით ორივეს სახე განათდა. ლამაზები იყვნენ.

– შენ ეწევი, ჯასპერ?

– არ ვეწევი, ლილიპედ.

– კარგია, რადგან უფროსი ბიჭები სულ ეწევიან, იპურჭყებიან და ცუდ სიტყვებს ამბობენ.

ლილიანამ ჯასპერს მხარზე თავი დაადო. იწვნენ და არაფრის ეშინოდათ.

– ჯასპერ, იქნებ სწორედ ეს იყო ჩვენი ოცნება – მრავალი წლის შემდეგ ისევ აქ ყოფნა და ოცნებების არქონა.

– ჩემი ოცნება შენი ცოლად შერთვა და ბევრი შვილის ყოლა იყო, ლილიპედ. როგორ მიყვარდი... და ახლა უფრო მეტად მიყვარხარ! – ჯასპერი ტიროდა და არ რცხვენოდა. ლილიანამ ცრემლები მოსწმიმდა.

სიცივე უფრო ჩანესტიანდა. წასვლის დრო იყო.

უცებ ლილიანა წამოიწია და ჯასპერს ყურში ჩასჩურჩულა:

– გინდა ის გავაკეთოთ, რასაც შერონი და ბილი ძველ ავტობუსში აკეთებდნენ?

ჯასპერს შეეშინდა, რომ მისთვის ყველაზე სასურველ ქალთან არაფერი გამოუვიდოდა და თქვა:

– უკვე ძალიან გვიანია, ლილიპედ, – თან მუშტები ისე მაგრად შეკრა, რომ ტკივილისაგან კინაღამ იყვირა.

– ალბათ, საქმე იმაშია, რომ შერონი თექვსმეტისა იყო, ბილი – ოცის, ჩვენ კი უკვე სამოცდათხუთმეტის ვართ, – თქვა ლილიანამ, გაიღიმა და ცას ახედა.

– როგორც ჩანს, ასეა, – უპასუხა ჯასპერმა და იმავე გზით დაბრუნდნენ შინ. ამჯერად წინ ჯასპერი მიდიოდა. ნაზად და ამავე დროს საიმედოდ ეჭირა თავისი სტალკერის ხელი და გზას დასრულებული ცხოვრების მიღმა მიიკვლევდა.

Ივდით კუხიანიძე

მაყვალა

ულამაზესი გოგო იყო მაყვალა – მაღალი, თხელი, ჩამოსხმული ტანითა და გრძელი ფეხებით, შავი ხუჭუჭა თმითა და თეთრი პირისახით, ვარდივით წითელი ტუჩებითა და არისტოკრატიული სახის ოვალით. ალექსანდრე ყაზბეგის მზაღოს ჰგავდა და მასავით თექვსმეტი წლისა იქნებოდა, შვლის ნუკრივით დამფრთხალი რომ მოიყვანა სახლში სადედამთილო ნადიამ. ჰოო, მოიტაცა! აი, ასე: სატირალში იყო ნადია, დაინახა ეს კოკობ-ვარდი, დაავლო ხელი და მეზობლის „ვილისით“ ჭიშკარს მიაყენა.

ღობესთან იდგა მაყვალა, სახლში არ შედიოდა. იდგა და ტიროდა, თეთრი კოფთა ეცვა და ბაილონის შავი ქვედაბოლო. ბავშვივით სლუკუნებდა. კაცმა რომ თქვას, ბავშვი იყო, ქალს ვერც დაარქმევდი.

„ტყვიას ტყვიაში სვამსო!“ – ნადიაზე ამბობდნენ.

მახვშივით იჯდა სახლის ბანზე, გარს სოფლის ქალები ეხვივნენ და ქოთქოთებდა: „სავსე ოჯახი მაქ, ვაჟკაცი ქმარი ეყოლება, მეტი რა უნდა, რა ატირებსო! ი მაგი მამასა არაფერი აბადია, ღატაკია, ე მაგათი გოგოი ქერი ორმოში ჩავაგდეი. აბა, ერთი გაიხედეთ – პადვლები სუ ხახვითა და ერბოთი მააქ სავსეიო“.

მაყვალა კი ორღობესთან ატუზულიყო და საცრისოდენა ცრემლებს აფრქვევდა: წინა საღამოს ჯარიდან წერილი გამოეგზავნა გოგიას: „ხომ დამელოდები, ჩემი მზეცა და მთვარეც შენა ხარო“. ნადიას შვილი ვასო კი ოცდაათი წლისა იყო და გორის სადალაქოში მუშაობდა. სახლში რომ ბრუნდებოდა, „ტრაინოი“ ოდეკოლონის სუნს მთელ სოფელში აფრქვევდა. როცა გაიცინებდა, ოქროს კბილებს აბრჭყვიალებდა; ნეკათითზე ციმბირიდან ჩამოტანილი „პერსტენი“ ეკეთა და ნიკაპს ამ თითზე წამოზრდილი ფრჩხილით იქექავდა – ყველამ ნახეით, რა „პერსტენი“ მიკეთიაო.

ჯერ არ დაბრუნებულიყო ვასო გორიდან. არ იცოდა დედილო ნადიას საქმენი. აი, ჩამოვა და ერთს მაგრად შეაფუცხუნებს: „ეს რა ჩაგიდენია, რომელი საუკუნეა... ქალი არ მიცნობს, არ ვიცნობ, ჯერ კიდევ

ბალღია, მაგი ცოდვაში ფეხ რად მადგმეინებთაო!“

ნადიასა და სოფლის ქალებს მაყვალა კი შინ შემოეყვანათ და ფეხქვეშ გაეფინათ პენუარები და ბაილონები, დირბები და ატლასები, ლალები და ალმასები...

„რა ატირებს ამ სულელსაო. ე მაგი მამა ღარიბ-ღატაკია, მეტი რა უნდაო?!“ – თავს აქნევდნენ დედაკაცები. მაყვალა კი იდგა და კვირტშივე ჩაკლულ სიყვარულს ტიროდა – „ჩემი მზეცა და მთვარეც შენა ხაარო!“

მოვიდა ვასოი. შემოიტანა „ტრაინოის“ სურნელი. მაყვალა რო დაინახა, ჯაყოსავით დაიჭიხვინა და ის პერსტენიანი თითი ისე გაატკაცუნა, ნადია ვიღას ახსოვდა თავის პადვლებიანად ან კიდე მაყვალა – თავის ცრემლებიანად! ღატაკმა მამამ – „აბა, მე რა შემიძლიან, მოტაცებულია და ხალხი რას იტყვისო!“

– „ენგრეა, ენგრე, თანაც ქერი ორმოში ჩავარდა ეგ შენი გოგოი, ქერი ორმოშიო“, – მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ სოფლის კაცები.

ვასო ჭიხვინებდა – „ყოჩაღი დედა მყამსო, ეგრე იცის ნადიამაო!“ და თითებს ატკაცუნებდა. ეკბატანას ვარდი კი კვირტშივე ჩაკლულ სიყვარულს ეთხოვებოდა – „ჩემი მზეცა და მთვარეც შენა ხარო!..“

დილა იყო კამკამა...

დილა იყო კამკამა... რძე მომქონდა ბიდონით...

– შენა მთავრიაანთი არა ხარ?

ვერც ისა ვთქვი და ვერც – ესა. მეძგერა და გულში ჩამიკრა:

– ძიენა ხარ გალახული, მაგრამა თვალებითა ჰგამხარ პაპაშენსაო!

განა არ, მივხვდი, იმანაც ენგრე იცოდა ყურებაიო, სიცილიცაო. აბა, ერთი წარბი შაჭმუხნე, გაბრაზებაშიც ჰგამხარო? მიდი, ჰაა, შაჭმუხნე, გავიგო ერთი, პაპაშენის გორისა ხაარ თუ არაო.

აბა, მე რა ვიცოდი გაბრაზება და წარბის შეჭმუხვნა, რძე მომქონდა ბიდონით და დილა იყო კამკამა! თექვსმეტისა ვიყავ და წარბი მარტო გაფრენილი ვიცოდი. არადა, გინდა თუ არა, წარბი შაჭმუხნე და გაბრაზდი, გამოვიცნო, ნამდვილი მთავრიაანთი ხარ თუ არაო! მე კიდე სოფლის ორღობეში მოვდივარ და ბალიაანთ ზაურას ვეპრანჭები... ბირჟაზე უთქვამს, რა ლამაზი თვალ-წარბი აქვსო და ეს სონა ბაბო კიდევ – „წარბი შაიჭმუხნეო!“ ვჭმუხნი და ვერა ვჭმუხნი, ვბრაზობ და ვერა ვბრაზობ... ან რა გამაბრაზებს – ზაურა მორზე ჩამომჯდარა და თან ხომ ბირჟაზეც უთქვამს...

ვერ ამოიცნო სონამ ჩემში მთავრიაანთი, ვერ „შავჭმუხნე!“ ან რა გამაბრაზებდა – თექვსმეტისა ვიყავ, რძე მომქონდა ბიდონით და დილა იყო კამკამა!



ნახალოვკელი

აგვისტო იყო, თბილისიდან სოფელში რომ ჩამოვიდა. აქაოდა, დედაქალაქელი ვარ და თანაც ნახალოვკელიო, ინდაურივით იფხორებოდა და ზემოდან დასცქეროდა ზუროს კართან შეკრებილ ჯეელობას. გოგოები ნაირ-ნაირ სარაფნებსა და ფერად-ფერად ხალათებს აფრიალებდნენ, ის კიდე ზედ არავის უყურებდა.

„ბასკერვილების ძაღლს“ ვყვებოდი. მოვიდა და ჩამოგვიდგა. აქაურს არა გავხარ, ვინა ხარო? – და ფრატებზე დამცინავად დამხედა. ვიღაცამ უჩურჩულა: „თბილისელია, თანაც ვაკელიო“.

სიგარეტის ბოლი ჩემკენ გამოუშვა, თვალები მოჭუტა, ქათქათა კბილები გააწკრიალა და:

– „ვაკელ სვეცკებს ჩვენი პაკლონიო!“

– „მართალია, რომ შენს უბანში წყლის მაგივრად ყავა მოდისო?“, „ჟუვაჩკა“ ხომ არ გექნებაო“, „ახლა შერლოკ ჰომსია ვაკელების მოდაშიო?!.“ – იცინოდა და იმ თეთრ კბილებს აწკრიალებდა.

სადაც დამინახავდა, თვალებს მოჭუტავდა, სიგარეტს მიწას მიასრესდა და იცინოდა:

– „სვეტების უბანში ახალი რა არიო“, „ვახ, ჩემი დედას ვფიცავარო“, „ეგ რა სახელი დაურქმევიათ, რას გერჩოდნენო...“

მერე სოფელში ხმა დაირხა: იმ ნახალოვკელ ბიჭს ის ვაკელი გოგო უყვარსო!

– „გაიგე, ჩვენზე რას ამბობენო?“

– „არ მაინტერესებს სოფლელების ჭორები-მეთქი!“

– „მართალი რომ იყოსო?“

– „რა უნდა იყოს-მეთქი მართალი?“

– „აი, რასაც სოფლელები ამბობენო“.

თვალები მოჭუტა და სიგარეტის ნამწვი მიწას მიასრისა.

დამცინავად შევხედე:

– „წადი, საქმე ნახე! „ბასკერვილების ძაღლი“ წაიკითხე-მეთქი“ და წყაროსკენ წავედი.

იქ დიდხანს ველოდი... ველოდი, რომ მოვიდოდა და მკითხავდა: – „გიყვარვარ თუ არაო“, მაგრამ არ მოვიდა, მერე კი, როცა შემეფეთებოდა, იმ თეთრ კბილებს გააწკრიალებდა, თვალებს მოჭუტავდა და ამბობდა:

– „ვახ, სვეტებს ჩვენი პაკლონიო“, „ჟუაჩკა“ ხომ არ გექნებაო...“ – და სიგარეტს მიწაზე მიასრესდა.

მე კი ველოდი... ყოველდღე ველოდი, რომ, მკითხავდა – ვიცოდი თუ არა, რას ამბობდნენ ჩვენზე სოფლელები...

ეკითხა, რა იქნებოდა?!

მანანა ყიფიანი

რას გვამცნობს ზღაპარი?!

ალალბედზე ქართული ზღაპრების სქელი წიგნი გადავშალე (ზღაპარი მჭირდებოდა, ოღონდ რომელი, ჯერ არ ვიცოდი)... „ლამაზების ქვეყანა“ – პატარა ზღაპარია...

კითხვა დავიწყე:

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ინდოეთ ხელმწიფე – შადათი. კაცი ამაყი, გულზვიადი და პატივ-დიდების მოყვარული. ქვეყნად რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ ამას მოენდომებინა და ხელთ არ ეგდო. თუ სადმე ლამაზი ქალი აღმოჩნდებოდა, უსათუოდ მის ჰარამხანაში უნდა მიეყვანათ...“ მივხვდი, ეს ზღაპარი არ გამომადგებოდა, თავის დანებებაც გადავწყვიტე, მაგრამ მერე ვიფიქრე, ერთი ბეწო ზღაპარია, თანაც ალალბედზე გადაშლილი, ჩავიკითხავ, რაც იქნება, იქნება-მეთქი.

„...თუ სადმე საუკეთესო ცხენს დაიგულებდა, მანამ არ მოისვენებდა, სანამ არ დაისაკუთრებდა. იმის ხმალ-აბჯარსა და ჯაჭვ-მუზარადს ხომ, ნუ იტყვით, ქვეყნად ბადალი არ მოეპოვებოდა, სასახლეც თავის გუნებისა აიშენა – ბროლ-მარმარილოსი. თანდათან ისე გაიტაცა განდიდებისა და მოხვეჭის სურვილმა, რომ ბოლოს თავის კარ-მიდამოში სამოთხის გაშენება და შიგ ციური ანგელოზების დასახლება გადაწყვიტა. თქმა და ქმნა ერთი იყო. გააშენა სამოთხე, შეამკო ყველაფრით, დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უბრძანა: წადით, მთელი ზღვა და ხმელი დაიარეთ და სადაც კი ანგელოზები ნახოთ, ყველა აქ მომგვარეთო. იმ დროს ანგელოზები დედამიწაზე ჩამოდიოდნენ და მათი პოვნა ძნელი არ იყო...“ (უკვე არ ვნანობდი, ზღაპარს რომ ვკითხულობდი). „წავიდნენ ნაზირ-ვეზირები, შეიპყრეს ყველა ანგელოზი და, დატყვევებულები, ინდოეთის შორეულ გზას გაუყენეს. იმ ადგილას რომ მივიდნენ, სადაც ახლა ჩვენი საქართველოა (???), ინდოეთიდან ამბავი მოუვიდათ, მეფე შადათს ზედმეტი თავგასულობისა და კადნიერებისთვის ღმერთი გაურისხდა და სასტიკად დასაჯა – გველები მიუსია, დააკბენინა და წამებით მოაკვლევინაო. ეს ამბავი ტყვე ანგელოზებმა რომ გაიგეს, დიდად გაიხარეს, შადათის ნაზირ-ვეზირებს აღარ დამორჩილდნენ და ინდოეთში აღარ გაჰყვნენ, მაგრამ აღარც ცაში დაბრუნდნენ. ისე მოეწო-

ნათ ნათელი, მზიანი, ყოველმხრივ შემკული ლამაზი ადგილი, რომ ხელი აიღეს თავიანთ ძველ ადგილსამყოფელზე და საბოლოოდ იქ დარჩენა გადაწყვიტეს...“ (მღელვარებისაგან სუნთქვა შემეკრა...). „ასე დასახლდნენ საქართველოს მიწაწყალზე ციური ანგელოზები. დღევანდელი ქართველი ასულები, ასე რომ ხიბლავს ყველას მათი თვალ-წარბის შუქი, ტანკენარობა, სილამაზე, იმ ანგელოზთა შთამომავლები არიან, ჩვენს ქვეყანასაც საქართველო სწორედ იმ დღიდან დაერქვა, რადგან ინდურ ენაზე „ქართული“ „ლამაზს“ ნიშნავს“.

...სული ისე გამითბა, აშკარად ვიგრძენი, როგორ გამიქრა ყველა ტკივილი და საწუხარი... აგერ, ბატონო, რა მეცნიერული კვლევა-ძიება სჭირდება, საიდანა ვართ და ვინა ვართ? ყველაფერია ნათელია, ვინცა ვართ!

თუკი ვინმეზე „იმუშავა“ ამ ერთი ბეწო ზღაპარმა, ეს მე ვიყავი. ისეთი რწმენა და იმედი ჩამისახა, ისეთი მადლობელი შევიქენი მისი შემთხზველისა, ისე აშკარად დავინახე მისი კეთილი და თბილი თვალები, რომ გული ამიჩუყდა.

„ლამაზების ქვეყანა“ მთელი საქართველოსთვის ხმამაღლა წასაკითხი ზღაპარი აღმოჩნდა, რომელსაც შემთხვევით გადავაწყდი, გამიზნულად კი „მზის ასული“ მდომებია თურმე. იმ პატარა ზღაპარმა გამაფრთხილა, რა გზითაც უნდა იარო, რა დასკვნებამდეც უნდა მიხვიდე, გახსოვდეს, ერთი პატარა ზღაპარი ვარ და შენთვის იმედად ვანთივარო!..

ისე კი, აი, რას ვაპირებდი!

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! (მართლაც და რა იქნებოდა ღვთის უკეთესი?!) – იყო ორი ზღაპარი, იყო ორი ჯადოსნური ბეჭედი, იყო ორი ხასიათი და ბოლოს და ბოლოს, იყო ორი ფენომენი!

ამ ორი ზღაპრიდან ერთი ინგლისურია:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. ქვეყანაზე არაფერი ებადა და ცოლ-შვილიც მშიერ-ტიტველი დაუდიოდა. კაცმა ბედის საძებრად გასწია. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ ჯადოქარს. ჯადოქარმა ჯადოსნური ბეჭედი მისცა – მხოლოდ ერთ სურვილს ასრულებს, მეტს არაო. გახარებული კაცი შინისკენ გამობრუნდა. გზად, ღამის გასათევად, სასტუმროში გაჩერდა. სასტუმროს პატრონს ჯადოსნური ბეჭედის შესახებ ყველაფერი უამბო. ღამით იმ ღარიბ კაცს სასტუმროს პატრონმა ბეჭედი შეუცვალა, თავად ბევრი ოქრო ინატრა და ნანატრ ოქროშივე დაიმარხა. დილით კაცი ვერაფერს მიხვდა; ყალბი ბეჭდით შინისკენ გასწია. ოჯახის წევრებს სიხარულისგან თავგზა აებნათ. თათბირი გამართეს. აღარ იცოდნენ, რა ეთხოვათ ჯადოსნური ბეჭდისთვის. ძროხა ვთხოვოთო, მერე და, ძროხის გულისთვის როგორ შევაწუხოთო... მართლაც, მათ შრომას ფრთები შეესხა და სულ ცოტა ხანში ძროხაც შეიძინეს. ისევ შეიყარნენ სათათბიროდ – მოდი, სახლი ვთხოვოთო. მერე სახლისთვის როგორ წავახდინოთ ბეჭედი, წელებზე ფეხი დავიდგათ და იქნებ სახლი ჩვენ თვითონ ავიშენოთო. დაუზოგავი შრომით სახლიც აიშენეს და ასე მოჰყვნენ, ბეჭედი როგორ შევაწუხოთ, როგორ დავხარჯოთო და, რისი ნატვრაც უნდოდათ, ყველაფერი თავად შეისრულეს. მერე კაცი მოკვდა, შვილებს კი ახსოვდათ, რომ მას ჯადოსნური ბეჭედი ჰქონდა, მაგრამ შვილიშვილებმა სულ არაფერი იცოდნენ. კაცს ბეჭედი სამარეში ჩააყოლეს თურმე“.

ამ ზღაპარმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, და მწვავე სინანული ვიგრძენი იმის გამო, რომ იგი ქართული არ იყო.

მაშ, ასე მოექცა ინგლისელი კაცი ჯადოსნურ ბეჭედს?! ისე მოკვდა, რომ აღარავის ახსოვდა ჯადოსნური ბეჭდის არსებობა?!

მაშინ პატარა ჩანაწერიც გავაკეთე: „სულ ეს არის ინგლისური ზღაპარი,

მაგრამ, როგორ ასახავს იგი თავისი ერის სულს! რა იოლი ამოსაცნობია იგი ჩვენთვის და დასკვნებსაც რა იოლად ვაკეთებთ (მოგვეტევოს „ზერელობა“). ინგლისელი კაცი, ალბათ, მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ საკუთარი შრომით, მხოლოდ საკუთარი ძალებისადმი რწმენით აგებდა თავის ბედს, ზღაპარშიაც ვერ იყენებდა ის ჯადოსნურ ბეჭედს, რადგან იცოდა, არსებობდა ერთადერთი რეალობა – ცხოვრება, რომლისთვისაც თავად უნდა მოევლო; ზღაპარშიაც არ აძლევდა თავს უფლებას, ოდნავ მაინც გაეიოლებინა ყოფა ან სხვის იმედად დარჩენილიყო. ალბათ, ეს თვისება აშენებს ადამიანს, ერს, ქვეყანას...“ იქნებ ვინმემ მითხრას, ის სასტუმროს პატრონიც ხომ ინგლისელიაო?!. მართალია, ინგლისელია, მაგრამ ზღაპარი ღარიბ კაცსაა ადევნებული, მისი ავან-ჩავანი აინტერესებს, ის ჰყავს თვალთახედვის არეალში და ზნეობრივ ქულებსაც მას აგროვებინებს...

უცებ მომინდა ქართული ჯადოსნური ბეჭდის შემოწმება, თუ როგორ ექცევა ქართველი კაცი ჯადოსნურ ბეჭედს და გამახსენდა ის ჩემი „მზის ასული“, რომლის ძებნაშიც იმ ჩვენს პატარა ზღაპარს – „ლამაზების ქვეყანას“ გადავაწყდი.

ესეც ქართული ჯადოსნური ბეჭდის ამბავი – „მზის ასული“:

სამ ძმაში მესამე ძმა ყველაზე მშრომელი იყო. ყანა თავისი ძმების ყანებს შორის ჰქონდა. ერთხელაც სეტყვა მოვიდა და მარტო მისი ყანა გაანადგურა... „მოვიდა პატრონი, დახედა ყანას და დასწყდა გული, მაგრამ არაფერი თქვა, აიღო ნამგალი და გაუდგა გზას ბედის საძებნელად“. ალბათ, ასეთი შემთხვევისთვის იქმნებოდა ანდაზა: „ბედი ხნავს და ბედი თესავს, ბედი მომკის ყანასაო“ (ანდაზით ბევრჯერ შეგაწუხებ, მკითხველო, უმისოდ ფონს ვერ გავალთ, სათქმელს ბოლომდე ვერ ვიტყვით), მაგრამ ბიჭს თავის ბედზე ჯერ გული არ გაუტეხავს. იქნებ ისიც იცის – „ბედი გვიანი სჯობსო“.

ის ერთ მდიდარ კაცს დაუდგა მოჯამაგირედ – რას მომცემ, რომ ყანა ერთ დღეში რომ მოგიმკაო? – შუაზე გაგიყოფო, – უპასუხეს

„დაიწყო გლეხმა ულოს გრეხა. შუადღემდე გრიხა, მერე მოუდო ნამგალი და, ის იყო, ერთი ძნაღა ჰქონდა დარჩენილი შესაკრავი, რომ ჩადის მზე. მოუხადა ქუდი და შეევედრა: – ნუ ჩახვალ, ცოტა მაცადეო! მაგრამ მზემ აღარ მოუცადა. შეკრა გლეხმა ის ძნაც და მოვიდა ყანის პატრონიც. ძალიან გაუკვირდა, ყანა რომ მომკალი ნახა.

– გავიყოთ ახლა შუაზე, როგორც პირობა გვქონდაო! – უთხრა მან დაღლილ მომკალს.

მომკალმა არ უსმინა, გადაუგდო ნამგალი და უთხრა:

– ბედს რომ ჩემთვის სიკეთე სდომებოდა, ამ ერთი ძნის შეკვრასაც დამაცდიდა. რაკი პირობა ვერ შევასრულე, ერთი მარცვალიც არ მინდა, შენ შენთვის და მე ჩემთვისო და წავიდა“.

ინგლისურ თარგზე: – რა უცნაური კაცია ეს ქართველი! სიტყვა ვერ შევასრულეო და ქონება დატოვა. მას ხომ შეეძლო, გამდიდრებულიყო?.. ჩემთვის გაუგებარია, რა ფილოსოფიას გადაჰყვა მაშინ, როდესაც შეეძლო, ბედს სწეოდა!

ამასობაში ქართული ანდაზა თხზავდა: „ბედნიერების გასაღებს მოთმინება იძლევაო“. ჰოდა, ბიჭმაც უნდა მოითმონის. აქ არ მისცა ბედმა, სხვაგან მისცემს!

ინგლისურ თარგზე: – სად ეძებს ეს ხალხი ბედს?

„რას მომცემ, რომ სამი წლის მანძილზე შენს ფარას ერთი ციკნის ყურიც არ დავაკლო, არც სატკივარს მოვაკვლევინო? – ჰკითხა კიდევ ერთ მდიდარს ბიჭმა.

– შუაზე გაგიყოფო! – უპასუხეს.

მართლაც, ისე მოაშენა ბიჭმა ცხვა-

რი, რომ მიწას უმძიმდა მისი ტარება. ის იყო, ბაკში ერეკებოდა ცხვარს გასაყოფად, რომ უცებ მგელი გამოვარდა, ეცა ცხვარს, მოიტაცა და გააქანა ტყისკენ. პატრონი მაინც შუაზე უყოფდა ცხვარს, მაგრამ მეცხვარემ გადაუგდო კავი და წავიდა თავის გზაზე – ბედს რომ ჩემთვის სიკეთე სდომებოდა, მგელი ცხვარს არ მომტაცებდაო“.

ინგლისურ თარგზე: – კიდევ დატოვა ქონება, კიდევ წავიდა, ნეტავ სად მიდის ან რა ბედს უჩივის და სერთოდ, რა კაცია?!

ქართული ანდაზა კი ამასობაში მგელს მისდევდა: „კედელს ცერცვი შეაყარე და მგელს კრავი შეაბრალეო“.

ბიჭი საბოლოოდ დაღონდა: „ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვაო“ – აღარ ახსენდება. უფრო იმაზე ფიქრობს: ობოლს კვერს ბევრი რომ ჰპირდება და არავინ რომ არ უცხობს...

„საკუთარი ყანა სეტყვამ გამიფუჭა, სხვას დღიურ მუშად მოვურიგდი და მზემ არ დამინდო, ცხვარი მგელმა გამაცალა ხელიდან. ჩანს, ბედი არაფერში მწყალობს და დღეიდან აღარც მე შევაკლავ თავს საქმეს. ვივლი ასე ქვეყნიდან ქვეყნად და, რასაც ღმერთი მომცემს, იმას დავჯერდები“.

ინგლისურ თარგზე: – ნეტა, ვის რას საყვედურობს, ვისი რა ბრალია, მე აქ უბედურებას ვერ ვხედავ. აი, უკვე ორჯერ გაუშვა ბედი ხელიდან... და საერთოდ, სად მცალია მე ამის თვალისსადევნელად, ახლა თავისიანებმა მიხედონ, საქმე უკვე წაიხდინა...

მერე ბიჭმა მზის ასული მოიტაცა. ქართული ანდაზა კი ამ დროს ჩასძახოდა: „თუ ჩემი თავი გინდაო, იყავ ყოველთვის წმინდაო“.

მზის ქალი: – მე მზის ქალი ვარ, უბრალო ქალი არ გეგონო! იყოს ნება შენი! აჰა, ეს ბეჭდი, ეს არის ჩემი მზითვი, ამის მეტი არა გამაჩნია რა, მაგრამ ამას ისეთი ძალა აქვს, ორივეს შეგვინახავს: მიწაზე დადებ, სუფრა გაიშლება, სუფრაზე დადებ, საჭმელსასმელი ჩამორიგდება, იქით გასწევ – ჭურჭელი არიგდება, აქეთ გამოსწევ – ჩამორიგდება. ბიჭს ყურშიც კი ჩაესმა: „ობლის მამა ღმერთია!“

ბიჭი: – უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი, საქმეში ხელმოცარული კაცისთვის სწორედაც რომ მისწრებაა. აღარც საქმე შემაწუხებს, აღარც საზრუნავი და რასაც ვინატრებ, მზამზარეული მომივა, ისეთ განცხრომაში ვიქნები, რომ ჩემს ბედს ყველა შენატროდეს!....

ინგლისურ თარგზე: – ეს ბიჭი თვალსა და ხელს შუა გაფუჭდა... თავის თავს საქმეში ხელმოცარულს ეძახის, საქმეში ხელმოცარული არა, მაგრამ ცოტა ტვინში ხელმოცარული უნდა იყოს...

ამასობაში ქართული ანდაზა ბიჭს შეშფოთებულ მზერას არ აცილებს...

ბიჭი: – კარგი ხარ, კარგო ყოფაო, კარგო ცხენო და ჩოხაო!“

უკვე ანდაზის ბუზღუნიც ისმის: „ზოგი კაცი ცხენზე რომ შეჯდება, ღმერთი დაავიწყდება, რომ ჩამოხტება – ცხენიო“, იმასაც მიაყოლებს: „კაცი რომ გამდიდრდება, სახლის კედლები მრუდედ მოეჩვენებაო“, მაგრამ ბიჭი უკვე მთელი ხმთ გაჰყვიროდა: – ხელმწიფე უნდა დავპატიჟოო.

ქალი: – შენს ქერქში დაეტიე, მიუწვდომელს ნუ წაეპოტინები, თორემ ეს ერთი ბეჭედი გაგვაჩნია და მაგასაც დაკარგავ!

ანდაზა გამალებით ჩასჩურჩულებდა ბიჭს: „ბრძენი სიტყვა ითქვა, ბრძენო ყურო სადა ხარო“.

ბიჭი: – უნდა დავპატიჟო, ჩვენი გლეხური ცხოვრება უნდა ვაჩვენო, დაე, დარწმუნდეს, რომ ჩვენც შეგვიძლია ხელმწიფის საკადრისი მასპინძლობის გაწევა.

ანდაზა უკვე ყურში ჩაჰყვიროდა: – „ჭკვიანის სიტყვას რეგვენის ყურში სძინავსო“, მაგრამ ბიჭს უკვე აღარაფერი ესმოდა.

მერე ბიჭმა უბედურება მართლაც

თავად დაიტეხა თავს; „ჭიაყელა რომ გველს წაეზომება, გაწყდებაო“. აღარ ინდობდა ანდაზა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ბიჭს ქალის წართმევით დაემუქრნენ, თუ მზის ერკემალს არ მოუყვანდა ხელმწიფეს. ქალისკენ მიმავალ გზაზე ბიჭს ნიშნისგებით მისდევდა ანდაზა: „ბედი თუ მოგცემს, ცემა-ტყეპით მოგწევსო, კაცმა რომ თავის თავს უყო, მთელი ქვეყანა მიადგა და ვერ უყოო!“

ქალი: – ახლა წუწუნი ვეღარაფერს გიშველის, უნდა ადგე და წახვიდე. ხმელეთს რომ გაივლი, იქ მიხვალ, სადაც მზე და მთვარე ბუდობენ, შენი გასაჭირი იქ მოუყევი, ეგებ გიშველონ რამე!

ეგებ გიშველონ, ისევ ეგებ... ისევ აუტკივარი თავის ატკივება! „თავში კაკუნი ვინ მიყო და ჩემმა ენამაო“ – ისევ გაბრაზებულია ანდაზა, „ჭირვეულისთვის ჭირი არ მშურსო“ – თან დააყოლებს, მაგრამ ბოლოს ისიც დაწყნარდება, მაინც მისიანია ბიჭი და გვერდით ამოუდგება – „ჭირში გატეხა არ ვარგა, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია“, მაგრამ გულში მაინც ეჭვი გაჰკრავს, ისიც იცის, რომ „ჭირი შედის ურმობითა და გამოდის მისხლობითა“.

სიმამრი სიმამრია და ბოლოს და ბოლოს სიძის დახმარება გადაწყვიტა. ოქროს ერკემალი აღუთქვა, ოღონდ, როგორც მასპინძლის წესია, ნამგზავრს ბაღში დასვენება შესთავაზა და მისი დაპურება მგელსა და ჭექა-ქუხილის ბატონს დაავალა.

ინგლისურ თარგზე: არა, ამ ბიჭს, ეტყობა, მართლა ღმერთი სწყალობს და... რადგან ღმერთი სწყალობს...

ანდაზა ამაყად: „ობლის მამა ღმერთია!“

„მოშივდა მზის სიძეს, დაჯდა და დაუწყო ლოდინი“. მოვიდა მგელი და მოუტანა სუფრა, მოვიდა ჭექა-ქუხილის ბატონი და მოართვა სასმელ-საჭმელი. მზის სიძეს ერთი კომბალი ჰქონდა...“

აქ დატრიალდა თუ დატრიალდა ამბავი... სულ ცემით დაასია მგელი და ჭექა-ქუხილის ბატონი ბიჭმა; თქვენ არ დამღუპეთ, პირობა რომ ვერ შეასრულეო?!

მერე რომ ისადილა, მზის ბაღს გაავლო მუსრი...

ინგლისურ თარგზე: – აი, ახლა კი მართლა აღარაფერი მესმის... რა დროს შურისძიებაა. მიზნისთვის მიუღწევია, ყველაფერს იღუპავს, არა, ბატონო, არა, ამ ბიჭთან არაფერი მესაქმება, სულ კარგად ბრძანდებოდეთ!

ანდაზა აღტაცებით: „ძალა დევისა, გახტომა ფურ-ირემისა“ – რა ქნას, ისიც ქართველია ამ ბიჭივით... ეტყობა, ქართველის გვიანი შურისძიებისა უნდა გეშინოდეს!!!

„რადა ჰქენი ასეო?“ – ჰკითხა მზემ სიძეს.

– თქვენ რადა ჰქენით ისე, რომ ერთი საწყალი მამული მეგდო, წამოუშინა ჭექა-ქუხილის ბატონმა სეტყვა, გამიოხრაო. ოთხი წელიწადი ხელმწიფეს ტყუილად ვემსახურე, წილი დამაკარგვინა მგელმაო ან, მე რომ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოვმკე, შევკონე, ერთი ძნაღა მქონდა შესაკრავი, გთხოვე, ნუ ჩახვალ-მეთქი და შენ ყურიც არ შეიბერტყეო?“

მზემ ვეღარაფერი უთხრა, მისცა ოქროს ერკემალი და გაისტუმრა მშვიდობით...

ანდაზა (ახლა უკვე ხიბლში ჩავარდნილი) ამაყად: „ყველამ ღმერთი ახსენა, ლომმა კი კლანჭებზე დაიხედაო...“

ეს ზღაპარი ასე არ მთავრდება, მკითხველო! ანდაზის თქმისა არ იყოს: „ჭირი შედის ურმობითა და გამოდის მისხლობითა“. მისხალ-მისხალ გამოდენა ბიჭმა ჭირი, ბედს ეწია, ხელმწიფის ქონებაც მას დარჩა და იმ მოზღვავებულ ბედნიერებაში უკვე აღარავის ეცალა ფიქრისთვის – „ყველა ძაღლი ერთი ჯოხით არ გაიდენებაო“.

ჰოდა, იყო მესამე ზღაპარიც...

ვიღაც უფრო „ფხიზელმა“ მეზღაპ-

რემ იმ „ძაღლზე“ შეთხზა სწორედ, ჩვენთვის ნაცნობი „ჯოხით“ რომ არ გაიდენება. ანდაზისეული „ძაღლი“ ამ შემთხვევაში ის ადამიანური უგუნურებაა, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, ვერც ვერაფერმა უშველოს, ვერც ადამიანმა და ვერც ღმერთმა...

ჩვენ კი ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ „მზის ასულის“ ბიჭმა „ბედის მაძებრის“ ზღაპარში შეაბიჯა...

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი უიღბლო კაცი. რა საქმისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერი უკუღმა წაუვიდოდა. ერთხელ ადგა და ბედის საძებნელად წავიდა, რადაც უნდა დამიჯდეს, ჩემი ბედი უნდა ვიპოვოო“.

გზაზე ვის არ გადაეყარა ეს კაცი. ყველასთან მივიდა, ყველას გააგებინა თავისი ხეტიალის მიზეზი; ჯერ მგელი შეხვდა, კბილატკივებული ხეს მიჰყუდებოდა. მგელმა რომ გაიგო, ბედის საძებნელად მიდიოდა, იქნებ ჩემი კბილის ტკივილის წამალი გამიგოო. მერე შიმშილით შეწუხებულ ხალხს გადააწყდა. ყანას დავთესავთ, მკათათვეში ცეცხლი წაეკიდება და სულ ერთიანად გადაიბუგება, იქნებ ჩვენი გაჭირვების მიზეზი გაგვიგოო. ბოლოს ერთ ხელმწიფეს მიადგა, რომელსაც მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა და ბრძოლაში მცირერიცხოვანი ჯარის ხელმწიფე ამარცხებდა. ისიც შეეხვეწა, იქნებ ჩემი მარცხის მიზეზი გამიგოო. უიღბლო კაცი ყველას დაჰპირდა დახმარებას. „იარა, იარა და შეხვდა ერთი ჭაღაროსანი კაცი. იმ ჭაღაროსანსაც ჩვეულებრივ მიესალმა, მაგრამ იმან ხმა არ გასცა. კაცი კიდევ მიესალმა და ჭაღაროსანმა კიდევ არ უპასუხა. მესამედაც მიესალმა და არც მესამედ უპასუხა. გაბრაზდა უიღბლო კაცი, ხელი მოჰკიდა და უსაყვედურა:

– რა არის, სამჯერ მოგესალმე და პასუხი რომ არ გამეცი?

ჭაღაროსანმა ახლა კი ამოიღო ხმა და ჰკითხა:

– რა გიდა, კაცო, რას დაეძებო?

– ჩემს ბედს დავეძებ და უნდა ვიპოვოო! – მიუგო კაცმა.

– მე ვარ შენი ბედი, რას მთხოვო? – შეეკითხა ჭაღაროსანი.

– სათხოვარი ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერ სხვათა დავალება უნდა შევასრულოო, – უთხრა კაცმა.“

რა უცნაური შეხვედრაა... გამარჯობა არ აღირსა ჭაღაროსანმა უიღბლო კაცს. თითქოს წინასწარ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, რაღაცით გამოსცადა, რაღაცაზე შეამოწმა... ეტყობა, ცოტა მიედმოედი მოეჩვენა ბედის მაძებარი კაცი... მაგრამ განა ივარგებდა, ამ ჩვენს კაცს მარტო თავის თავზე რომ ეზრუნა და სხვათა გასაჭირზე არ ეფიქრა?! და მაინც რაღაცით არ მოეწონა ეს კაცი ჭაღაროსანს. ეტყობა, ჩვენზე მეტი „მართლა“ იცის სხვათა ბედის გამგებელმა...

და უამბო კაცმა ბედს ყველას გასაჭირი. ბედმა ყველას სატკივარი აუხსნა. მგელზე უთხრა, ყველაზე დიდი ვირის ტვინი შეჭამოს და მორჩებაო. მოშიმშილე ხალხზე უთხრა, იმ ყანაში ოქროვერცხლია დამარხული, მკათათვეში ცხელდება და ცეცხლი იმიტომ ეკიდება, ამოთხარონ და მოისვენებენო, მეომარ ხელმწიფესთან დაავალა – ჯარის სარდლები შეცვალოს და გაიმარჯვებსო, თავის თავზე კი აი, რა უთხრა:

„თუ მიხვდები და გამოიყენებ, შენი ბედი უკან რომ დაბრუნდები, გზაზე შეგხვდებაო“.

„თუ მიხვდები და გამოიყენებო“. ეტყობა, წინასწარ შეატყო ჭაღაროსანმა, რისი მიმხვედრი და გამომყენებელიც იყო უიღბლო კაცი.

„გამობრუნდა უიღბლო კაცი და წამოვიდა შინისკენ. მივიდა დიდჯარიან ხელმწიფესთან და უთხრა, ჯარის სარდლები შეცვალე და გაიმარჯვებო... ხელმწიფემ მაშინვე შეცვალა სარდლები და კაცს უთხრა:

– მოდი, ბარემ, ომს დამესწარი და, თუ გავიმარჯვე, დიდძალ ოქრო-

ვერცხლს მოგცემო.

კაცი არ დაჰყაბულდა – გზაზე ჩემი ბედი მიმელის და ის უნდა ვიპოვოო. უთხრა და წამოვიდა. მივიდა მხვნელ-მთესველ ხალხთან და იმათაც უთხრა თავიანთი გაჭირვების წამალი.

ხალხმა სთხოვა, რაკი ასეთი სიკეთე გვიყავი, მოდი, ბარემ შენც შემოგვიერთდი მადნის მოთხრაში და ნახევარს მოგცემთო, მაგრამ კაცი არ დაჰყაბულდა – მე გზაზე ჩემი ბედი მიმელის და ის უნდა ვიპოვოო.

იარა, იარა და ბოლოს ტკბილმტკივან მგელთან მივიდა.

– აბა, გამიგე თუ არა ჩემი კბილის ტკივილის წამალიო?

– შენი კბილის ტკივილის წამალი ვირის ტვინი ყოფილა, როგორც კი შეჭამ, მაშინვე მოგირჩებაო.

– შენს გასაჭირზე რაღა გითხრაო? – ჰკითხა მგელმა.

კაცი დაჯდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო: როგორ შესთავაზეს – ხელმწიფემ დიდძალი ოქრო-ვერცხლი (თუ გაიმარჯვებდა) და მხვნელ-მთესველებმა – მადნის ნახევარი და დააყოლა: მე ყველფერზე უარი ვთქვი და ჩემი ბედის საძებნელად წამოვედიო.

მგელმა თავი გააქნია – ამაზე დიდი და უჭკუო ვირი ამქვეყნად, ალბათ, მეორე არ მოინახებაო, – თქვა გუნებაში. – სწორედ ესა ყოფილა ჩემი კბილის წამალიო, – წამოაქცია კაცი და ტვინიან-ხორციანად შეჭამა“.

როგორც ხედავ, მკითხველო,ზღაპარი მეტად სევდიანია და კეთილად არ მთავრდება, იმედის ნასახსაც არ გვიტოვებს, თუმცა იმედი ის არის, ასე არ უნდა მოვიქცეთ და გვეშველებაო, მაგრამ რას ჰქვია „მოვიქცეთ“, თუ „მოქცევა-არმოქცევის“ გონი არ გვექმნა და არც არასოდეს გვექნება?! ზღაპარი იმიტომ შეითხზა, ჩვენ გავეფრთხილებინეთ, ყველა საქციელს გონი დაატანეთ და, თუ ვერ საჭიროს მოიძიებთ, სხვას მაინც დაეკითხეთ – ჭკუას გვარიგებენ და ყური უნდა დავუგდოთო.

და ბოლოს, ეს ლამაზების ქვეყანა მარტო ფიზიკურად ლამაზ ხალხს ხომ არ გულისხმობს?.. ლამაზს ხორციცითაც და სულითაც – გონიერს, მაღალს, უხვს, მდაბალს, მოსამართლეს, მოწყალეს... გონისა და სიბრძნის გარეშე ყველაფერი ფუჭია, მკითხველო... „ბრძენი სიტყვა ითქვა, ბრძენო, ყურო, სადა ხარო?“ არც გონი აკლია ქართულ ზღაპარს და არც სიბრძნე და, თუ ხშირად მივაკითხავთ, უფრო მეტსაც შევიტყობთ საკუთარ თავზე...

ზაზა აბზიანიძე

გზა ხარფუხიდან მთაწმინდამდე (იოსებ გრიშაშვილი)

გრიშაშვილის ცხოვრებისთვის თვალის მიდევნება ივანე გომართელის ლიტერატურული ჩანახატით მინდა დავიწყო, რადგან თანამედროვის თვალი ისეთ დეტალს შენიშნავს, რომელიც დროთა სიშორეში გაუჩინარდება ხოლმე: *„ტანმორჩილი და მკვიდრად შეკრული. სანდომიანი და მარილიანი. მშვიდი და წყნარი. თავმდაბალი და უწყინარი. თავდაჭერილი და თავაზიანი, დარბაისელი და ზრდილი. ენა-ტკბილი და ენა-გესლიანი. უბრალო – მიხვრა-მოხვრაში და წყნარად მოსიარულე. მუდამ თავის შიგნით მზირალი. პირველის შეხედვით, თითქოს ცივი, ანგარიშიანი, მაგრამ მუდამ შინაგნი ცეცხლით აგიზგიზებული და წმინდა სიგიჟემდე გატაცებული. ტკბილად მოსაუბრე და ცეცხლისმფქვეველი, ნაზი და ტლანქი. განვითარებული და ველური, ევროპიელი და აზიელი. მუდამ კი ტფილისზე შეყვარებული. ქართული სიტყვის მხატვარი და ხუროთმოძღვარი, – აი გრიშაშვილი“* (ივანე გომართელი – „გრიშაშვილის პროფილი“).

სად უნდა დაბადებულიყო ეს „ტფილისზე შეყვარებული“ პოეტი, თუ არ ისეთ უძველეს უბანში, როგორიც ხარფუხია – აბანოთუბანსა და ორთაჭალას შუა რომაა მოქცეული. თუ როდის, ზუსტად რომც არ გახსოვდეთ, მიახლოებით მაინც იტყვით, რომ ეს XIX საუკუნის ბოლო უნდა იყოს, როდესაც თბილისს ჯერ კიდევ შერჩენოდა თავისი გამორჩეული იერი, ხოლო მის მაცხოვრებლებს – არანაკლებ განუმეორებელი კოლორიტი.

ამ კოლორიტს კლასიკურად განასახიერებდა უბანიც და – ხარფუხელი ხელოსნის, გრიშა მამულაშვილისა და მისი ცოლის – გაქართველებული სომხის, ეკატერინე ოჰანეზიშვილის (იმედია, პოეტის ფსევდონიმის წარმომავლობაც ნათელი გახდა) ოჯახიც. მაინც დავაზუსტებ ღირსშესანიშნავ თარიღს პოეტის დაბადებისა – 1889 წლის 23 აპრილი.

იოსებ გრიშაშვილი სევდანარევი იუმორით ყვებოდა თავის თავზე:

„ეს იყო 1905-1906 წელს... ვიქნებოდი 16 წლისა. მამა ორი წლის მკვდარი

მყავდა, დედა – გათხოვილი. მედუქნეები პატივსა მცემდნენ, როგორც „წიგნის კაცს“ და მეც ხშირად მთელი საათობით მიკითხავს მათთვის „ყარამანიანი“, „ქალვაჟიანი“, „ჩარდავრიშიანი“ და საამოდ სასმენელი სხვადასხვა ამბები თუ ზღაპრები...

ამ იარაღით დავუახლოვდი უბნის ქალიშვილებსაც. ჩემი ფრონტი ეხლა ლამაზებში გადავიტანე და წიგნებით გავავლე დემარკაციული ხაზი ოცნებასა და სინამდვილეს შორის.

სიყვარულით არავინ მიყვარდა: ყველას ერთნაირად ველაზღანდარებოდი. მოვწონდი ხანში შესულ ერთ ბანოვანს, რომელსაც – გაუთხოვრად დარჩენისათვის – მეზობლები „ბედმოძვირებულს“ ეძახდნენ. შევეჩვიე. საქმე ისე მოეწყო, რომ ან უნდა შემერთო, ან თავი დამენებებინა. მეზობლები დამცინოდნენ: „ერთი დედა გაისტუმრე სახლიდან და ეხლა მეორე გინდა მოიყვანოო?“ ყური მოვიდვრინე. საქმე, რასაკვირველია, ჩაიშალა. ალბათ, ამიტომ არის, რომ მას შემდეგ „ოჯახურ სიმყუდროვეს“ ალმაცერად შევყურებ. ამ გარემოებას იმ ხანებში მრავალი ლექსი ვუძღვენ, რომელთაც ბალღობის იერი დაჰკრავდა. გაიტაცეს ეს ლექსები უბნის ყარაჩოღელებმა და ქუჩა-ქუჩა მღეროდნენ ქეიფის დროს. ბოლოს, ბუკინისტ არნაუტოვის წინადადებით, შევაგროვე ეს ლექსები და მისივე გამომცემლობით „გუტენბერგის“ სტამბაში დაიბეჭდა ჩემი ლექსების პატარა კრებული, სახელად „ფანტაზია“.

პოეტი იმასაც იხსენებს, მისი „წკიპურტებით“ განაწყენებულმა მეზობლებმა როგორ გაუნადგურეს პირველი წიგნის მთელი ტირაჟი... შემდგომ თეატრი გამხდარა მისი სანატრიონი (განზრახ ვიყენებ აქ ჩვენი მეტყველებიდან გამქრალ და ოდენ გრიშაშვილისეულ, უნიკალურ „ქალაქურ ლექსიკონში“ აკინძულ სიტყვა-მარგალიტებს) და ხარფუხის სცენისმოყვარეთაგან პატარა დასი შეუდგენია: ***„ხარფუხში წარმოდგენების მართვა რომ მოგვბეზრდა, ზაფხულობით დავიწყეთ „გასტროლები“. ჩვენი მარშრუტი განისაზღვრებოდა შემდეგი სოფლებით: დიღომი, წყნეთი, ავჭალა, მცხეთა... სოფლებში წასასვლელად წინა დღით ურმებს ვქირაობდით, ნაშუაღამევს თბილისიდან გავდიოდით, რომ დილით დანიშნულ ადგილას ვყოფილიყავით...“***

ძველი თბილისის „თეატრალური ბოჰემა“ 1913 წელს დაიშალა, თუმცაღა, თეატრით გატაცება იოსებ გრიშაშვილს მთელი ცხოვრება გაჰყვა.

განსაკუთრებული სითბოთი იგონებდა იგი ვალერიან გუნიასთან ნაცნობობას, თავის სუფლიორობას სხვადასხვა თეატრალურ სცენებზე, საგასტროლო მოგზაურობებს: ***„გულწრფელად უნდა ვთქვა, – წერდა გრიშაშვილი. – რომ მსა-***

ხიობთა წრეში ყოფნამ აღმზრდელობითი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. არც ერთ წიგნს არ შეეძლო ჩემთვის იმდენი სულიერი საზრდო მოეცა, რაც მომცა იმ მოგზაურობამ – საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რომ იმართებოდა მესხის, მესხიშვილის და გუნიას ინიციატივით" (ისე, სისტემატურ სწავლა-განათლებას რაც შეეხება, თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის არასრული კურსი ჰქონდა გავლილი).

მართლაც, თეატრალური გარემოს დამსახურება იყო, სანათურის შუქზე სულმოუთქმელად წაკითხული წიგნებისა, თუ მაინც იმ მოუსვენარი ნაპერწკლისა, ასერიგად რომ განასხვავებს დაბადებით პოეტს ყველა სხვათაგან, მაგრამ, 1911 წლისათვის უსახსრო და უპატრონო ხარფუხელი ყმაწვილი უკვე ხუთი პოეტური კრებულის ავტორია. „კრებული" – სოლიდურად ჟღერს... თხელყდიანი, სიფრიფანა წიგნებია, მაგრამ მაინც წიგნები: პირველი აქედან („ვარდის კონა..." – 1906 წ.), როგორც მოგახსენეთ, განაწყენებულმა მეზობლებმა აკუწეს (ავტორის ნაცვლად!); მეორე, მომდევნო წელს გამოცემული, არანაკლებ „ორიგინალურადაა" დასათაურებული – „ფანტაზია"; ერთი წლის შემდეგ გამოდის „ზურნა"; 1909-ში – „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან"; და ბოლოს, კიდევ ორწლიანი ინტერვალით, 1911-ში, არც მეტი, არც ნაკლები – „ოცნების კოცნა".

ადვილი გამოსათვლელია, რომ იოსებ გრიშაშვილი ამ დროისათვის სულ ოცდაორი წლის იყო; არც ისაა ძნელი შესამჩნევი – რა ბანალური და „დამტკბარია" მისი პირველი წიგნების სათაურები (იმასაც დავუმატებ, რომ „შიგთავსი" სავსებით შეესატყვისებოდა ამ „შაქარყინულს"...). ხელოვნებაში დეკადანსი ზეობს და არ დარჩენილა მისი ჟანრი, რომელიც „მკვნესარე ჩანგებს", „ცისფერ ბალდახინებს", „დამჭკნარ ვარდებს", „მომაკვდავ გედებს" და ნისლში ჩაკარგულ საფლავებს არ „დაემშვენებინათ". მთელი დასტა პოეტებისა უმოწყალოდ რითმავს მეტაფორათა ამ „რეკვიზიტს"...

ორადორი პოეტი იყო, რომელთაც იმხანად მაინც დააღწია თავი ეპიგონური თემების, სახეებისა და ინტონაციების მოჯადოებულ წრეს – გალაკტიონ ტაბიძე და იოსებ გრიშაშვილი – ხასიათითაც, მსოფლაღქმითაც და მწერლური მანერითაც უკიდურესად განსხვავებულნი. მიუხედავად ამისა (ან ეგებ – სწორედ ამიტომ) – ერთმანეთისადმი გულწრფელი ურთიერთსიმპათიით გამსჭვალულნი. მათ იმჟამინდელ ურთიერთობას ნამდვილად შეიძლება, დაერქვას მეგობრობა. ისიც ნიშანდობლივია, რომ მათი ჭეშმარიტი პოეტური ინდივიდუალობის დამკვიდრება ერთსა და იმავე პერიოდში შედგა: გალაკტიონისთვის ეს იყო ჩვენთვის კარგად ნაცნობი „არტისტული ყვავილების" გამოცემა (1919 წ.), გრიშაშვილისათვის – „რჩეული ლექსების" პირველი ტომი (1914 წ.). ჩვენ კარგად ვიცით, რომ გალაკტიონისა და გრიშაშვილის საეტაპო წიგნებს დღეს ტოლფასი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი საუკუნის წინ ასე ნამდვილად არ იყო.

1910-იან წლებში იოსებ გრიშაშვილი – უპოპულარესი ახალგაზრდა პოეტია. შემთხვევითი არ იყო, რომ 1910 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქუთაისიდან დეპეშა მიიღო: „ილიას ტრადიციულ საღამოში მონაწილეობის მისაღებად ვაჟა-ფშაველა და ახალგაზრდა გრიშაშვილი გამოგვივგზავნეთო". ისიც სიმბოლური იყო, რომ 1914 წელს „ქართულ თეატრში" გამართულ გრიშაშვილის პოეტურ საღამოზე აკაკიმ ალექსანდრე ჭავჭავაძის, ბარათაშვილისა და თავისი ლექსების შემდეგ, ზეპირად წაიკითხა გრიშაშვილის ლექსი – „შენ ხარ ღვთაება". თვითონ გრიშაშ-

ვილს, როგორც ეტყობა, ეს ლექსი მაინცდამაინც არ მოსწონდა (ყოველ შემთხვევაში, 1949 წელს გამოსულ თავის 600-გვერდიან რჩეულ ერთტომეულში არ შეიტანა).

რითი მოხიბლა ახალგაზრდა სოსო მამულაშვილმა იმდროინდელი ქართველი მკითხველი და როგორ შეძლო მხატვრული „რეკვიზიტის“ ბანალურობით დასაჭკნობად განწირული თავისი „თაიგულისათვის“ სინედლე და სიცოცხლის სურნელი შთაებერა?! აქ „სიცოცხლის სურნელის“ ნაცვლად, „ქალის სურნელი“ რომ დამეწერა, უფრო ზუსტი იქნებოდა. ამ პირველსაწყისს გრიშაშვილის პოეზიისა „ქალაქის კოლორიტსაც“ თუ დავუმატებთ, ჩავთვალოთ, რომ დავასახელეთ ის ორი დომინანტური თემა, რომლითაც გრიშაშვილმა თავი დაიმკვიდრა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში.

„ქალი“ და „ქალაქი“ – ვის არ უწერია ამ თემაზე?! მაგრამ იოსებ გრიშაშვილმა ისეთი ბესიკისებური ეროტიზმით დამუხტა თავისი სასიყვარულო ლირიკა, თითქოს მის ზეაღტაცებულ კოლეგებს ქალი საერთოდ არ ენახათ, ხოლო, ვისაც ენახა, ლექსად ვერ გამოთქვამდა. აბა, ვინ დაგიწერდათ გასული საუკუნის დასაწყისში ამგვარი ეროტიზმით დამუხტულ სტრიქონებს, ვინ გაბედავდა ეს რეფრენი – „შენ გაირყვნები...“ ისეთ კონტექსტში ჩაესვა, რომ მკითხველთა უმეტესობა, რამდენიმე უბინო კნეინის გარდა, ამ „გაირყვნების“ ნაცვლად, ავტორისავე შეფარულად ნაკარნახევ ვერსიას წარმოთქვამდა (ანუ – „შენ მოი.....ბი“):

შენ გაირყვნები... აშკარა არი...
ვგრძნობ შენს დაცემას
წინასწარულად.
შენი სხეული ნაქანდაკარი,
ხელიდან ხელში წავა ფარულად.
შენ გაირყვნები, როგორც
ბიანკა,
მე ასე ვფიქრობ... მე ასე მჯერა...
შენ გაირყვნები... ო, ისე
ტლანქად,
როგორც არავინ გარყვნილა
ჯერა!
. . . . . .

(„შენ გაირყვნები...“)

ფენომენი, რომელსაც ფსიქოლოგები „ვუაიერიზმს“ უწოდებენ (ყოველდღიურობაში საკმაოდ დიდი დიაპაზონი აქვს: ცნობისმოყვარე ბავშვების მიერ მშობლების სექსის თვალთვალით დაწყებული და დამთავრებული დურბინდმომარჯვებული პენსიონერებით), ხელოვნებაში სრულიად იერცვლილი (არაპერვერსიული) სახით მოგვევლინა. აქ შუასაუკუნოვანი იაპონური ეროტიკული გრაფიკაც შეგვიძლია გავიხსენოთ (მთელი სერიებია ნამუშევრებისა, სადაც თეჯირს ამოფარებული, მეტრფეთა წყვილის მოთვალთვალე მოახლე ქალი – ტრადიციული სიუჟეტური კომპოზიციის აუცილებელი კომპონენტია).

ისიც ნუ გაგიკვირდებათ, თუ გრიშაშვილის ეროტიკული სტრიქონების სემიოტიკა ახალ ფრანგულ კინემატოგრაფთან და მის მკვლევარებთან მიგვიყვანს. კინემატოგრაფის სემიოტიკის გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი ქრისტიან მეტცი, თავის წიგნში – „წარმოსახული აღმნიშვნელი. ფსიქოანალიზი და კინო“ – ჟაკ ლაკანის კვალში ჩამდგარი, აანალიზებს, როგორ გამჟღავნდება ხოლმე ხელოვნებაში (რაიმე აფექტურ ჟესტში, წამოძახილში ან თუნდაც დაუმთავრებელ ფრაზაში) ე.წ. „კონკრეტული სურვილი“. ამ თეზის საილუსტრაციოდ გრიშაშვილის „აპრილი თბილისში“ მოვიხმოთ:

. . . . . .
სადა ხართ, ლამაზმანებო,
მოდით, დამათვრეთ ბუნებით,
ამივსეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უზალთუნებით.
თორემ ვბერდები... და გულმაც
ლოდინის შხამი დალია...

ჰაუ, რა კარგი დღე არის!
ჰაუ, რამდენი ქალია!

ხომ ცხადია, რომ ფინალის ბოლო სიტყვის წარმოთქმას პოეტი ისევ და ისევ მკითხველს მიანდობს და ძახილის ნიშნის ნაცვლად წამოაძახინებს – „ასათვისებელი!“ (აქ, ცხადია, ევფეიზმს მივმართე).

დღეს, როდესაც იოსებ გრიშაშვილს XX საუკუნის ქართული პოეზიის კლასიკოსის შარავნდედი მოსავს, მისი ლირიკის ეროტიზმის ხაზგასმა ვინმეს შესაძლოა, ეხამუშოს, მაგრამ სწორედ ეს უნიკალური (ქართული პროფესიონალური პოეზიისათვის – ხალხურში საპირისპირო სურათია) იმპულსი ძერწავს იოსებ გრიშაშვილის განუმეორებლობას და, როდესაც მისი თანამედროვენი, სერიოზულად თუ ხუმრობით, მის გამორჩეულ თვისებაზე მიუთითებდნენ, სწორედ ამ თემას მიადგებოდნენ (მაგალითისათვის, შეგიძლიათ, გაეცნოთ აკაკი შანიძის ეპიგრამას გრიშაშვილისავე შედგენილ კრებულში „ბილწსიტყვაობა“, რომელიც ნოდარ გრიგორაშვილმა გამოსცა 2014 წელს).

ღმერთო, როგორ არ ჰგავს ეს ყველაფერი გალაკტიონისეული ტრფობის იდეალს – *„რაც უფრო შორს ხარ – მით უფრო ვტკბები!“...*

ახლა – ქალაქი: თბილისზე დაწერილი ლექსებიდან მთელი ანთოლოგიებია შედგენილი, მაგრამ აქაც არავინ ქართველ პოეტთაგან გრიშაშვილისებრ არ ჩასწვდომია თბილისის კოლორიტის განუმეორებლობას: ეს აისახა არა მხოლოდ ამ კოლორიტზე ამოზრდილ მის ლირიკაში, არანაკლებ (ან კიდევ უფრო!) მის არაჩვეულებრივ „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაშიც“. ამ პირობით სათაურქვეშ ვეცნობით არა მარტო აშუღებსა და მესაზანდარეებს, აქაა თბილისური ამქარიც თავისი ურღვევი ტრადიციებით; ქალაქელთა საკვირაო გართობაც – მუშტი-კრივი; აბანოში „ვიზიტის“ ცერემონიალიც; დღეობებიც, ქორწილებიცა და იმპროვიზირებული წარმოდგენებიც; სამზითვო სიებიც... და კიდევ ათასი „რაგინდარა“ (კვლავ გრიშაშვილისავე „ქალაქური ლექსიკონი“ რომ მოვიშველიო) აზიისა და ევროპის გზის გასაყარზე წარმოქმნილი ამ უნიკალური ქალაქური კულტურის წარსულიდან.

„ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემას“ (1926-1927 წ.წ.) წინ უძღოდა იოსებ გრიშაშვილის პირველი მონოგრაფია – „საიათნოვა“, რომელშიც ავტორისათვის ესოდენ საყვარელი აშუღი მგოსნის ცხოვრებისეული და პოეტური გზა წარმოსახული იყო ახლა უკვე XVIII საუკუნის ტფილისური ცხოვრების ფონზე. ამიტომაც, „ბოჰემის“ მკითხველი ამ წარმტაც წიგნს აღიქვამდა, როგორც „საიათნოვას“ თემებისა და განწყობილებების ერთგვარ გაგრძელებას.

ისიც ცხადია, რომ ეს თემები და განწყობილებანი ასაზრდოებდნენ საკუთრივ გრიშაშვილის ლირიკის თვისობრივ გამორჩეულობას.

მოდი, ჩვენც გადავიკითხოთ ერთერთი იმ ლექსთაგან, აკაკისებრი სისადავითა და სიწრფელით ასერიგად რომ ეხმიანებოდა გრიშაშვილის გულდათუთქულ მკითხველთა განწყობილებებს:

რად მიყვარდი, რად გეტრფოდი,
ვნებით გული რად მითრთოდა,
ნეტავ შენგან რას ველოდი, –
რა მინდოდა, რა მინდოდა?!

ვით ფარვანა, გევლებოდი,
ლხენით ფრთები მემსხვრეოდა,
მე თვით მიკვირს, რად ვკვდებოდი,
რა მინდოდა? რა მინდიდა?
ჩემი გულის მოწოდება
სწორი მიზნით მიდიოდა,
რად გიხილე? რად ვიწვიდი?
რა მინდოდა, რა მინდოდა?

რად არ მითხარ, თუ იცოდი,
რომ ეგ გული სხვისკენ რბოდა,

რად მომშხამე, რას მერჩოდი? –
რა გინდოდა?! რა გინდოდა?!
(„სინანული“, 1908 წ.)

თავისი ლირიკიდან იოსებ გრიშაშვილს განსაკუთრებით უყვარდა „აშპაშხანისკენ“, „ტრიოლეტები შეითანბაზარში“, „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ და ხშირად კითხულობდა კიდეც ამ ლექსებს შემოქმედებით საღამოებზე...

ამ ძველ თბილისში კი (თუმცა, ისევე როგორც ახალში), გიტარის აკომპანიმენტით გაისმოდა მისი „ჩავაქრე სანთელი“, „გიჟო, მიყვარხარ!“, „ქურდული ალერსი“, „გენაცვალე“...

ეს რეპერტუარი, ცხადია, ყოველთვის ერთნაირი არ იყო: გრიშაშვილის თაყვანისმცემელნი, მიჩვეულნი, რომ მათ კერპს გულის სიმშვიდეს არაფერი ურღვევდა ხარფუხელი ლამაზმანების გარდა, მონუსხულნი უსმენდნენ მათთვის სრულიად მოულოდნელ ტრაგიკულ მონოლოგს:

სიზმრად ვნახე – საქართველო
სისხლის ზღვაში ბანაობდა
და დროშა კი დაფლეთილი ქარის
ფრთებზე ქანაობდა.
და მეც ვითომ ღრუბლებიდან
დავყურებდი იმ ნაპირებს,
სადაც ნაშთი ჩაჰხვეოდა
მკერდგაპობილ მებრძოლ გმირებს...
(„სამშობლოს ნანგრევებში“,1912 წ.)

საუბედუროდ, ათიოდე წელიც არ გავა და იოსებ გრიშაშვილის პოეტური წინათგრძნობა რეალობად იქცევა: 1921 წლის ეროვნული კატასტროფის შოკი იმდენადვე გამაოგნებელია, რამდენადაც გამაბრუებელი იყო 1917 წელს რუსეთის იმპერიის დამხობის შემდგომი იმედებისა და ილუზიების ხანმოკლე პერიოდი, რომელმაც არა მხოლოდ მალემრწმენ პოეტებს შთაუნერგა გარდაუვალი გამარჯვების იმედი (იხ. გრიშაშვილის ლექსი „1917 წელი“), არამედ ისეთ შორსმჭვრეტელ მოღვაწესაც კი, როგორიც ნიკო ნიკოლაძე გახლდათ (იხ. მისი სტატიების ციკლი „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“ – გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 22-27 მარტი).

ძველი ტფილისის სულიერ მემკვიდრეს, არცთუ შესაფერის დროს მოუწია ცხოვრება, მაგრამ აქაც მისმა, რაღაც სიღრმისეულმა თვისებებმა „იმუშავეს“ და „მინიმალური დანაკარგით“ მან შეძლო, შეეთავსებინა თავისი სტატუსი – ლოიალური მოქალაქისა და „გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტის“, იმ შინაგან გაუცხოვებასთან, რომელიც აწერინებდა ტკივილითა და ამრეზით სავსე სტრიქონებს:

ყველაფერი წაბილწეს,
ყველაფერი არბიეს,
ველარ ვხედავ ლექსისთვის
თავისუფალ სარბიელს.

არაფერი არ მესმის —
რა დრო დადგა, რა ხანა,
ჩანგი გამაგდებინეს,
ელში მომცეს შაშხანა.

და მეც როცა დავყურებ
ამ ბრძოლის ველს, ამ სურათს,
ვამბობ: მტერი ვერ მომტეხს,
მოვკვდები ტფილისურათ.

ლექსი, სათაურით „ჩანგი და შაშხანა“, 1930 წლითაა დათარიღებული და მკითხველისათვის მისაწვდომი გახდა პოეტის გარდაცვალებიდან თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ გამოსული, „დაუბეჭდავი ლექსების“ პატარა კრებულის საშუალებით (აქ მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ბ-ნი ნოდარ გრიგორაშვილი, რომელმაც მოიძია და გამოაქვეყნა იოსებ გრიშაშვილის „გადანახული“ ლექსები).

კიდევ ერთი ლექსი ამ კრებულიდან, რომელიც ესოდენ არ ჰგავს საბჭოთა ანთოლოგიებში შეტანილ „ლირიკულ ნიმუშებს“, უკვე 1932 წელსაა დაწერილი (ესეც ნიშანდობლივია: ამ წელს, კომპარტიის დადგენილებით, თუკი რამ იყო

შემორჩენილი, მცირედი „გადმონაშთი“ შემოქმედებითი თავისუფლებისა, საჯაროდ დაიგმო და დასამარდა!) სარკასტული სათაურით – „საბჭოთა აღმშენებლობა“.

აი, მრავლისმეტყველი ფინალი ამ ლექსისა:

საფლავიდან მკვდრებს ჰყრიან –
დაღლილებს და ნასვენებს,
დასანგრევს აშენებენ
და ანგრევენ ნაშენებს.
ქუჩებს აფართოვებენ! –
ჰყვირიან და ჰკივიან
ქუჩებს აფართოვებენ, –
ესეც კოლექტივია?
ქუჩებს აფართოვებენ,
ასწორებენ იწროებს,
ქუჩებს აფართოვებენ, –
სული შეავიწროვეს.

ეს „შევიწროვებული სული“ თავშესაფარს ისევ და ისევ სიყვარულსა და წიგნში ეძებდა. წიგნებსა და მწიგნობრობაზე შემდგომ, ახლა კი ბესიკის კვალში ჩამდგარი ამ „მარადიული მიჯნურის“ რომანტიკულ ბიოგრაფიასაც გადავხედოთ. დასაწყისზე ხომ თვითონ მოგვიყვა; შემდგომზე უკვე მისი ბიოგრაფები წერენ: *„იოსებ გრიშაშვილის პოეზია სიყვარულის აპოლოგიაა. ამ სატრფიალო სტრიქონთა შექმნა მშვენიერმა ქალბატონებმა განაპირობეს: ოლია ლეჟავა* (რომელთანაც სცენამ დააახლოვა. მისდამია მიძღვნილი: „ოლოლ! ოლოლ!“, „იცი, ოლოლ!“, „ლექსი თუთის ხის ქვეშ“ – ზ.ა.) *მარიჯანი* (თუ შეიძლება ასე ითქვას – „პოეტის მთელი ცხოვრების მუზა“ – ზ.ა.), *მარუსია ფრანგიშვილი* (გრიშაშვილის პირველი სიყვარული, ადრესატი ცნობილი მისამღერისა – „სად შენა და სად იმისი თვალები“ – ზ.ა.), *ნუცა ჩხეიძე, ქეთო ჯაფარიძე...“*

ბიოგრაფების თქმით, სოფიო ჩიჯავაძეს, რომელსაც მგოსანი 1914 წელს ესოდენ პათეტიკიუირად მიმართავდა:

„რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა,
ცელქი, მჩქეფარე,
როცა მოვკვდე ლამაზო, ცრემლად
გადამეფარე“.

„საპასუხო რეაქცია ამგვარი გრძნობებისადმი არ გამოუმჟღავნებია“ (თამარ პაიჭაძე, თამარ შარაბიძე – „რომანული ეპიზოდები“). ორიოდე წლის შემდეგ, სოფიო ჩიჯავაძემ პოეტს პოლიტიკოსი ამჯობინა და სოციალ-დემიკრატიული პარტიის გამოჩენილ ლიდერს – სპირიდონ კედიას გაჰყვა ცოლად. ამიტომაც წერდა მასზე გულდათუთქული მგოსანი: *„ჩემი საუკეთესი ლექსები მას ეკუთვნის, გავიცანი 1914 წელს, გადავიცანი 1916 წელს“.*

ცოლი იოსებ გრიშაშვილმა უკვე ასაკში შესულმა შეირთო – 1950 წელს.

მინდოდა დამეწერა: „მისი რჩეული – მომღერალი ქეთო ჯაფარიძე გახლდათ“, მაგრამ, სინამდვილეში, არჩევანი ვერიკო ანჯაფარიძემ გააკეთა – ეს ქორწინება მისი იდეა იყო და წარმატებით განახორციელა კიდეც. შვილის მაგივრობას ცოლ-ქმარს იოსებ გრიშაშვილის დისშვილი – ანი უწევდათ, რომელსაც, საბედნიეროდ, სათუთი სულიერი თვისებები და თანდაყოლილი ლიტერატურული ალღო აღმოაჩნდა და თავდადებულად უპატრონა იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

სულიერ თავშესაფარზე ვლაპარაკობდით: გასული საუკუნის 40-იან წლებში უკვე ცოტა ვინმეს თუ ახსოვდა ოციოდე წლის წინ საქართველოში ახალდამკვიდრებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ მეტეხის ციხეში გრიშაშვილის გამომწყვდევა (ლექსისათვის – „ახალ ხელისუფლებას“; ამ ლექსს მეორე სათაურიც ჰქონდა – „რუსის ჩექმა“), არც მისი დახსნა მწერალთა კავშირის შუამდგომლობით, არც მისი „ანტისოციალური“ და „ამორალური“ ლირიკის განქიქება „პროლეტკულტელ“ კრიტიკოსთა მიერ.

იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებას რაღაც „ისტორიული ამნეზია“ დასჩემდა. იოსებ გრიშაშვილის მაგალითი ამის

საუკეთესო დასტურია, რადგან, პირველ ყოვლისა, მან თვითონ, 30-იანი წლების „გარდამავალი“ პერიოდის შემდეგ, გამიზნულად და საბოლოოდ მოიკვეთა თავისი „მაკომპრომეტირებელი“ წარსული. როგორც ერთ ბოლოდროინდელ სტატიაში ვკითხულობთ, გალაკტიონისაგან განსხვავებით, გრიშაშვილი „გარეგნულად საკმაოდ ხალისიანად გამოიყურებოდა, გულთბილი ლექსი მიუძღვნა ბერიას, „პატარა გორელების“ ხმით „დიდ სტალინსაც“ მიესიყვარულა, რაც სწრაფად იქნა გასიმღერებული...“.

არაა გასაკვირი, რომ ყოველივე ამას (უნდა ითქვას, მართლაც ნიჭიერად შესრულებულს!) სტალინური პრემიაც მოჰყვა და პოეტ-აკადემიკოსისა და სახალახო პოეტის წოდებაც. პრემიებისა არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად სახალხო პოეტი რომ იყო, ხომ ცხადია; ისიც ხომ უდავოა, რომ მისი სამეცნიერო გამოკვლევები, აქ უკვე ნახსენები „საიათნოვადან“ დაწყებული და ქართული თეტრის ისტორიის, ქართული რომანტიზნის სათავეებისა თუ თბილისის ეთნოგრაფიისადმი მიძღვნილი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ოქროს ფონდს ეკუთვნის.

ამიტომაც, იმ „საბჭოურობამ“, რომელმაც იოსებ გრიშაშვილს ერთგვარი „ხელშეუხებლობის სიგელი“ მოუპოვა, საშუალება მისცა მას თავისი „გადამალული“ ლექსების შემდეგ, კიდევ 35 წელი ეცოცხლა და განუზომელი სამსახური გაეწია ქართული კულტურისათვის – ახალი ლექსებითაც (მათ შორის საბავშვო), თარგმანებითაც, მონოგრაფიებითაც (მათ შორის თეატრისადმი მიძღვნილი), ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული გამოკველებითაც (იგი ხომ თავგადაკლული ბიბლიოფილი იყო და მისი უნიკალური ბიბლიოთეკა თბილისში დღესაც არსებობს ზემოთ ნახსენები ნოდარ გრიგორაშვილის ძლისხმევით).

გრიშაშვილის სიკვდილიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი, ეს ბიოგრაფია და ეს არჩევანი, ვეჭვობ, ვინმემ პრინციპულად დაუპირისპიროს, ვთქვათ, გრიგოლ რობაქიძისა ან მისი რაყიფის – სპირიდონ კედიას „ემიგრანტულ არჩევანს“.

განსხვავებული ფსიქოტიპები, განსხვავებული ტემპერამენტი, განსხვავებული ბრძოლისუნარიანობა განსხვავებულ ბიოგრაფიებს ძერწავს... ერთადერთი, რაც შეიძლება აქ ითქვას, რომ მთავარი და დომინანტური ამ ბიოგრაფიებში მაინც ის გამოკვეთილი საწყისია, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს თითოეული მათგანის ცხოვრებას და, ყველა სისუსტისა თუ კომპრომისის მიუხედავად, მათ პიროვნულ, ორგანულ მთლიანობასა და განუმეორებლობას განაპირობებს.

თვითონ იოსებ გრიშაშვილმა ასე დაახასიათა თავისი შემოქმედების პირველსაწყისი: *„მე თბილისი მიყვარს... მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს... დასაწყისი და დასასრული ჩემი არსებობისა“.*

იოსებ გრიშაშვილის სიცოცხლე, რაღა თქმა უნდა, თბილისში უნდა დასრულებულიყო – არსად სხვაგან. დასრულდა კიდეც 1965 წლის 3 აგვიტოს. ისიც ცხადია, რომ ხარფუხში ესოდენი ზეატაცებით დაწყებული გზიდან მთაწმინდა მოჩანდა...



თამაზ ტყემალაძე

მრავალსახეობა შემოქმედისა
(სატელეფონო ინტერვიუ რაულ ჩილაჩავასთან)

ქართველი მკითხველი რაულ ჩილაჩავას უპირატესად იცნობს, როგორც საინტერესო პოეტსა და ნაყოფიერ მთარგმნელს, ქართული კულტურის პროპაგანდისტს უკრაინაში, მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. ასზე მეტი წიგნის ავტორი ევროპის ქვეყნების უმაღლეს კულტურულ-ესთეტიკურ რეგალიათა კავალერია; უკრაინისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიათა აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; საკუთარი თავი დიპლომატიურ ასპარეზზეც გამოსცადა, როგორც უკრაინის ელჩმა ლატვიაში.

ხელთა მაქვს წელს გამოცემული, დიდი სევდის დამტევი ლექსთა კრებული „მგზავრობა კატაფალკით“ (რომელიც ერთი წლის წინ გარდაცვლილ მის მეუღლეს, ქალბატონ იას ეძღვნება) და სამი ნათარგმნი კრებული. ორი ერთნაირი ფორმატის წიგნში ლატვიის კლასიკოს პოეტთა, ალექსანდრე ჩაცკის და ოიარ ვაციკტისის ლექსების უკრაინული და ქართულენოვანი თარგმანებია წარმოდგენილი, რაც უპრეცედენტო ფაქტია ჩვენს სინამდვილეში. კიდევ ერთი წიგნი „ტერა მარიანა“ ლატვიის პოეზიის ანთოლოგიაა. მას წინ უძღვის ლატვიის ცნობილი ხელოვანი ქალბატონის, ვია ბეინარტეს წერილი. იქვეა რაულ ჩილაჩავას, უკრაინის ყოფილი ელჩის გამოსათხოვარი სიტყვა „მიახლოება ლატვიასთან“ და ლატვიისად-

მი მიძღვნილი სიყვარულით გამთბარი ლექსები...

ყოველივე ამან გადამაწყვეტინა სატელეფონო ინტერვიუ რაულ ჩილაჩავასთან, რათა უფრო მეტი გაგვეგო სახელოვან თანამემემულეზე:

– თქვენი დაუღალავი ლიტერატურულ-სამეცნიერო საქმიანობით მთელი უკრაინა გიცნობთ. უკვე სრულიად თავისიანად აღგიქვამენ, 2005 წელს ლატვიაში უკრაინის სრულუფლებიანი ელჩობაც შემოგთავაზეს. იცნობდით მანამდე ამ ქვეყანას?

– ლატვიაზე, რომელიც საჩემოდ შეერჩიათ, ასე თუ ისე, წარმოდგენა მქონდა, თანაც იქ რამდენიმე ნაცნობიც მყავდა. ჯერ კიდევ 1969 წელს უკრაინელმა პოეტმა მიკოლა ვინგრანოვსკიმ შემახვედრა ლატვიელ პოეტ კნუტ სკუენიეკს, რომელსაც მოლდოვეთის ბანაკებში შვიდი წელი გაეტარებინა და თანასაკნელი უკრაინელებისგან მათი მშობლიური ენაც შეესწავლა. ვიცნობდი აგრეთვე პოეტ მარის ჩაკლაისს, წაკითხული მქონდა იანის რაინისის, ანრე უპიტის, ვილის ლაცისის, ალექსანდრ სჩაკსის, მირძა კემპეს, ოიარს ვაციეტისის და იმანტ ზიედონისის წიგნები. 70-იან წლებში ვმეგობრობდი უკრაინელი წარმოშობის რიგელ პოეტ ლეონიდ ჩერევიჩნისთან, რომელიც ლატვიელ პოეტებს რუსულად თარგმნიდა.

და კიდევ: აღფრთოვანებული ვიყავი რიგის კინოსტუდიის ფილმით „გრძელი გზა დიუნებში“, სადაც მართას როლს მომხიბლავვი ლოლიტა იზოლიია ასრულებდა.

ყველაზე უცნაურ დამთხვევად კი ის მომეჩვენა, რომ 1995 წელს ვხელმძღვანელობდი ერთ-ერთ სამუშაო დელეგაციას, რომელიც რიგაში უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტს ამზადებდა. მაშინ, ცხადია. უკრაინის საელჩოშიც მომიხდა ყოფნა, თუმცა ყველაზე ფანტასტიკურ სიზმარშიც კი არ მომელანდებოდა, რომ აქ ოდესმე ელჩად ჩამოვიდოდი. ჭეშმარიტად არასდროს თქვა „არასოდეს!..“

– როგორ მიგიღეს?

– განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ დიპლომატიური უერთიერთობების ისტორიაში საკმაოდ იშიათი შემთხვევაა, როდესაც ახლად დანიშნულ ელჩს პრეზიდენტი დაუყოვნებლივ ხვდება. მათ, ჩვეულებისამებრ, საამისოდ კვირები უწევთ ლოდინი. ამ ხნის მანძლზე ელჩი რაიმე ოფიციალურ ღონისძიებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, უნდა იჯდეს და პროტოკოლიდან საგანგებო მოწვევას ელოდოს. საბედნიეროდ, მე ნერვების ასეთი გამოცდა ამცდა და, აი, ლამის პირდაპირ თვითმფრინავიდან რიგის ციხესიმაგრეში მივედი, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია იყო განთავსებული.

აქ ოდესღაც რუსეთის იმპერიის გენერალ-გუბერნატორი მჯდარა, ხოლო კანცელარიის მდივნად სახელგანთქმულ მეიგავარაკე ივან კრილოვს უმსახურია. საბჭოთა პერიოდში, როცა, როგორც ცნობილია, ყოველივე საუკეთესო ბავშვებს ეკუთვნოდათ, ციხესიმაგრე პიონერთა სასახლედ უქცევიათ. იგი ვეცრიგაში (ძველ რიგაში) პირდაპირ მდინარე დაუგავას ნაპირებზე, ხიდის თავშია აღმართული და ისტორიული დედაქალაქის მთავარი ნაწილია. ზუსთად თორმეტის ნახევარზე გაიღო საცერემონიო დარბაზის კარი და მე პრეზიდენტთან შესახვედრად გავემართე. წინასწარ ვიცოდი, სად შევჩერებულიყავი, რა მეთქვა, როგორ გადამეცა ქვეყნის უზენაესი საჭეთმპყრობლისთვის „გუჯარი“, რომლითაც პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო მანდობდა უკრაინაში თავის წარმომადგენლობას. აუცილებელი ცერემონიის შემდეგ, ჭიქა ყავაზე, პრეზიდენტი დაინტერესდა ჩემი ბიოგრაფიით, შენიშნა, რომ მე პირველი ელჩი ვარ ლატვიაში, რომელიც არ წარმოადგენს ეთნიკურ

სამშბლოს. „ამ ფაქტით ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: უკრაინა დემოკრატიული ქვეყანაა, თქვენ კი საკუთარი ცხოვრებითა და საქმიანობით მართლაც დაიმსახურეთ ასეთი მაღალი ნდობა. ჩემთვის ერთიც და მეორეც სასიამოვნოა და მისასალმებელი“, – თქვა ლატვიის პრეზიდენტმა. საუბრის ბოლოს ქართულ თემასაც შევეხეთ. მასპინძელს არ დაუმალავს სიმპათია ჩვენი ქვეყნისადმი. მითხრა, რომ საქართველოსა და უკრაინას ლატვიის, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის საგარეო პლიტიკაში განსაკუთრებულად მნიშვნელ;ოვანი ადგილი უჭირავს.

– გაგვიგია, ლატვიელები სმღერის მოყვარული ხალხიაო.

– 2008 წლის ზაფხულში, სიმღერის ფესტივალზე, პირველად ვნახე ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი ამდენი შთაგონებული ადამიანი. ფერადი კოსტიუმები, მუსიკალური ინსტრუმენტები და ხალხური სიმღერები ატკბობდნენ მზერასა და სმენას. ლატვიის სასიმღერო დღესასწაული იუნესკოს არამატერიალურ საგანძურთა სიაშია შეტანილი. 12 000 შემსრულებელი სცენაზე, ნაირ-ნაირი მელოდიები და მოტივები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ლატვიელებმა გზა დამოუკიდებლობისკენ ასევე სიმღერით გაიკაფეს: „სიმღერის რევოლუცია“, რომელმაც ლატვიელები გააერთიანა, მათი უახლესი ისტორიის ნაწილად იქცა. ლატვიელებს მართლა დიდი მიდრეკილება აქვთ ხელოვნებისა და აღმშენებლობის მიმართ. მათი სულის სინაზეს განსაკუთრებით ადასტურებს ყვავილების სიყვარული. ქუჩების, ეზოების, ინტერიერების საუცხოოდ მორთვის მისაბაძი უნარი. ნებისმიერი დღესასწაული აქ შემოქმედებითად თვითგამოხატვის ფარული შეჯიბრია, რაც სიამოვებას ჰგვრის არა მარტო უშუალო მონაწილეებს, არამედ მაყურებელსაც.

– საკუთრ წარსულს და ისწორიასაც დიდ პატივს სცემენო.

– რამდენჯერმე დავათვალიერე ლატვიის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომელიც 1932 წელსაა დაარსებული და ტერიტორიით ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში. იქ ყველა მისვლაზე დროში მოგზაურობის განცდა გეუფლება. ამ უნიკალურ ნაკრძალში, სადაც ადვილად შეგიძლია გადააწყდე კვამლით გამჭვარტლული მეთევზის ქოხს თუ მქშინავ საბერვლიან სამჭედლოს, სადაც მკლავდაძაგრული მჭედლები გავარვარებულ რკინას ვეებბა ურეოებს ურახუნებენ, სადაც ძნებით შეფუთნილი ქარის წისქვილი ხის უშველებელი ფრთებით, როგორც რადარებით, აყრუებს კოსმოსურ მარადისობას, მკაფიოდ წარმოიდგენ და გესმის ლატვიელი გლეხის რთული, საზრუნავითა და მღელვარებით აღსავსე ცხოვრება, რომელსაც დღემდე შემოუნახავს ეროვნული ყოფის, არქიტექტურისა და ტრადიციების განუმეორებელი თავისებურებანი.

– ლატვიელთა დამწერლობაზე, ლიტერატურის ისტორიაზე რას გვეტყვით?

– ლატვიელები ინდოევროპელები არიან, მათი ენა ინდოევროპულ ენათა აღმოსავლეთ ბალტიის ენათა ჯგუფს მიეკუთვნება და ევროკავშირის ერთ-ერთი ოფიციალური ენაცაა.

პირველ ლატვიურ წიგნად ითვლება მე-16 საუკუნის მიწურულს საზღვარგარეთ გამოცემული რელიგიური ტექსტები, ორიგინალური ლატვიური ლიტერატურა კი აღმოცენდა საუკუნით გვიან. მას ადგილობრივი გერმანელი პასტორები ქმნიდნენ. ლატვიური ეროვნული კულტურის აღორძინება დაიწყო ახალგაზრდა ლატვიელთა მოძრაობიდან, რომელშიც შედიოდნენ კრიშიანის ბარონსი, იურის ალუნანსი და სხვები, რომლებიც საზოგადო ასპარეზზე მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩდნენ. ახალგაზრდა ლატვიელები უნივერსალური ადამიანები იყვნენ,

რომლებსაც ყველაფერი ხელეწიფებოდათ: წერდნენ ლექსებს, მოთხრობებს, პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, თარგმანებს, აარსებდნენ ბიბლიოთეკებს, თეატრალურ წრეებს, მომღერალთა გუნდებს.

– თქვენ ქართულად და უკრაინულად თარგმნეთ ლატვიური პოეზიის ორი მესაძირკვლე, ამავე დროს ცოლ-ქმარი: იანის რაინის და ასპაზია. შემდეგ ასევე ქართულად და უკრაინულად თარგმნეთ ძალზე პოპულარული კლასიკოსები ჩაკსი და ვაციეტისი.

– როცა ქართულად და უკრაინულად ვთარგმნე რაინისისა და ასპაზიას ლექსთა კრებული „სამფერი მზე“, ნაცნობი ლატვიელები მეკითხებოდნენ: რატომ არა ჩაკსი ან ვაციეტესი? პასუხი თითქოს ზედაპირზე იდო: იმიტომ, რომ რაინისი ჯერ კიდევ სიყმაწვილიდან ლატვიის პოეტური სულის განსახიერებად მყავდა წარმოდგენილი. რიგაში წასვლის მერე კი ეს წარმოდგენა განივრცო და მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მამრობით საწყისს, ასპაზიას სახით, მდედრობითიც შეუერთდა. რაინისმა და ასპაზიამ მე მაგრძნობინეს მათი ღვიძლი ენის მუსიკა, ლექსიკური სიმდიდრე და იდიომური მრავალფეროვნება. ეს იყო ჩემი, როგორც მთარგმნელის, პირველი და შთამბეჭდავი შეხვედრა მეგობარი ერის ორ უდიდეს შემოქმედთან.

„სამფერი მზის“ გამოცემიდან მცირე ხნის მერე მე ისევ დავუბრუნდი ადრე არაერთგზის მოსმენილ კითხვას: „რატომ არა ჩაკსი ან ვაციეტესი?“ – გადავიკითხე ამ პოეტების წიგნები რუსულ, უკრაინულ და ქართულ თარგმანებში, გავეცანი მათი ლექსების პწკარედებს, ორიგინალში ჩაწვდომაც ვცადე და ბოლოს ვირწმუნე: ამ ორმა პოეტმა ბევრად განსაზღვრა მე-20 საუკუნის ლატვიური პოეზიის მხატვრულ-ესთეტიკური დონე, საუკეთესო ფერებში წარმოაჩინა მისი სახეობრივი და ფორმალური ძიებების სპექტრი, დაგვანახა ეროვნული პოეტური აზროვნების თვისებურებანი.

ალექსანდრ ჩაკსი, მისი პორტრეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მელოტი, საკმაოდ არაპოეტური შესახედაობის მამაკაცი, პირდაპირ აფრქვევდა და ასხივებდა, თურმე, პოეტურ ენერგიას. მას უხვად ჰქონდა მომადლებული ჰიპერბოლური ექსტრავაგანტულობა, მძლავრი წარმოსახვა და უშრეტი ფანტაზია. მისი ლექსების უმეტესობისთვის ზედმეტია რითმა, იმდენად დახუნძლულია ისინი ემოციებითა და სახეებით. რიგა მისთვის მთელი კოსმოსია, ამოუწურავი სამყაროა.

ერთხელ შევნიშნე, რომ რიგას მე ვუყურებ ჩაკსის თვალებით, ვსწავლობ მის გარეუბნებს, მის ქუჩებს, ჩაკსი ხომ მათი უბადლო მეხოტბე და მომღერალია. იგი დაეხეტება ძველ ქალაქში, „სადაც სუნი დგას რკინის, კუპრის, სარდაფის ვაშლის“, ბულვარებზე აკვირდება ხელჯოხივით ტანწერწეტა ქალბატონებს, თანაგრძნობით გაჰყურებს ცოლმკვდარ მამაკაცს, რომელსაც მხარზე შესმული პირმშო ისე მიჰყავს, როგორც ქრისტეს მიჰქონდა ჯვარი გოლგოთისკენ.

აქ, როგორც შემოგარენში, პოეტი აკვირდება, თუ როგორ აგებენ მუშები ასფალტს, კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ აღწერს მთელ ამ რუტინულ ტექნოლოგიურ პროცესს. მკითხველი ერთგვარად გაოცებულიც კია: რა საჭროა ეს ყველაფერი? კითხვაზე პასუხს ბოლო სტრიქონები იძლევა: „რათა დაეთმოთ იგი ხვალ დილით ქალის მომხიბლავ ფეხებისათვის და გენიოსის უწყვეტი სვლისთვის და არამზადის მლიქვნელური ნაბიჯებისთვის“. ალექსანდრ ჩაკსის შემოქმედებაში იგრძნობა ხორციელ ვნებათ ფართო ამპლიტუდა. მისი განცდებისა და ემოციების რთული ტექტონიკური შრეები, განუწყვეტელი ბიძგებით, მკითხველს მეტაფორულ მიწისძვრათა წინათგრძნობას უღვივებენ.

– ოიარს ვაციეტესზეც გვითხარით რამე.

–კიდევ ერთი დიდი შემოქმედებითი სიხარული იყო ჩემთვის ოიარს ვაციეტესის ლექსთა ქართულად და უკრაინულად თარგმნა და გამოცემა.

იოანესმა სულ ორი კვირით გადააბიჯა ნახევარსაუკუნოვან მიჯნას (დაიბადა 1933 წლს 13 ნოემბერს, ხოლო გარდაიცვალა 1983 წლის 3 ნოემბერს). ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მთელი ეპოქის შექმნა მოასწრო. მუდმივად იყო სიახლეების ძებნაში, ელტვოდა ლექსის ახალ, გამომსახველობით ფორმებს, აზრობრივ და მეტაფორულ სიმკვეთრეს, მუშაობდა შეუსვენებლად, წერდა, თარგმნიდა, კითხულობდა და მოგზაურობდა. ლექსების პირველმა კრებულმა: „შორეულ მოგზაურობათა ქარი“ (1956), ოიარს ვაციეტესის საყოველთაო სიყვარული მოუპოვა. მოზღვავებულ პოპულარობასთან გამკლავება ძნელი აღმოჩნდა. მას დიდძალი ნებისყოფის მოხმობა დასჭირდა, რათა არ აჰყოლოდა ცდუნებას, პირველი დიდი წარმატების ჩრდილში არ დაესამარებინა თავისი პოეტური ნიჭი. მას სულ ერთი წლით მეტი დრო დაჰყო ამ ქვეყნად, ვიდრე მისმა სულიერმა მეგობარმა, ალექსანდრს ჩაკსმა. ოიარს ვაციეტეისი პოეზიაში სათუთი ლირიზმი მოულოდნელად გადადის მწარე ირონიასა და სარკაზმში, ისევე როგორც თვისუფალი ლექსი რითმიანში. მედიტაციას ენაცვლება პეიზაჟი, ინტიმურ აღსარებებს – სამოქალაქო პათოსი. მისი ლექსის მომხიბვლელობას განაპირობებს ლირიზმის, ფილოსოფიისა და პუბლიცისტიკის ოსტატური შერწყმა. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, თვით შიშველი პუბლიცისტური ტექსტიც კი, თუკი მასში ჭეშმარიტად პოეტური ნერვი ტოკავს, ხდება ლიტერატურული ფაქტი – დროის მხატვრული დასტური.

– ლატვიელები რა ნიშნით გამოირჩევიან?

– მათ აქვთ ეროვნული ღირსების გამძაფრებული გრძნობა. ისინი მკაცრად იცავენ ხალხურ და ოჯახურ ტრადიციებს, სიყვარულით ეპყრობიან და პატივს სცემენ საკუთრ ისტორიას, რომლის ათვლასაც მეცამეტე საუკუნიდან იწყებენ, როცა გერმანელებმა მათი ტერიტორია, სადაც ცხოვრობდნენ კურშები, სელები და ზემგალები, ესტონელთა ტერიტორიასთან ერთად, ლივონურ სახელმწიფოთა მცირე კონფედერაციაში გააერთიანეს. ეს იყო განუწყვეტელი დამპყრობლური ომების შედეგი, რომელიც ითვალისწინებდა ლატვიელთა წინაპრების არა მარტო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამორჩილებას, არამედ მათ ქრისტიანობაზე მოქცევასაც.

ტომები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე თავს პირველყოფილი ბუნების განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ, სათაყვანო წარმართულ ღვთაებებთან განშორება არ უნდოდათ. ეს იყო სასტიკი ჯვაროსნული ლაშქრობების დრო, როცა რომის წმინდა ტახტი საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებდა არა იმდენად მხურვალე ლოცვებს, რამდენადაც თავის მგზნებარე და ერთგულ რაინდებს, მაცხოვრის სახელით უხვად რომ ღვრიდნენ ადამიანის სისხლს. მათი ზეწოლით ქრისტეს სჯულზე ერთერთი პირველი მოექცნენ ტუარიდელი ლივების მმართველი კაუპო (1191წ.), რომელიც შემდგომ დამპყრობელთა მოკავშირე გახდა და ხალხის ხსოვნას სამუდამოდ შემორჩა.

– რიგა?

– რიგის სახელი წარმოდგა მდინარე რიდზეენიდან, რომელიც დაუგავაში ჩაედინებოდა. ოდინდელი ნავმისადგომის ადგილას ამჯერად ლატვიის დედაქალაქის უძველესი მოედანია, რომელიც ალბერტის სახელს ატარებს.

უკვე 1225 წელს რიგამ ქალაქის სტატუსი მიიღო და გერმანული ქალაქების ჰანზის სავაჭრო კავშირის წევრი გახდა, რაც მას ავტონომიას ანიჭებ-

და. უფროსი თაობის ადამიანების რიგა თითქმის ევროპის სინონიმად მიაჩნიათ. კაბარეები, ღამის ბარები, მოკლე კაბები ჯაზური მუსიკა და დასავლური ყოფის სხვა ატრიბუტები აქ უფრო შესამჩნევი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

რიგასთანაა დაკავშირებული გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის, „ქარიშხლისა და შეტევის“ თეორიტიკოსისა და გოეთეს მეგობრის, იოჰან გოტფრიდ ჰერდერის სახელიც. მას აქ, 1764-1769 წლებში, პასტორად უმსახურია.

რიგა ურელიეფო ქალაქია, რომლის უმაღლეს წერტილსაც სულ რამდენიმე მეტრის სიმაღლის ციცქნა „ციტადელის გორაკი“ წარმოადგენს. ქალაქის პანორამის ხილვა შეიძლება „შვედებანკისა“ და სასტუმრო „რევალ ლატვიას“ ბოლო სართულებიდან.

რიგის ისტორიული ცენტრი 1201 წლიდან შენდებოდა, როცა გერმანელმა ეპისკოპოსმა ალბერტმა აქ თავის საცხოვრებელ სახლს საფუძველი ჩაუყარა. ეს შენობა დღემდე უცვლელი სახით შემორჩა და ლატვიის ტერიტორიაზე უძველეს ნაგებობად ითვლება. ფაშისტებს, რომლებიც რიგას თითქმის საკუთრ ქალაქად თვლიდნენ, მისთვის ხელი არ უხლიათ.

დღევანდელი რიგის კოხტად მოვლილ ქუჩებში იშვიათად ნახავთ უსაქმურ ადამიანს, თუმცა ადგილობრივი ისტებლიშმენტი მდიდარია, მას არ უყვარს თვისი სიმდიდრის გამოჩენა. ქუჩებში შეხვდებით მინისტრებსა და დეპუტატებს. კაფეებსა და პარკებში, პრეზიდენტი ისე მოვა ღონისძებაზე, დაცვას ვერ შეამჩნევთ. შაბათ-კვირას ლატვიის დედაქალაქი თითქმის ცარიელდება, მოქალაქეები აგარაკებზე მიემგზავრებიან.

– ლატვიის მიწაზე თუ არის ქართველების კვალი?

– ქართველები არ იყვნენ უცხონი ლატვიის მიწაზე. ქრისტეშობის ლატვიური ტაძარი პეტრე ბაგრატიონის ბრძანებითაა აგებული 1818-1876 წელს. კოტე მარჯანიშილი რიგის რუსული თეატრის რეჟისორი იყო. პირველი თეატრი აქ 1905 წელს ქართველს, გიორგი შვანგირაძეს გაუხსნია, რომელიც ადგილობრივი ცირკის ადმინისტრატორი იყო. რიგის ტრამვატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრის უფროსი ყოფილა პროფესორი არჩილ მაჩაბელი.

ბალტიისპირეთში შეიქმნა ქართული რომანტიზმის რამდენიმე კლასიკური ნიმუში. გრიგოლ ორბელიანმა, რომელიც 1832 წლის ანტიმეფურ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს, რიგაში დაწერა მწუხარებითა და სევდით გაჯერებული საოცარი ლექსი: „ჩემს დას ეფემიას“. ერთხანს პოეტი სასჯელს იხდიდა ცესისში, რომელსაც მაშინ ვენდენი ერქვა.

– ბატონო რაულ, მადლობას გიხდით საინტერესო საუბრისთვის. შეხვედრამდე თბილისში!

ზახარ პრილეპინი

ტყე

ზახარ პრილეპინი (ევგენი ნიკოლოზის ძე პრილეპინი) – მწერალი, მუსიკოსი, სატელევიზიო გადაცემების ავტორი – დაიბადა 1975 წელს რუსეთში, რიაზანის ოლქის სოფელ ილ'ინკაში. დიდი პაპის სახელი ზახარი (ერთგვარი საგვარეულო მეტსახელიც) ლიტერატურულ ფსევდონიმად აირჩია. არის ჩვიდმეტი პროზაული წიგნის ავტორი.

მეგობარი გვარად კორინი იყო. ტანდაბალს, მთიელივით შავი, მოზრდილი წვერი ჰქონდა, მჭახე და ხრინწიანი ხმით ოხუნჯობდა და რაღაცის საჯიჯგნად მოფრენილ სვავს მაგონებდა.

ფეხებზე საშინელად ამობერვოდა ვენები. გეგონება, ჯერ გაუგლიჯეს, მერე კი, ნაცლად იმისა, რომ გაეკერათ, გადაუნასკვესო. ნასკვები მუდმივი ლოთობისგან დაბერვოდა.

ცოტათი მეზიზღებოდა და თვალს ვარიდებდი, ის კი ჩემ წინ გაუთავებლად დაატარებდა ამ თავის ნასკვებს. ხან წყალში შედიოდა, ხან ბრუნდებოდა... ნაპირზე დიდი ხნით ჩერდებოდა. მოხრილი, მუხლებამდე წყალში იდგა, დროდადრო მოგვიბრუნდებოდა ხოლმე და რაღაცას ხმამაღლა წარმოთქვამდა.

მისი ხმით დამფრთხალი თევზები ჩრდილში იმალებოდნენ.

მე სიტყვებს სრულებით ვერ ვარჩევდი და მხოლოდ წვერში ჩაფლულ პირს ვუყურებდი.

მამაჩემი სიტყვებს არჩევდა, მაგრამ პასუხს არ სცემდა. თავს უკრავდა, უფრო ხშირად სიგარეტს უკიდებდა – სიგარეტისათვის მოკიდება მისთვის პასუხის გაცემის ერთ-ერთი ჩვეული ხერხი გახლდათ. იშვიათად ისე უღონოდ მოუკიდებდა ხოლმე, აშკარა იყო: ნათქვამს არ ეთანხმებოდა, მაგრამ უფრო ხშირად სიგარეტის მოკიდებით თანამოსაუბრის ყოველ სიტყვას მშვიდად იღებდა.

მაისის სანაპიროზე, ზაფხულის უხვად გაფურჩქნულ მზეში, ვიწრო მდინარესა და სწრაფ დინებას ვუსხედით. წყალს ისტიე ერქვა, ახლომდებარე სოფელს კი – ისტცი. გარს ფართოდ გაშლილი და მზის შუქით გახალისებული ფიჭვის ტყე იდგა. მაღალი კენწეროებით ცისკენ იწვერებოდა. გულაღმა

თუ დაწვებოდი და მაღლა – კორომებს შორის – აიხედავდი, მოგეჩვენებოდა, ფიჭვები ეს-ესაა აფრინდებიან, მიწას მოსწყდებიან და ვეება კლანჭებივით ფესვებით მთელ მატერიკს თან აიტაცებენო. მეც მასთან ერთად ამიტაცებენ.

მდინარის თბილი წყლებიდან ამოსული კორინი მოკლე ხნით ფლავდა თავის ნასკვებს ოქროსფერ ქვიშაში და ნეტარებდა. მკვირცხლი, კაუჭა თითებით წვერს ივარხცნიდა.

– სულელი ხარ, ზახარ! – ყრანტალა ხმით წამოიძახებდა. მამას ყველა მეგობარი ზახარს უძახდა, თუმცა ნიკოლოზ სვიმონის ძე იყო. სულელს კი, სხვათა შორის, არავინ უძახდა.

მამა მხრებს ისე ატოკებდა, თითქოს დიდი, ბინძური ბუზი აჯდებოდა.

მამას იერი მასზე ხმის ასამაღლებლად სრულებითაც არ განგაწყობდათ. ყველა იმ მამაკაცზე უფრო მაღალი იყო, ვინც კი იმ დროისათვის მენახა. მხრები მრგვალი ჰქონდა და ისეთი სუნი უდიოდა, ხისთვის, თუნდაც ფიჭვისთვის ქერქი რომ ჩამოგეძრო და ლოყით მიჰკრობოდი. მამა დიდ ოთახში ყოველდღიურად ათამაშებდა ფუთიან საწონს, ჰაერში ნაირგვარად ისროდა და მარჯვედ იჭერდა, მაგრამ მე მაინც სულ შიში მქონდა, ვაითუ გაუვარდეს, კედელი გაანგრიოს და სამზარეულოში დედა მოკლას-მეთქი.

მამას ქვეყნად ულამაზესი ხელები ჰქონდა.

ამ ხელებით შეეძლო: ცხენის შეკაზმვა, მიწის ხვნა, თიბვა, მაღლიდან ვაშლების კრეფა, ნავის მართვა, თუნდაც ცალი ნიჩბით დინების საწინააღმდეგოდ, ხმელეთზე მოტოციკეტის, ავტომობილის, სატვირთოსა და ტრაქტორის ტარება, აბანოებისა და სახლების შენება, ტუშით, ზეთისა და აკვარელის საღებავებით ხატვა, თიხისაგან ძერწვა, ხეზე კვეთა, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მხიარულად თამაში, კარგ მოჭარაკესთან ღირსეული პარტიის თამაში, კალიგრაფიული ხელით ნებისმიერი რამის დაწერა, ჩვეულებრივით – ლექსების წერა, ფოკუსების ჩვენება, იშვიათი საზღაო კანძებისა და ყულფების შეკვრა, პურის ლამაზად დაჭრა, არყის თანაბრად ჩამოსხმა, აკორდეონზე, ბაიანზე, გარმონსა და გიტარაზე პროფესიონალურად დაკვრა ნებისმიერ ვითარებაში, მათ შორის, ქორწილებშიც; ამის პარალელურად – არყის თანაბრად ჩამოსხმა, საკუთარი პერანგების დაუთოვება, ჩემთვის თავზე ხელის გადასმა, თუმცა ეს უფრო იშვიათად.

მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ მისი არც ერთი უნარი არ გადმომეცემოდა. ალბათ, ერთადერთი, თავზე ხელს თუ გადავისვამ, თუმცა ეს დიდი ვერაფერი სიამოვნებაა.

დარწმუნებული ვარ, მამა მეთუნეობასაც, მეპურეობასაც და ნებისმიერ სხვა ხელობასაც დაეუფლებოდა, მისთვის ვინმეს ცხოვრებაში ერთადერთხელ რომ ეჩვენებინა, როგორ კეთდებოდა ესა თუ ის საქმე.

– ზახარ, რას ვაკეთებდით მთელი ცხოვრება? – რიტორიკულად კითხულობდა კორინი, თითქოს ქვიშიან ნაპირზე კი არა, კათედრაზე მდგარიყო.

მამაჩემი და კორინი ერთად სწავლობდნენ სკოლაში, მერე უნივერსიტეტში და მთელი ცხოვრება ისტორიას ასწავლიდნენ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში.

– ჩვენ რომ ფიზიკოსები, ქიმიკოსები ან ორნიტოლოგები ვყოფილიყავით, მოსწავლეებს რეალური სამყაროს შესახებ ცოდნას მივაწვდიდით, მაგრამ ჩვენ ის-ტო-რი-ას ვიკვლევდით! ახლა კი ირკვევა, რომ თურმე იმას ვასწავლიდით, რაც ან არ არსებობს, ან სიცრუეა. ეს იგივეა, ორნიტოლოგები რომ ვიყოთ და ვამტკიცოთ, ღამურა ფრინველია და მართლაც სისხლით იკვებება, რომელსაც თხებსა და ძროხებს სწოვს... იცი, რას ვაკეთებდით? მთელი ცხო-

რების მანძილზე ყალბ აზრებს ვამრავლებდით!

– ასე არ არის, – დაიმანჭა მამა; კიდევ რაღაც მოკლე არგუმენტი ჰქონდა, მაგრამ კორინმა ხორხისმიერი სიცილით შეაწყვეტინა: აშკარად ის მოსწონდა, თვითონ როცა ლაპარაკობდა, მისი ხორხი ხმის დუღილის, ბუყბუყისა და გრგვინვისგან სიამოვნებას იღებდა.

– სულელი ხარ, ზახარ! – მხიარულად თქვა კორინმა. ორი უცნაურად შეუხამებელი ჟღერადობა უკრთოდა ხმაში: მამაჩემისადმი დიდი ხნის უპირობო პატივისცემა და ის აშკარა სიამოვნება, რასაც მასთან ძველი მეგობრობით მონიჭებული უხეშობის უფლება ანიჭებდა.

ეს ყველაფერი ისე მეუცნაურა, რომ ხმადაბლა გავიცინე.

– რა გაცინებს? – უეცრად სწრაფად და სერიოზულად მკითხა მამამ.

ყოველთვის სწრაფად ლაპარაკობდა, ასეთი სრული, უცდომელი სერიოზულობით კი – მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში.

უკვე ვიცოდი, რა არ უყვარდა. არ უყვარდა კამათი, ანკესით თევზაობა (თუმცა ბადით თევზაობა ხანხადან შეიძლებოდა), ლუდის სმა (თუმცა გამონაკლისს ზოგჯერ აქაც უშვებდა), როცა დედა ჯიბეებს უჩხრეკდა (განსაკუთრებით, როცა შიგ ფულს პოულობდა), როცა ცუდი მუსიკა ხმამაღლა ჟღერდა, როცა თავზე ხელს უსვამდნენ...

საერთოდ, ეს ძალზე მოკლე სია, რადგან წლობით შეეძლო შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნება, თუკი თავზე ხელს არავინ გადაუსვამდა.

აი, ახლა კი ჩემი სიცილი არ მოეწონა და მას მერე ასე აღარასოდეს გამიცინია, თუმცა აღარც საამისო შემთხვევები მქონია, მაგრამ რომც მქონოდა, არც კი გავიღიმებდი.

კორინს თითქოს არაფერი შეუმჩნევია, მაგრამ ჰაერში გეგონება რაღაც დატრიალდაო, რამაც სულელური თემა დაავიწყებინა და ახალი, მიმზიდველი იდეა წამოაჭრევინა.

– ზახარ, ის თუ გახსოვს, მე და შენ ველოსიპედებით ძველ მონასტრებთან რომ ჩავედით?

მამას რეაქცია არ ჰქონია, მაგრამ მშვიდი იერით იჯდა, რაც, ყველაფერთან ერთად, კეთილგანწყობასაც ნიშნავდა.

მონასტრები დანგრეული იყო, წინათ იქ მეძელწესეები ცხოვრობდნენ, ახლა – აღარავინ.

– ზახარ, მოდი მდინარეს ჩავუყვეთ! – შესთავაზა კორინმა. – ველოსიპედით მონასტრებამდე ნახევარ საათში ჩავქროლდებით, მდინარით კი ორ-სამ საათში ჩავალთ; თან ადგილობრივი ხედებითაც დავტკბებით იმ მეძველწესეთა თვალით, წყეულ ნიკონიანელობას რომ გაურბოდნენ.

ისტიეს წყალი ალერსიანი და რაკრაკა იყო. მაღალი ნაპირიდან წყალში ხან იქ, ხან აქ ყოველწლიურად ძირგამორეცხილი, ჩახრილი და გამხმარი ხეები ეცემოდა. ფსკერში ჩასობილები მძიმედ ელაგნენ, გაზაფხულის წყალდიდობისას ოდნავ იძვროდნენ ადგილიდან, მაგრამ მისი დასრუების შემდეგ კვლავ იძირებოდნენ – გაფარჩხულები, გაშავებულები, წყლით გაჟღენთილები. მდინარის გასრწვრივ სოფლები არ იდგა.

– ჩასულხარ მდინარით? – იკითხა მამამ, თან „ბელომორს“ აბოლებდა.

– საქმეც ისაა, რომ არასოდეს, ზახარ. ნავიც კი არ მაქვს. ამ მორებს შუა აღარც არავინ ჩასულა უკვე დიდი ხანია. არადა, ძალიან საინტერესო იქნებოდა! თანაც, შენი შვილიც რუსული ტყის შიგნეულს დაათვალიერებდა.

მამა კიდევ ერთხანს ისე ეწეოდა, პასუხი არ გაუცია.

– მონასტრებთან, – განაგრძობდა კორინი. – სწორედ ახლა ჩემი ნაცნობი არქეოლოგები დაბანაკებულან, სხვათა შორის, რამდენიმე მანქანით. ჯერ ერ-

თი, ასე მოულოდნელად მდინარით რომ ჩამოვაკითხავთ, გაუხარდებათ, მეორეც, ჩვენი უკან ამოყვანა არ გაუჭირდებათ. მანქანით სულ რაღაც წუთები უნდა.

– მაშ, რით გავცუროთ? – ჰკითხა მამამ.

– მეძველწესეებისათვის უცნობი მოწყობლობები გვაქვს, – უთხრა კორინმა. – ავტომობილის კამერები, ორი ცალი.

– გავცუროთ, შვილო? – მომეთათბირა მამა.

კორინს ოლეგ მაისის ძე ერქვა.

დედაჩემი ამის გამო მასხრად იგდებდა, მე კი კორინის დანახვისთანავე მუდამ მაისის თვე, სითბო და ზაფხულის მოახლოვება მაგონდებოდა. მაისს ვუკავშირებდი მის წითელ ტუჩებსაც, შავ, მაგრამ ნოტიო და მზისგან ოქროსფერ წვერში რომ ჰქონდა ჩაფლული.

თვალს როცა ვხუჭავდი და წვერში ჩაფლული მისი სველი პირის გახსენებას ვცდილობდი, რატომღაც მუდამ საზამთროს წვნიანი ნაჭერი წარმომედგინა.

ხოლო თვალები, რაც ძალი და ღონე მქონდა, რომ მომეხუჭა და ქუთუთოები ხელითაც კი მომესრისა, მერე კი უცბად ავხილულიყავი – წვერის ნაცვლად, ხუჭუჭა ბუზების გუნდი შემრჩებოდა, რომელიც ერთბაშად გაიფანტებოდა და კორინს შიშველი სახით დატოვებდა.

...აქ გაზაფხულის ბოლოს და მოგვიანებით, ზაფხულის დასასრულს, შაბათ-კვირობით ჩამოვდიოდით სტუმრად.

კორინმა პედაგოგიური საქმიანობა შარშან მიატოვა და თავისი ჭკუიდან გადამდგარი, ოდესღაც კეთილშობილ ასულთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული ბებიის პენსიით ცხოვრობდა, ქალაქში მის ბინას აქირავებდა და, მგონი, ჩუმ-ჩუმად კიდევ რაღაცებით ვაჭრობდა – იქნებ, ხე-ტყითაც, რადგან თევზაობას, მამაჩემისა არ იყოს, არც ის სცნობდა.

მაისშივე უტოვებდნენ დისშვილს, ცამეტიოდე წლის გრძელფეხება გოგონას, რომელიც ადამიანად არ მთვლიდა, სამაგიეროდ, მამაჩემს ელაპარაკებოდა.

– აქ, სოფელში, მოწყენილი არ ხარ? – ეკითხებოდა მამა. გოგონას მიერ წამოწყებული საუბარი რაღაცნაირად ხომ უნდა გაეგრძელებინა.

– იცით, ძია ნიკოლოზ... – წამოიწყებდა ხოლმე გრძელფეხება, თან ეტყობოდა, ბევრად ერჩივნა, სიტყვა „ძია“ გამოეტოვებინა და მამასთვის უბრალოდ სახელით მიემართა.

– ...აქ ეს ალია ცხოვრობს, ჩემზე ერთი წლითაა უფროსი, – განაგრძობდა გრძელფეხება და სიტყვებს „ჩემზე ერთი წლითაა უფროსი“ ისე წარმოთქვამდა, თითქოს ეს ალიას მხრიდან ან



აშკარა ნაკლი ყოფილიყო, ან ყოვლად გაუმართლებელი უტიფრობა. – ისეთ მოკლე ქვედაკაბებს ატარებს, ძია ნიკოლოზ! ასეთები მოსკოვშიც კი არ აცვიათ.

და მამას თვალს უსწორებდა.

– სწორედაც, ჩემო ასულო, – ხრინწიანად და მსუყედ ჩაილაპარაკებდა კარში შემოსული კორინი. – ბუნების წიაღში იცხოვრე, უკაბოდ იარე.

კორინის ბებია ამ დროს ფართო ფანჯარასთან იჯდა, საუბარს ყურადღებას არ აქცევდა და მდინარეს გაჰყურებდა.

კორინის ცხონებულ პაპას გემები დაჰყავდა და ცოლიც, რომელსაც არასოდეს არსად უმუშავია, წლების მანძილზე ნებისმიერ ღელვაში ახლდა თან. ერთხანს მათთან ერთად პატარა ოლეგიც მოგზაურობდა.

– ოლეგ, – დროდადრო იკითხავდა ხოლმე შეშლილი დედაბერი და წელში იმართებოდა. – ეს რა ნავსადგურია? – თან წვეტიან ნიკაპს მდინარისკენ გააქნევდა.

ცამეტი წლის დისშვილი სიცილით აფრუტუნდებოდა ხოლმე. მამაჩემი დედაბერს ყურადღებით უცქერდა და თითებს შორის „ბელომორის“ ღერს აგორებდა.

კორინი პასუხს არასოდეს აყოვნებდა და, ამასთან, როგორც ჩანს, ნაბეჭდ პრესაში გამოქვეყნებულ ახალ-ახალ მხილებებს იყენებდა:

– სადგური „ტროცკის მკვლელობა“, ბებია, ყოფილი „დილის წერაყინი“.

დედაბერი დინჯად უკრავდა თავს, აქაოდა, ჰო, ახლა ვიცანიო. მერე ისევ მდინარეს გაჰყურებდა. დარწმუნებული იყო, რომ დღემდე გემით მოგზაურობდა.

– ოლეგ, შემდეგში ნაპირზე რომ ჩახვალ, ჩურჩხელა მიყიდე. აქ ძალიან გემრიელი ჩურჩხელა აქვთ, – სთხოვდა შვილიშვილს.

მამა მოსაწევად გადიოდა. ცამეტი წლის გრძელფეხება უკან მიჰყვებოდა.

მე კი დედაბერს მონუსხულივით შევცქეროდი. ამ სახლში მუდამ მსუბუქი, ღიტინა ძრწოლით ვიძინებდი. კიდევ კარგი, მამას გვერდით ვიწექი, თორემ ნამდვილი შიშის ზარი ამიტანდა. საზაფხულო ფიცრულ მიშენებულში ვწვებოდით და, ვიდრე მამა წიგნს კითხულობდა, კიდევ რა უჭირდა, მაგრამ, როგორც კი შუქს აქრობდა, მოლოდინი მაშეშებდა – აი, სადაცაა, დედაბერი შემოვა და მაშინ, რაც შეიძლება, სწრაფად მომიწევს მამას გაღიძება, რაც შეიძლება, სწრაფად! ოღონდაც უნდა გადავწყვტო, რა ჯობს: ჯერ გავაღვიძო და მერე მივწვდე ღამის ნათურას ასანთებად, თუ, ჯერ ავანთო და მერე მამას დავუწყო ნჯღრევა?!

სამაგიეროდ, მუდამ შესანიშნავ ხასიათზე ვიღვიძებდი. გარეთ ჩიტები გალობდნენ, ქათმები ბაასობდნენ, მამალი ყოყოჩობდა, ხეები ირხეოდა, კორინი საპირფარეშოს ხის კარს აბრახუნებდა და მამას რაღაცას ხალისიანად ეკითხებოდა.

მამა ხმადაბლა პასუხობდა.

კარის ქვეშ, ღრიჭოში, მისი „ბელომორის“ კვამლი ატანდა.

ცოტა ხნის შემდეგ მამა საუზმეზე მეძახდა. პირის დაბანას არ მთხოვდა; არც იმას მეკითხებოდა, ხელები თუ დაიბანეო.

მამა არა, მაგრამ ის, გრელფეხება მეკითხებოდა:

– ხელები დაიბანე?

სახელით არასოდეს მომმართავდა. გეგონება, არც იცოდა, რა მქვია.

არც მამა, არც კორინი ჩემდამი მომართულ მის კითხვებს არ იმჩნევდნენ, თუმცა გოგონა მხარდაჭერისათვის ხან ერთს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს.

დედაბერი მარტო საუზმობდა, ჩვენამდე თუ ჩვენ შემდეგ, ეგ აღარ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მის ჭამას არასოდეს შევსწრებივარ.

– ბებია, ხომ არაფერი გტკივა? – ზოგჯერ ეკითხებოდა კორინი და ხმაში

მოულოდნელი თანაგრძნობა და სინაზეც კი უკრთოდა.

– არაფერი, – უდარდელად პასუხობდა ქალი. – სრუ-ლე-ბით ჯანმრთელი ვარ!

ოთხმოცდაცამეტი წლის იყო.

საუზმის შემდეგ სახლის ვეება, საზამთროდ კარგად გადახურულ მიშენებულში შესული კორინი მუდამ რაიმე საინტერესოს აღმოაჩენდა ხოლმე.

ამას წინათ ბნელი წიაღიდან მამას ყრუდ გამოსძახა:

– ეს ყუთი არ გინდა მოსინჯო?

თურმე მიშენებულში მთელი პიანინო ყოფილა შენახული, რომლის მოცილებაც კორინს ცოტა ხნის წინათ დედაბრის ქალაქის ბინის ახალმა მდგმურებმა სთხოვეს.

კორინმა და მამამ პიანინო ხან ღრენით, ხანაც ხარხარით, დღის სინათლეზე გამოათრიეს და საქათმის ფონზე, ზედ ეზოს შუაგულში გამოჭიმეს. პიანინო მეტ-ნაკლებად აწყობილიც კი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ კორინმა მტვრიანი, დაგლეჯილი და არეულფურცლებიანი სანოტო რვეულების მთელი დასტა გამოიტანა, რომელშიც შუაზე გადახეული მოცარტი ხელუხლებელი მუსორგსკის შუაგულში მოქცეულიყო.

მამა ისტრუმენტს ერთ, ორ, სამ საათში გაუშინაურდა და საღამოსკენ ცალი ხელით გრიბოედოვის ვალსს უკრავდა.

სახლში წყლის დასალევად რომ შევირბინე, დედაბერს თავი კარისკენ მოებრუნებინა, საიდანაც საოცარი ჰანგები მოესმოდა და გამჭვირვალე, ნაღვლიანი და სრულიად აზრიანი სახით იჯდა.

მისი გონების გამონათებამ იმდენად შემაშინა, გავშრი, წყალი სულ გადამავიწყდა და თითისწვერებზე სასწრაფოდ გარეთ გავიპარე.

პიანინოს ჩრდილში ქათმებს უყვარდათ მზისაგან თავის შეფარება, ინსტრუმენტის შავ, პრიალა ზურგზე კი ძალზე გულისამაჩუყებლად გამოიყურებოდა დაჭრილი კიტრი, ხახვი და სამოგონის სამლიტრიალი ქილა, რომლის მღრვიე ტანი მას მერე ოგინსკის პოლონეზის გაგონებისთანავე წარმომიდგება.

მიშენებიდან რეზინის სურნელოვანი საავტომობილო კამერები რომ გამოვათრიეთ, ცამეტი წლის გრძელფეხება თურქულად იჯდა და ფეხის ფრჩხილებზე ლაქს ისვამდა.

– ჩემო ასულო, – უთხრა კორინმა. – მდინარეს მეძველწესეთა გზით მოვუყვებით, თუმცა, არა მგონია, იცოდე, მეძველწესეები ვინ არიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ხომ არ გსურს ჩვენთან ერთად დაუყოვნებლივ გაისეირნო ფეხშიშველამ წყალზე?

– ოლეგ, ხომ ხედავ! – გოგონამ საკუთარ თეთრ თითებსა და ფუნჯზე მიუთითა, რომელსაც თაგვის კბილებივით წვრილ-წვრილ ფრჩხილებზე გულდაგულ ისვამდა.

ბიძას უბრალოდ ოლეგს უძახდა.

– ვხედავ, – უპასუხა კორინმა. – მაგრამ რაკი წითელ ფრჩხილებსა და ჩვენს გასეირნებას შორის კავშირს სრულად ვერ ვაცნობიერებ, მხოლოდ და მხოლოდ შენს კილოზე მაქვს რეაქცია, ჩემო ასულო. მაშ, მარტონი მივემგზავრებით – სამი მამაკაცი.

– ...და ლუდის ერთი ულუფა, – დასძინა და ჩამოსასხმელი მდარე ლუდის ტოლჩას ხელი დასტაცა.

შავი კამერები გამჭვირალე წყალზე ჩავუშვით. მამამ მარჯვედ ამიტაცა ხელში, ერთ-ერთზე დამსვა და დამაბზრიალა. ავკისკისდი, რადგან მზემ ლოყებზე კუდით მომიღიტინა.

ნამდვილი ნეტარება იყო: სიცხეგადასული, ხუთსაათიანი, ასე საყვარელი და ყურბარტყუნა დღე, წყალზე სხივების ლიკლიკი, ჩემგან ხან მარცხნივ, ხანაც მარჯვნივ – მამას ანარეკლი, უსწრაფესი სრიალი: როცა კი მამა ბორ-

ბალს უკნიდან უბიძგებდა, ბედნიერებისაგან ოდნავ წამოვიკივლებდი ხოლმე...

...თან ეს სასაცილო კორინიც!

კამერა ვერაფრით დაიმორჩილა: ხან ხელიდან უხლტებოდა, ხან ქვეშიდან ამოუხტებოდა ან ამოყვინთავდა, კორინს კი თავით წყალში აყირავებდა. როგორც ჩანს, კორინს სიმძიმის ცენტრის სერიოზული დარღვევა ჰქონდა. იქნებ უიშვიათეს გამონაკლისსაც შეადგენდა და თავი ტყვიისა ჰქონდა? წვერგაჩეჩილი, წითელ პირს აღებდა, მკლავების ქნევით წყლიდან ამოდიოდა და სიცილით აყრიდა ქოქოლას თავის სლიკინა, გაუგონარ რგოლს.

– მაინც შემოგახტები! – უღრენდა კორინი. – მაინც მოგარჯულებ!

მამა ხარხარებდა. იშვიათად იცინოდა, ახლა კი ლამის ჩაბჟირებულიყო.

თავზე პანამა დაეხურა, რომელშიც სიგარეტის სავსე კოლოფი და ასანთი ჩაედო.

– შენ რა გიჭირს, ზახარ, – უყვიროდა ჩვენგან ოდნავ ჩამორჩენილი კორინი. – მდინარის ნებისმიერ ადგილს ფეხით გაივლი. შუაშიც შეგიძლია გაიარო და განზეც, მაგრამ მე რომ არ შემიძლია? ამდენმა სითხემ ლამისაა დამახრჩოს!

მიწაზე გადაადგილება თითქმის შეუძლებელი იყო – ნაპირები გაუვალ ტევრებსა და ბუჩქნარში ჩაფლულიყო, ქვიშიანი ფერდობები იშვიათად გვხვდებოდა, მაგრამ, როგორც კი საშუალება ეძლეოდა, კორინი თავის ღიპიან კამერას ხელს სტაცებდა, ხმელეთზე გამოვარდებოდა და ჩვენს გასწრებას ცდილობდა, თან სასწაულ, ველურ რამეებს გაჰყვიროდა.

მამა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, „ბელომორს“ აბოლებდა და წყალში მიაბიჯებდა, მე კი მის წინ მდინარეზე მზის ათინათივით მივგორავდი.

– გამჭვირვალე ყურები გაქვს, – მითხრა უცებ მამამ.

ყურებზე ხელი მოვიკიდე.

მან კი ოდნავგასაგონად გაიცინა.

გარშემო ყველაფერი უთბილესი იყო.

ნაპირზე მორიგჯერ ასულმა კორინმა კამერა ჩამოიცვა და დაბერებულ ბალერინას დაემსგავსა, სიკვდილის გამოსათხოვარი ცეკვის შესრულება რომ გადაუწყვეტია. ნასკვებითა და მეწამული ბაწრებით დაფარული მისი ფეხები მხიარული შიშით მავსებდა.

– ზახარ, ამ მორებზე მთელი ბაყვები გადავიტყავე! – ხრინწიანი ხმით გაჰყვიროდა კორინი. – ფეხის გულები სისხლამდე მაქვს დასერილი!

მამამ პასუხად ბოლი ამოუშვა. მე კი მისი წყალზე მდენი, მაგრამ მაინც უცვლელი ანარეკლი პეშვში მოვიქციე.

თეძოებზე ბორბალჩამოცმული კორინი წყალში შევარდა, მაგრამ მალევე აყირავდა და მზეზე ფეხები აიქნია. ფეხის გულებზე მართლაც ემჩნეოდა სისხიანი ტეხილები.

ლუდის ტოლჩა კორინთან ერთად ყვინთავდა. წყლიდან ამოსული, ზედაპირზე ბრმად ატყაპუნებდა, ვიდრე ჭურჭლის ყელს არ მიაგნებდა. საცობს აძრობდა და სვამდა.

– ხომ არ დავბრუნებულიყავით? – ჰკითხა მამამ, როდესაც ცალ ფეხზე მდგარი კორინი უკვე მერამდენედ შეეცადა, მეორე ფეხი წყლიდან ამოეყო და ვარდისფერი ფეხის გული დაეთვალიერებინა.

– რას ამბობ, ზახარ! – შეჰყვირა კორინმა. – რას ამბობ! ცოტაღა დაგვრჩა! მივაღწევ! სიწმინდეებამდე გზა იოლი არც უნდა იყოს!

ერთი საათის შემდეგ ცხადი გახდა, რომ უკან დაბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა – ქვევით დინებას მაინც მივყვებოდით, მაღლა კი დინების საწინააღმდეგოდ უნდა გვევლო. მით უფრო, რომ ქვევით ჩასვლისას სულ უფრო ვუახლოვდებოდით არქეოლოგებს, რომლებიც, გვჯეროდა, საღამოსთვის

ქათმის მწვადებს წვავდნენ ან, სხვა თუ არაფერი, კოცონზე გაცხელებულ კონსერებს მაინც დაგვახვედრებდნენ.

– სხვათა შორის, – ღრენით ამბობდა კორინი. – ამ აქრეოლოგებს მხოლოდ გუშინწინ მუქთად, შეიძლება ითქვას, უფასოდ მივეცი ოცდაათი ლიტრი სუფთა სამოგონი. ჰოდა, ზახარ, სულ ხომ ვერ დალევდნენ! ოცაათი ლიტრია!

ერთხანს მდუმარედ მივდიოდით.

– ზახარ, რა ნეტარებით შევსვამ ახლა ას გრამს! – უკანასკნელი, ჯერაც მრისხანე სიმხნევით იყვირა უკვე გვარიანად ჩამორჩენილმა კორინმა, – ლუკმასაც კი არ მივაყოლებ, ზახარ! შევსვამ, თვალებს მოვხუჭავ და რაღაც მნიშნელოვანს ჩავწვდები. იმას, რასაც შენ, მგონი, უკვე ჩასწვდი, ზახარ! მე კი ჯერ ვერა! წვდომის სისრულისათვის სულ რაღაც ასი გრამი მჭირდება.

– ასანთი არ გაქვს? ხომ წამოიღე? – მიუბრუნდა მამა.

– დამისველდა! – ხრინწიანი დარდით უპასუხა კორინმა.

მამამ ცარიელი ასანთის კოლოფი წყალში გადააგდო და მანაც ჩვენ წინ გაცურა.

მდინარე ისე იხლართებოდა, თითქოს ვიღაცას გაურბოდა და ემალებოდა. ჩვენ ძლივსღა მივყებოდით კვალდაკვალ.

მონასტრები არადა არ გამოჩნდა.

ასე მეგონა, მონასტრები მამონტებს უნდა ჰგავდნენ: მათსავით მურა ბეწვით დაფარული ფერდები უნდა ჰქონდეთ, ოდესღაც მონადირეებმა რომ გაუგმირეს.

მზეს საღამოს ზანტი ღრუბლები გადაეფარა. დროდადრო მზე მზესუმზირას ემსგავსებოდა, შავ შუაგულს შემოვლებული ჟღალი ბეწვით.

საღამოს პირველი კოღოებიც გამოჩნდნენ. ჩვენს სითბოს გრძნობდნენ და ტყიდან მდინარის შუისკენ მოფრინდნენ.

მამას მოძრაობებისაგან წყლის დქაფუნი და ხმამაღალი ტყაპანი ისმოდა: ეს მე ვიტყაპუნებდი ხელისგულს ფეხებსა და მუცელზე და კოღოებისგან სისხლიანი ლაქები მრჩებოდა.

მამა დროდადრო თავზე ხელს მისვამდა – ჩემთვის უხილავ კოღოებს აფრთხობდა.

საკუთარ სხეულზე კოღოებს თითქმის არ ერჩოდა: ან ვერ ამჩნევდა, ან ასე უმნიშვნელო ტკივილის გამო ზედმეტ მოძრაობას საჭიროდ არ თვლიდა.

მოულოდნელად თავზე ტყის გაკვირვებულმა ფრინველმა გადაგვიქროლა.

ვიდრე ტყეში გაუჩინარდებოდა, ვიღაცას სამჯერ გასძახა: „ეს ვინაა! ეს რაა! ეს რისთვისაა!“

სიცივემ ამიტანა.

– მამა, გავითოშე! – შევჩივლე.

– მაიჩ! – დაიძახა მამამ. – სად გადაიკარგე?

კორინი მდინარის მორიგ მოსახვევში ჩამოგვრჩა.

ერთხანს დუმდა, შემეშინდა კიდეც, ხომ არ დაიხრჩო-მეთქი, მაგრამ, ალბათ, პასუხის გასაცემად ძალებს იკრებდა.

– ზახარ! – იყვირა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თუმცა მის ხმას უწინდელი გრგვინვა დაეკარგა. – იარეთ, ზახარ! დაგეწევით! დაგეწევით! არქეოლოგებთან სასმელი თანაბრად ჩამოასხი და არ დავაყოვნებ... არ გალოდინებთ!

მამამ სვლას დაუჩქარა.

ალბათ, სამიოდე საათი ან უფრო მეტიც გავიდა. მზე უკვე თითქმის სულმთლად ჩავიდა.

უცბად ქარი ამოვარდა, წყალს წვრილ-წვრილმა ტალღებმა გადაურბინა, ცა და წყალი ერთმანეთში აირია, ტყე მოიღუშა და ჩვენკენ ჩამოიხარა – ფარულად ცოცხალი, თუმცა ჯერაც მდუმარე.

ბინდი მღვრიე და მოყვითალო მეჩვენებოდა.

ვძაგძაგებდი სიცივისაგან, რომელიც თანდათან მუცელზე მომედო და მაღლა-მაღლა ამაცოცდა.

მამა დროდადრო უძახდა კორინს.

ხმაზე ვატყობდი, რომ ვერც ბინდს ამჩნევდა, ვერც ტალღებს, ვერც ტყეს. მხოლოდ ძალიან უნდოდა მოწევა.

კორინი ჯერ ახლოდან ეხმიანებოდა.

მერე და მერე მისმა ხმამ მსხვრევა და მდინარის ხვეულებში ხეტიალი დაიწყო, თითქოს ცდილობდა, წამოგვწეოდა და თავი საკუთარ ექოდ გაესაღებინა.

კიდევ ნახევარი საათის შემდეგ მამას ძახილს აღარავინ ეხმაურებოდა.

მხოლოდ ორიოდე წუთის შემდეგ შორს ვიღაც ყვირილს იწყებდა, მაგრამ უკვე ველარ გაარჩევდი, კორინი გვიძახდა თუ არა. იმასაც ვერ გაიგებდი, ჩვენ უკან ყვიროდნენ თუ, პირიქით, წინ, ნაპირზე მდგარი ადამიანები გვპასუხობდნენ.

...იქნებ ადამიანი არც ყვიროდა...

ერთხელ მამა შეჩერდა და დიდხანს აყურადებდა, რათა გაეგო, ხმები საიდან მოდიოდა. შესაძლოა, ისევ გაიფიქრა, უკან ხომ არ დავბრუნებულიყავით ან ტყით რაიმე გზისკენ გაგვეღწია. სუნთქვასა და იმ სიმსუბუქეზე, რითაც ჩემს შავ, მკვრივ ბორბალს უბიძგა, შევატყე, რომ ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და გზის გაგრძელება გადაწყვიტა.

ტყეში, ასანთის გარეშე, ბავშვით, რას გააწყობდა, უკან კი კარგა ექვსი საათის სავალი იქნებოდა.

მხოლოდ უწინდელზე ხშირად აკვირდებოდა ნაპირებს, რომლებიც ბნელს დაეფარა: სავსებით შეიძლებოდა, მონასტრებისთვის შეუმჩნევლად ჩაგვევლო. არავინ დაგვპირებია, რომ არქეოლოგები კოცონს ააბრიალებდნენ და ნაპირზე მოუთმენლად დაგველოდებოდნენ. სავსებით შეეძლოთ სამოგონი დაეცალათ, ცხელი, დაკონსერებული ხორცი შეესანსლათ, პირი ბალახით მოეწმინდათ და, ბუმბულის თბილ საბნებში გახვეულებს, უსიზმროდ დაეძინათ.

საბნის გახსენებისთანავე უცნაური გრძნობა მეუფლებოდა, რომელშიც დარდი და სიცივე თანაბრად იყო გაზავებული.

სიცივე უკვე მკერდში მიცემდა, გულსა და ფილტვებს მივსებდა, ნიკაპამდე მწვდებოდა და დროდადრო ბავშვურ ყბაზე მქაჩავდა. მაშინ კბილებს ერთმანეთს შეშლილივით ვურტყამდი, რაც ყოველ ჯერზე ნახევარ წუთს მაინც გრძელდებოდა.

მამა ჩემკენ იხრებოდა და ხელებით, მკერდით, კისრით, სუნთქვით მათბობდა. „ბელომორის“ სურნელი და მისი სიმშვიდის, მისი საუბრის საამო სუნი მომდიოდა.

უკვე შეუჩერებლად მისვამდა ხელისგულებს მხრებსა და ფეხებზე და კოლოებსა და რაღაც წვრილ ქინქლებს ზედ მასრესდა, რომლებსაც არც ქარი აფრთხობდა, არც ტალღები და არც მთვარე წყალში, როგორც „კამაზის“ ქვეშ დაღვრილ მაზუთში რომ ისარკებოდა.

– ეჰეი! – დროდადრო გასძახოდა მამა კორინს თუ არქეოლოგებს.

მერე ერთხანს სიჩუმეში მოვდიოდით.

მამა გულდაგულ უვლიდა გვერდს დაფარჩხულ, რქიან მორებს, გამუდმებით წინ რომ გვხვდებდა.

– ს-ს-ს, – დროდადრო იტყოდა ხოლმე და წამით ჩერდებოდა, თან ტერფით ფსკერს სინჯავდა. მაშინ ვხვდებოდი, რომ ქვიშაში ჩაფლულ ტოტს დააბიჯა, რომელსაც შავი, მომპალი, მაგრამ ჯერაც მკვრივი კბილი ამოეყო და ტერფი იტკინა.

– მამა, – ვეკითხებოდი. – ტყეში ხომ არ დარჩებით?

– არა, – ვპასუხობდა. – მალე მივალთ.

– სად მივალთ?

– სადმე მივალთ.

თითქმის უხმოდ ვმოძრაობდით. ორივე მხრიდან აღმართულ ტყეს თალს

ვარიდებდი, რომელიმე ტყიური არსების თვალებს რომ არ შევფეთებოდი, მაგრამ ტყემ თავი შემახსენა, როცა ჩვენს მარჯვნივ უეცრად მკაფიო ტკაცანი გაისმა.

– ამას დამიხედე, – მამას ხმაში ღიმილი გაუკრთა.

– რა არის, მამა? – ლაპარაკისას ტუჩები აღარ მეკუმებოდა.

– არაფერია, – მიპასუხა. – ტოტმა გაიტკაცანა.

მაგრამ წუთს შემდეგ უფრო ძლიერი ტკაცანი გაისმა.

კამერას თითები ჩავავლე. გათოშილი, თავის ნაპირისკენ მობრუნებას ვერ ვბედავდი.

ვიღაც თუ რაღაც ტყე-ტყე მოგვყვებოდა და თვალს არ გვაცილებდა.

– რაღაც მხეცი იქნება. იანტერესებს, ამ შუაღამისას წყალში ვინ დაბოტებსო, – მითხრა მამამ ისე, რომ ღიმილს მისი ხმა არ მიუტოვებია.

– დიდია? – ვკითხე. სიტყვა ისეთი ხმით ამომვარდა პირიდან, თითქოს წყალში რიყის ქვა ჩავარდაო.

– არა, დიდი არაა. პატარაა.

– დათვია? – არ ვეშვებოდი.

მამას გაეცინა.

– პატარა დათვია, – გაიმეორა და მაშინვე თემა შეცვალა. – აბა, გახედე, წინ სინათლეს ხედავ?

– აჰ! – დავინახე, მაგრამ სიხარულის თავიც აღარ მქონდა. – ეს... კოცონია?

– არა, კოცონი არა მგონია, – მიპასუხა მამამ. – ჩვენი კოცონი მარჯვენა ნაპირზე უნდა იყოს, ეს სინათლე კი მარცხენაზეა, თანაც, უფრო ფანჯარას ჰგავს.

ამ სინათლეს, როგორც ტივტივას, ისე მივაჩერდი. ტივტივა ცახცახებდა და, ბუჩქებს წამოგებული, ბნელში ხშირ-ხშირად იძირებოდა.

ტყეში კიდევ ერთი-ორჯერ გაისმა ტკაცანი, მერე კი ჩამოგვრჩა.

სინათლე ისე ნელ-ნელა მოცოცავდა, თითქოს ის ძუა, რომლითაც ჩემკენ ვექაჩებოდი, ასობით მეტრის სიგრძისა ყოფილიყო.

ალბათ, კიდევ ნახევარი საათი გავიდა, ვიდრე მკაფიოდ შესამჩნევი გახდებოდა.

მაღალ ნაპირზე მდგარ დიდ შავ სახლში აღმოჩნდა ჩადუღაბებული. მხეცის თვალივით ციცქნა, ერთადერთი სარკმელი მკრთალად იყო განათებული. სახლს ღობე ერტყა გარს.

ექვსი თუ შვიდი საათის შემდეგ პირველად გამოვედით ნაპირზე.

ქვაღორღიან ნაპირზე ვერ გავიარე.

მამამ დაიძახა. არავინ გამოხმაურებია.

ზურგი, მხრები და მუცელი დამიზილა, ხელის გულები ძლიერი და ჯერ კიდევ თბილიც კი ჰქონდა.

– მამა, რაღაც მოცურავს, – ვუთხარი.

სარკმლის შუქზე, შუა წყალში რაღაც მრგვალი დავლანდე.

მამამ წყლისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ლუდის სანახევროდ სავსე ტოლჩით ამობრუნდა.

კორინს თავისი ნუგბარი ხელიდან გასხლტომოდა. მამამ ლუდი მოსვა და გადააფურთხა. ტოლჩა ნაპირზე დააგდო.

ხელში ამიყვანა და აღმართს უხმოდ აუყვა – ჯერ ქვებზე მიაბიჯებდა, მერე ჭიშკრისკენ ამავალ ბილიკზე. ბილიკი მოლიპული იყო – მამა თავისუფალი ხელით ბუჩქებსა და ბალახის ღერებს, ზოგჯერ ჭინჭარსაც ეჭიდებოდა, თან ოდნავ გასაგონად იგინებოდა.

ჭიშკართან შეჩერდა, ძირს ჩამომსვა და ისევ დაუძახა მასპინძლებს.

პასუხი არავინ გასცა.

– შვილო, აქ უნდა მომიცადო, – მთხოვა. სიტყვებს სათითაოდ და ისე სათუთად მაწვდიდა, თითქოს პეშვებით ხორბალი გადაჰქონდა. – ეზოში შეიძლება, აშვებული ძაღლი იყოს.

– მამა!.. – ამ ერთი სიტყვით დაუყოვნებელ ხსნას შევევდრე ყველა იმ

შიშისაგან, რასაც ჩემი ბავშვური არსებობა იტევდა.

მან ჭიშკარი შეანჯღრია, ჩაკეტილი რომ აღმოჩნდა, ცერებზე წამოდგა, შიგნით ჩაიხედა და ურდული შეხსნა.

სარკმლის სუსტი შუქი პატარა ეზოს ძლივს ანათებდა.

მამამ თვალები მოჭუტა და ერთხანს აკვირდებოდა ტალღოვან ბინდბუნდს, ბოლოს მიაგნო, რასაც ეძებდა, ხელში ამიტაცა, ეზოში შემიყვანა და მაშინვე რაღაც დაზგაზე ამსვა.

– აქ იდექი, – მითხრა.

თვითონ სწრაფად მივიდა კართან და უკვე კაკუნის გარეშე შეაღო.

– მასპინძელო! – დაიძახა ზღურბლზე მდგარმა მამამ.

ვიღაც ყრუდ გამოეხმაურა.

– ეზოში ძაღლი ხომ არ არის? – იკითხა მამამ.

– ძაღლი არ მყავს, – გლეხური ბოხი ხმით უპასუხეს. – ვინაა?

მასპინძელი გათეთრებული ჭარმაგი მოხუცი აღოჩნდა, თავიდან შიშით რომ შემოგყურებდა. ძნელია, შუაღამისას ორ თითქმის შიშველ ადამიანს ენდო – ბიჭს, რომელსაც მხრებსა და მკერზე კოღოებისა და ქინქლების სისხლიანი ფაფა სცხია, და ზორბა მამაკაცს, ვისთვისაც ჭერის კოჭები სერიოზულად დაბალი გამოდგა – ისე თავდახრილმა შემომიყვანა, თითქოს მასპინძელს რქენას უპირებდა.

– ძველ მონასტრებთან ჩასვლა გვინდოდა. გვეგონა, მდინარით იგივე მანძილი იქნებოდა, რაც ხმელეთით, მაგრამ დაბნელებამდე ვერ ჩავაღწიეთ, – განმარტა მამამ.

– ისტციდან ხართ? – მიუხვდა მასპინძელი. – აქ მდინარე ისე იკლაკნება, წყლით ხუთჯერ უფრო შორია, ვიდრე ფეხით.

– მდინარით თუ განვაგრძეთ სვლა, მონასტრებამდე კიდევ შორია? – ჰკითხა მამამ.

– ორი კილომეტრი გრჩებათ, – უთხრა მასპინძელმა.

მე მამას ფეხებთან ვიდექი და აქეთ-იქით ვიქცირებოდი.

როგორც ჩანს, სახლში, მოხუცის გარდა, სხვა არავინ იყო, თუმცა ორი საწოლი იდგა. კუთხეში უხვად ეკიდა ხატები. ხატებთან ლამპარი ენთო. წითლად შეღებილ, სუფთა ფიცრულ იატაკზე ჭრელი ხალიჩა ეფინა. შუა ოთახში რამდენიმე არც ისე ღრმა და არც ისე გრძელი ბზარით დასერილი თეთრი ღუმელი იდგა. ზედ წყლიანი ვედრო იყო შემოდგმული. ვედროს გვერდით ციცხვი იდგა.

– შემოდით, შეგიკედლებთ, – უბრალოდ გვითხრა მოხუცმა. – ბავშვით სად უნდა წახვიდეთ?!

– შეიძლება ჩავაწვინო? – ჰკითხა მამამ.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა მასპინძელმა და საწოლს საბანი გადახადა.

მამამ ჩემი საცურაო ტრუსი ნარეცხის ვედროში სწრაფად ჩაწურა და მასპინძელს ძველი პენარგი ან მაისური სთხოვა.

რაღაც მშრალი და მკვრივი, მკლავებიანი ჯვალო მოიძებნა, სწორედ მუხლებამდე რომ მწვდებოდა.

ჩამაცვეს და საწოლში ჩამაწვინეს. ზეწარს რომ შევეხე, საოცრად ფითქინა და უხეში მეჩვენა, საწოლი კი – მაგარი და ხმელი, მაგრამ საწოლში თავს მაინც თითქმის კარგად, თითქმის მშვიდად, თითქმის საამოდ ვგრძნობდი.

მამამ საბანში გამახვია. მასპინძელმა თავისი ტყაპუჭიც მოიტანა, მამამ ისიც გადამაფარა.

– ახლავე ჩაის მოვამზადებ, – თქვა მასპინძელმა.

ხატებთან ლამპარი ოდნავ ბჟუტავდა, თითქოს ვიღაც უხილავი დროდადრო მოფრინდებოდა და ჩუმად უბერავდა სულს.

ერთი სული მქონდა, მამა გვერდით მომწოლოდა და ნესტიანი, უცხო და ხის ქერქივით ხეშეში სამყარო, ბოლოს და ბოლოს სრულიად გამქრალიყო, მისი

ადგილი კი თბილ, სიზმარეულ, დილის მომასწავებელ სამყაროს დაეკავებინა.

– შვილო, მე უნდა წავიდე, კორინი მოვძებნო, – ხმადაბლა მითხრა მამამ. – რა ვიცით, რა შეემთხვა. იქნებ ფეხი იღრძო. აქ დამელოდები? მოვალ და წამოგიყვან.

– მამა, – ვუთხარი.

– არაფერია, არაფერი, – მიპასუხა. – მალე მოვალ. თორემ, ვინ იცის, ძია ოლეგი იქ წევს, ახლომახლო კი მშველელი არავინაა.

უეცრად მამას ამხანაგის ფეხებზე გადაგლეჯილი ნასკვები მომაგონდა და წარმოვიდგინე, კორინი ბაწროვანი ვენით როკიან ხეს როგორ წამოეგო, თქრიალით როგორ მოსდის სისხლი, ის კი ქვიშაზე წევს და მშველელი არავინ ჰყავს, ტყის ტოტებს კი რაღაც ატკაცუნებს და ყნოსვა-ყნოსვით უახლოვდება.

მასპინძელმა ჩაი მოიტანა. მამამ მოსვა და მაშინვე წამოდგა, მოხუცს აუხსნა, მესამე გზაში ჩამოგვრჩაო. ხელი არ ამიქნია, არც თავი დამიკრა, უბრალოდ, კარის წინ ჩაიხარა, ნაბიჯი გადადგა და გაქრა.

მასპინძელმა, როგორც მკრთალ შუქზე მომეჩვენა, ერთგვარი ეჭვით გაიყოლა თვალი.

– მიდი, ჩაი დალიე, – მითხრა ხანმოკლე ჩაფიქრების შემდეგ.

ჩაის ტყის ბალახებისა და წყლის სუნი უდიოდა, ჩაის სუნი კი სულ არ ჰქონდა. ცოტა მოვსვი და სასწრაფოდ ისევ საბნის ქვეშ შევიყუჟე.

მასპინძელი მოთეთრო წამწამების ხშირ-ხშირი ხამხამით მომიახლოვდა და ჩამოცურებული ტყაპუჭი გამისწორა. ხელები თეთრად ჰქონდა დალაქავებული.

თვალები მოვხუჭე და მუქი მდენი წყალი დავინახე. ისეთი მკვრივი იყო, ზედ დაწოლა და ჩაცურება შემეძლო, თითქოს საპნის ნაჭერი ვყოფილიყავი. ამის გამო მუცელში ყველაფერი ერთმანეთზე მეყინებოდა და სუსხიან ღიტინს ვგრძნობდი.

მთვარეც საპნის ნალევივით მიგორავდა წყალზე, მის ხელით დაჭერას ვცდილობდი.

ვერაფერი დავიჭირე, უკან მივიხედე და მდინარეში, როგორც ბლანტ ვერცხლისწყალში ჩაფლული მამა დავინახე. ფეხის გადადგმას ან მდინარეში ჩაძირული კუნძისათვის ხელის ჩავლებას გაცხარებით ცდილობდა.

არაფერი გამოსდიოდა.

მერე ამოიხედა და ისეთი უმწეო თვალებით მომაჩერდა, შიშისაგან გამომეღვიძა.

მასპინძელი მუხლისჩოქზე იდგა და ლოცულობდა. მისი ლოცვა სულმთლად გაუგებარი და უცნაური მეჩვენა.

მერე ზეზე ადგა, ლამფა სულის შებერვით ჩააქრო და საწოლში ჩაწვა.

სუნთქვის შეკვრას ვცდილობდი და უხეშ ზეწარს ხელისგულებს ვუსვამდი.

ასჯერ რომ გადავუსვი, ხელებში საამო ზუზუნი ვიგრძენი, თითქოს სისხლი ბურთულებად შეკრულიყო და ეს ბურთულები ერთი მეორეს ეხახუნებოდნენ.

მასპინძელმა ფშვინვა ამოუშვა, ყელიდან ოდნავი ბუყბუყი ამოსდიოდა.

ჯერ იდაყვებზე წამოვიწიე, მერე შიშველი ფეხები ნელა ჩავუშვი, საბანი და ტყაპუჭი გვერდზე გავწიე და ძირს დავდექი. საწოლი არ გაჭრიალებულა.

სამი ნაბიჯი გადავდგი და შემოსასვლელში აღმოჩნდი. აქ ვერც ლამპრის შუქი ატანდა, ვერც მთვარის სხივები: სრული სიბნელე იყო.

ერთბაშად დაბრმავებული თვალების ცეცებით იატაკის უდროო დროს ამღერებულ ფიცრებზე გავიარე. რეზინის ჩექმას ფეხი დავაბიჯე, სამფეხა სკამს მწარედ მივარტყი კოჭი და ბოლოს წინ გაშვერილი ხელისგულებით რაღაცას მივეტაკე. ხელები ხოჭოსავით რკალური მოძრაობებით ავაფათურე, ურდულს მივაგენი და გარეთ გავედი.

კარს ჭრიალი რომ არ აეტეხა, ღია დავტოვე.

ჭიშკრამდე მივირბინე და ბილიკს სწრაფად ჩავუყევი. ბილიკი ცოცხალივით მისხლტებოდა ფეხებქვეშ. მამას ეს რომ სცოდნოდა, მის კუდს მკლავზე დაიხვევდა. ვერსადაც ვერ წავიდოდა.

ჯაგნარით ხელები გადავიტყავე, ფეხისგულები ქვებზე დავიმტვრიე და წყალთან ჩავირბინე.

მთვარე ადგილზე იწვა და არ იძვროდა – ბრტყელი იყო და კარაქმოსმული გაცივებული ბლინივით ცხიმიანი.

დიდხანს გავყურებდი გაღმა ნაპირზე ტყეს, მინდოდა მისთვის რაღაც ისეთი მეთქვა, ჩემთან რომ შეარიგებდა და კეთილად განაწყობდა, მაგრამ ასეთი სიტყვები არ აღმომაჩნდა.

ლოყაზე კოღო დამაჯდა, მოვისრისე, მაგრამ მაშინვე მეორე და მესამეც აწივლდნენ. მათი მოახლოვებული ტორტმანისაგან წინასწარ მომეკრუნჩხა ყბები.

ჰაერი უწინდელზე უფრო ცივი მეჩვენა. პირში შეცურება არ უნდოდა, ამიტომ ნესტოებით ვსუნთქავდი.

მდინარეში თევზმა გაითდქაფუნა, მაგრამ წყვდიადმა თევზიც და დქაფუნიც წამშივე შთანთქა.

აღარაფერი დარჩა. სუნთქვაშეკრული ღამე თავს წამომდგომოდა.

– მამა, – დავიძახე და ჯერ მარცხნივ მივბრუნდი, მერე მარჯვნივ.

საღამო ხანს მდინარეს მანქანით მივადექით.

უკანა ხედვის სარკე შემოვიბრუნე, ჩავიხედე და სამდღიან გაუპარსავ წვერზე ხელი მოვისვი.

ფარების შუქი წყალს ისე მყარად დაებჯინა, თითქოს ბოძები ყოფილიყო, მანქანას წყალში ჩაგორებისაგან რომ იკავებდა.

გაღმა ნაპირზე სახურავჩანგრეული, მიტოვებული სახლი იდგა.

კორინმა თავისი დედაბერი სადღაც ტყეში დამარხა, ქალს თვითონ უთხოვია.

შორი ნათება გამოვრთე, მდინარე შევიწროვდა, ძველი სახლი გაქრა.

მერე ახლო ფარებიც ჩავაქრე, წყალი თითქმის სრულებით გაუჩინარდა.

მერე გაბარიტებიც წკაპუნით გამოვრთე და ქვეყნად აღარაფერი დარჩა ტყის თავზე მღვრიე, მოყვითალო ცისა და კანტიკუნტი ვარსკვლავების გარდა.

– ოლეგ, მდინარეზე მეტი ყურადღებაა საჭირო, – უთრა კორინს მეორე დილით მისმა დედაბერმა. – გავიგე, შენი მეგობარი წყალში დამხრჩვალა. გვამს თუ ბორტზე ამოიტანთ, ტრიუმში დაასვენეთ. შლამის სუნი არ მიყვარს.

კორინმა გადაიხარხარა, მამას კი ეს საუბარი არ გაუგონია.

ჯერ სვიტერი ჩამომაცვა, მერე თბილი წინდები, სქელი შარვალი და რაღაც ზამთრის ქუდიც კი ჩამომაფხატა.

მერე თვითონ გაიხადა. როგორც კი მამა გაშიშვლდა, მაშინვე თვალი მოვარიდე.

მამამ ვეება ტანი პირსახოცით დაიზილა. მოკუჭული პირსახოცი კუთხეში მიაგდო. სკამიდან თავისი ტანსაცმელი ჩამოიღო – ფართო შარვალი და ყელიანი სვიტერი. უხდებოდა.

მიტოვებულ ბაღში გამავალი ფანჯრიდან მამას ცამეტი წლის გრძელფეხება უთვალთვალებდა. მამას ხედავდა, მე კი ფანჯარასთან, საწოლზე ვიჯექი და გარედან არ ვჩანდი. ფანჯარას შტორი ლაწანით ჩამოვაფარე. გრძელფეხება ბუჩქებში შევარდა.

ნეტავ ამ ბუჩქებმა ისე დაკაწროს, სისხლით დაიცალოს.

სუსხიანი დილა იყო. შინ მივემგზავრებოდით. ავტობუსი მალე გადიოდა. კორინმა სამოგონი ჩამოასხა. ჭიქები მსუბუქად მიაჭახუნეს, დაცალეს და პიანინოზე დადგეს.

პიანინო უკვე ჭიქების მრგვალი ანაბეჭდებით იყო დაფარული, გეგონება, ვიღაცამ ზედ მსხვილი წებოვანი მძივი დადო, მერე კი აიღო.

– შიგნით არ შევიტანოთ? – შესთა-

ვაზა მამამ კორინს და ინსტრუმენტს ხელით შეეხო. – რომ დააწვიმოს?

კორინი დაიმანჭა – ერთი მაგის დედაც.

ბოლოს და ბოლოს, მაინც ვერ გავიგე, მამა იმ ღამით სად წავიდა. მგონი, ჯერ მდინარეს ჩაუყვა არქეოლოგების ბანაკისკენ, მაგრამ უკვე წასულები დახვდნენ, მხოლოდ კოცონის ნაცეცხლარი, ნაცარში კონსერვის ქილები და ბორბლების კვალიღა შერჩა. მაშინ კორინის საძებნელად აბრუნდა და ნაპირზე მშვიდად მძინარი იპოვა; მგონი, ფეხი ჰქონდა ნაღრძობი, მაგრამ მსუბუქად; რომ ველარ უვლია, ფიჭვის ტოტები გადაუფარებია და დაუძინია. მამამ კოცონი დაუნთო: თურმე ჩვენი მასპინძელი მოხუცისაგან ასანთი და ღორის ქონი წამოუღია. მეგობარს ცეცხლი და ხორცი დაუტოვა, თვითონ კი ტყით მოკლეზე ავიდა შინ. ღამითვე ველოსიპედით ჩემს წამოსაყვანად დაბრუნდა. ველოსიპედი გაღმა ნაპირზე, ბალახში დადო, მდინარეზე გადმოვიდა, მასპინძელი ისევ გააღვიძა და მადლობა გადაუხადა.

კორინის საწოლიდან ჩამოღებულ საბანში გამახვია და მდინარეზე გადამიყვანა, ველოსიპედის ჩარჩოზე დამსვა და სახლში წამიყანა. იქ სამოგონის ბოთლი აიღო და ისევ ჩაუყვა მდინარეს კორინის წამოსაყვანად.

დილის ცხრა საათზე გამოცხადდნენ, – როდესაც წუხანდელი მრუმე და გაუვალი ტყე კვლავ ტყის წიაღში შეიმალა, წინ კი, ნაპირებთან, ისევ ქარში მოშრიალე ლამაზი ფიჭები გამოსულიყვნენ.

მამას კორინის სახლში აღარც შეუხედია. ჭკუიდან გადასულ დედაბერს, ალბათ, ბოლომდე ეგონა, რომ მისი წვერიანი შვილიშვილის ზორბა მეგობარი მდინარეში დაიხრჩო.

ნეტავ სადაა დასაფლავებული? ახლა მივიდოდი და გრიბოედოვის ვალსს ვუმღერებდი.

მანქანის ჩაკეტვას ვაპირედი, მერე ვიფიქრე, ტყეში ვის რაში სჭირდებამეთქი. გასაღები ჯიბეში ჩავიდე. დიდხანს ვიდექი ნაპირზე და ვფიქრობდი ისე – თავში ერთი აზრიც კი არ მიტრიალებდა.

მერე, ციებიანივით, საჩქაროდ დავიწყე ტანთ გახდა: შარვალი, სვიტერი, თბილი წინდები გავიძრე, თავიდანაც რაღაც გაურკვევლობა მოვიხადე და ყველაფერი ნაპირზე დავყარე.

მაისის წყალში შევაბიჯე და დავდექი ასე, სუნთქვაშეკრული.

თავზე ფრინველმა გადამიფრინა, წყალში მისი ანარეკლის დანახვა ვერ მოვასწარი, მხოლოდ ფრთების ფახული და კივილი გავიგონე.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

ზუსტად იმავე მდგომარეობაში, ზუსტად იმავე ადგილას დიდხანს თუ ვიდგები და დაველოდები, ალბათ, გამოჩნდება.

ჯერ დგაფანს გავიგონებ: ეს მისი ნაბიჯების ხმაა, მაინც შეძლო და წყლის წინაღობა დაძლია, წყალი ხომ მსუბუქია, მით უმეტეს, თუ დინებას მიჰყევი.

დგაფანს მისი „ბელომორის“ ალი მოჰყვება. პაპიროსი „ბელომორი“ აღარ იყიდება, მას კი მაინც აქვს.

მერე გავიაზრებ: აი, ეს მისი სახეა, ეს – მისი მხარი... და თუ ციცქნა ალი ქვევით ჩაეშვა – ესე იგი, ხელს დაბლა წევს, ხოლო მაღლა თუ ავიდა და აკაშკაშდა – მამამ პირთან მიიტანა და მოქაჩა.

...სად ხარ? მე აქ ვდგავარ, სიბნელეში. სად გადაიკარგა შენი სიცოცხლე, მამა?

არავინ მოდიოდა.

– სულელი ხარ, ზახარ! – შევძახე ღვარძლიანად.

ნელი ნაბიჯით ჯერ მუხლებამდე ჩავედი, მაგრამ ფეხი რომ დამისხლტა, მთლიანად ჩავემხე წყალში და ერთხანს ასე ვიწექი, არც ამოყვინთვა მიცდია, არც გავნძრეულვარ.

დინება ქვევით მიმაქანებდა.

გზაზე ჩაძირული ხე დამხვდა, დიდხანს ვუფათურებდი ხელებს. ბოლოს ზეზე ავდექი, დაფარჩხულ კუნძს გადავალაჯე და წყალში სვლა განვაგრძე, ხან მკერდამდე, ხანაც წელამდე, უფრო ხშირად კი – ყელამდე რომ მწვდებოდა.

„...მის შესახვედრად დიდხანს თუ ვიარე...“ – ვეუბნებოდი ჩემს თავს.

„...მის შესახვედრად დიდხანს თუ ვიარე...“ – ვიმეორებდი.

ზედაპირზე თავი ველარ შევიკავე, ჩავიძირე, წყალი ვყლაპე, ამოვყვინთე. ფეხების გაშმაგებული ქნევით წინ წავიწიე, მაგრამ, დამფრთხალს, ამერია, საით უნდა გამეცურა – მარცხნივ თუ მარჯვნივ.

ტყე ცისკენ აღმართულიყო, მთვარე წყლის სარკეზე მისრიალებდა.

ნაპირზე დიდი კაცის ფართხუნა, ქურთუკმოსხმული ბიჭი იდგა. მთვარის შუქში ჩანდა, შიშველ ფეხებზე კოლოები როგორ ეხვეოდნენ. ნიკაპი მაღლა ჰქონდა აწეული და უხმოდ უცახცახებდა.

– მამა, – დამიძახა ბიჭმა.

Иосеб ჭუმბურიძე

შემოქმედის დაბადება სამშობლოს სულიდან
(შტრიხები ანზორ ერქომაიშვილის პორტრეტისათვის)

კინოსცენარს რომ ვწერდე, ასე დავიწყებდი:

მაყურებლით გადაჭედილი საკონცერტო დარბაზი...

სცენაზე მომღერალთა ოჯახია – სამი თაობის თითო წარმომადგენელი:

ბაბუა, შვილი და შვილიშვილი.

სიმღერას, მოულოდნელად, მაყურებლის სიცილი და ტაში შეწყვეტს...

●

წლების შემდეგ, შვილიშვილი, უკვე სახელგანთქმული ლოტბარი და მომღერალი, თავის წიგნში ამ ფაქტს ასე მოიგონებს:

„მამაჩემისა და ბაბუაჩემის ჩახვეულ ხმებს ვეღარ გავუძელი, ტონალობას ავცდი, გავჩერდი და „სემესალა, ბაბუ“-მეთქი, ვუთხარი ბაბუას სკამზე შემდგარმა, ოთხიოდე წლის ბავშვმა, რითაც მაყურებლის გულიანი ხარხარი და ოვაცია გამოვიწვიე.

– შენ კი არა, ჩვენ შეგვეშალა, – დამამშვიდა ბაბუამ. – აბა, ერთხელ კიდევ დავიწყოთ და აღარ შეგვეშლება, – მითხრა ტკბილად და თავიდან დამაწყებინა სიმღერა, რომელიც მართლაც აღარ შეგვშლია“.

ადვილი გამოსაცნობია, რომ ეს ერქომაიშვილთა დინასტიაა:

ბაბუა – არტემი;

შვილი – დავითი;

შვილიშვილი – ანზორი.

მაგრამ დინასტიას ერთი დიდი წინაპარი აკლია...

●

დაახლოებით ორმოცი წლის წინათ, მოსკოვის არქივებში მუშაობისას, ანზორ ერქომაიშვილმა 1934 წლით დათარიღებულ ფირფიტას მიაკვლია, რომელზედაც ერთ-ერთი უძველესი ქართული ხალხური სიმღერაა ჩაწერილი. პირველ ხმას ანზორის დიდი ბაბუა, 94 წლის გიგო ერქომაიშვილი ასრულებს, „გამყივანს“ – 12 წლის დავითი (მამა), ხოლო ბანს – 48 წლის არტემ ერქომაიშვილი (ბაბუა).

აი, საიდან მოდის ანზორ ერქომაიშვილი!

●

დიდი ბაბუა – მომღერალ-მგალობელი.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში გიგო ერქომაიშვილმა სოფელ მაკვანეთში ჩამოაყალიბა ანსამბლი, რომელმაც არა მხოლოდ სიმღერა-გალობით გაითქვა სახელი: გრამოფონის ფირფიტებზე ერთ-ერთმა პირველმა ჩაწერა და დავიწყებას გადაარჩინა ქართული ხალხური სიმღერების უძველესი ვარიანტები;

სიმბოლური ფაქტი: 1970-იან წლებში ანზორ ერქომაიშვილმა მოსკოვისა და ლონდონის ფონოარქივებში მიაკვლია მაკვანეთის ანსამბლის უნიკალურ ჩანაწერს – ოთხხმიან გურულ ნადურს, „საჯავახურას“.

ბაბუა – „ეროვნული განძი. შეიძლება, ასე ეწოდოს ღვაწლსა და დანატოვარს, რომელიც დიდი მგალობელ-მომღერლის, ლოტბარის, არტემ ერქომაიშვილის შემოქმედების სახით მოეპოვება საქართველოს. მისი შესრულებით შემონახული ტრადიციული ქართული მუსიკალური ხელოვნების, ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის შედევრებით აღვსილი ფონოჩანაწერები ქართული კულტურის ფასდაუდებელი საგანძურია“ (დავით შუღლიაშვილი).

მამა – მომღერალი დავით ერქომაიშვილი. სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა, 32 წლისა, ტრაგიკულად დაიღუპა.

შვილი – მომღერალი და ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი.

დღევანდელ საქართველოში, ალბათ, ძალიან ცოტაა ასეთი სიყვარულით წარმოსათქმელი სახელ-გვარი.

არ ვიცი, ანზორი სადაური სახელია. ეს კი ზუსტად ვიცი: სინტაგმა „ანზორ ერქომაიშვილი“ უსაშველოდ ქართულია.

აქ გალაკტიონის ორი სხვადასხვა სტრიქონი ერთდროულად გაგვახსენდება:

„მზერა ქართულია სივრცის დაუნჯებით...“

„სავსე ქართული პატიოსნებით...“

მართლაც, იშვიათია სულისა და ფიზიკის ასეთი ჰარმონია.

●

წიგნები ვახსენეთ.

ანზორ ერქომაიშვილი მრავალი წიგნის ავტორია.

ყველა მათგანი ბესტსელერივით იკითხება.

შიგადაშიგ ისეთ პასაჟებს შეხვდებით, აღიარებულ მწერლებს რომ შეშურდებათ.

ბაბუის საფლავის მოსანახულებლად მიმავალს, ძველი გურული სიმღერის მელოდია აეკვიატება: „შავი შაშვი ჩი-ოოო-და...“

საფლავთან მისულს აკვიატებულ მელოდიას ნამდვილი შაშვის გალობა შეაწყვეტინებს.

შაშვი იმ ჭადრის ტოტზე ზის, არტემ ერქომაიშვილის სამარეს რომ დაჰყურებს.

„ფრთხილად მივუახლოვდი საფლავს

და ჩამოვჯექი. შაშვმა გალობა შეწყვიტა. ალბათ, დაიღალა და გაფრინდებამეთქი, – გავიფიქრე გულდაწყვეტილმა, მაგრამ ჩიტმა ადგილი მოინაცვლა ტოტის წვერისაკენ, რამაც შაშვის სიმძიმეს ვერ გაუძლო და თითქმის მიწამდე დახარა მგალობელი. შაშვი გალობდა, ტოტი ნელ-ნელა, თანაბრად ირხეოდა მიწისკენ და მომეჩვენა: ფრინველი ხმამაღლა ჩაჰგალობდა იმ კაცს, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად შეეძლო, გაეგო მისი გალობის ფასი“.

ასეთი მწერლური მონასმების ავტორი გამუდმებით იმეორებს, მე ხომ მწერალი არა ვარო.

კეთილი, აქ არ შევედავები.

ნამდვილად შესადავებელი მაინც სულ სხვაა:

ამასაც ხშირად იმეორებს: მოღვაწე არა ვარო.

მოღვაწეები ილია და ექვთიმე იყვნენო.

ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობიდან ეს სიტყვა დიდი ხვეწნით ამომაშლევინა.

ცხადია, ხათრი ვერ გავუტეხე, მაგრამ აი, რას ვკითხულობთ წიგნში, რომელიც მისი დაბადებიდან 70 წლითავს მიეძღვნა:

„საყოველთაოდაა აღიარებული ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართული მუსიკალური ენის, ჩვენი მრავალხმიანობის გადარჩენისა და პოპულარიზაციისათვის გაწეული მსახურების გამო, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის სახელი მომავალში ღირსეულად მოიხსენიება ისეთი დიდი მოღვაწეების გვერდით, როგორებიც არიან ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიმონ ქორიძე, ექვთიმე კერესელიძე, ძმები კარბელაშვილები, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი...“

ღვაწლიო... დიდი მოღვაწეების გვერდითო... ექვთიმე თაყაიშვილის გვერდითო...

რა გასახარია, რომ ამას პროფესიონალი მუსიკოსები წერენ – გიორგი დონაძე და სვიმონ ჯანგულაშვილი.

სხვათა შორის, ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხსენებულ წიგნ-ალბომს კონსპირაციულად ამზადებდნენ, რისი მიზეზიც „ამ ადამიანის საოცარი თავმდაბლობა და მოკრძალებულობაა. ბატონ ანზორს გულწრფელად სჯერა, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განსაკუთრებულ ყურადღებასა და აღნიშვნას არ იმსახურებს, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე ადამიანმა უხმაუროდ უნდა აკეთოს“.

რა ფასდაუდებელია ასეთი თავმდაბლობა მაშინ, როცა „ათასი ჯურის უნიჭობა იბრძვის, ფაფხურობს“ (მ. ლებანიძე)...

●

ანზორ ერქომაიშვილის სახელი ქართველთა ცნობიერებაში, ძირითადად, მაინც ორ სახელგანთქმულ ანსამბლს უკავშირდება – „რუსთავს“ და „მართვეს.“

ორივემ ტრიუმფით მოიარა მთელი მსოფლიო.

„მართვეში“ განსხეულდა მისი შემომედებითი კრედო და მრწამსი: „თუ გვინდა, ქართული ხალხური სიმღერა შევინახოთ, ის ბავშვებს უნდა ვასწავლოთ და შევაყვაროთ“.

რაც შეეხება „რუსთავს“, პირდაპირ უნდა ითქვას:

ქართული კულტურის ჭეშმარიტი სახე, დონე და ხარისხი მსოფლიოს, უპირველესად სამმა შემოქმედებითმა კოლექტივმა გააცნო – „სუხიშვილებმა“, „რუსთავმა“ და რუსთაველის თეატრმა.

როცა „რუსთავს“ საფრანგეთში მოუსმინეს და აცრემლებული ქართველი ემიგრანტები იხილეს, იქაურ პრესაში დაიწერა: „ისინი ბედნიერები არიან, რადგან მაყურებელი ტაშს უკრავს მათი სამშობლოს სულის ნაწილს“.

უკეთესი რა უნდა ეთქვათ?!

სამშობლოს სულის ნაწილია მრავალხმიანი ქართული სიმღერა, ანსამბლი „რუსთავი“ და თვითონ მისი დამაარსებელიც.

ანზორ ერქომაიშვილის მაგალითი იმას ადასტურებს, რომ დიდი შემოქმედი და მოღვაწე სწორედ სამშობლოს სულიდან იბადება.

●

ერთმა გერმანელმა მუსიკისმცოდნემ ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი ამ სიტყვებით გახსნა: „ქართველები ის ხალხია, ღმერთს სიმღერით რომ ელაპარაკებიან“.

ასე მგონია, ნიცშეს რომ ქართული მრავალხმიანი სიმღერა მოესმინა, მასაც ესქილესეული დადებითი მზერით შეხედავდა და აღტაცებას ასე გამოხატავდა: „მაგრამ ისიც მითხარი, უცხოელო, რამდენი უნდა ეტანჯა ამ ხალხს, ესოდენ მშვენიერი რომ გამხდარიყო?!“

ქართველმა ერმა, სამი ათას ხუთასწლოვანი ისტორიის განმავლობაში, მართლაც ბევრი იტანჯა და არაერთი მშვენიერება შექმნა. ერთ-ერთი მრავალხმიანი სიმღერაა.

●

სკოლა რომ დაამთავრა და პროფესია უნდა აერჩია, გული უნივერსიტეტისაკენ მიუწევდა.

არტემ ბაბუამ კი ეს უთხრა: „ძველი თაობა წავიდა. ახლა მხოლოდ მე გამაჩნია ის სიმდიდრე, რომელიც არც ფულზე იყიდება და არც ოქროზე აინონება. ამ სიმდიდრის ფასს შენ ჯერ ვერ გაიგებ. ეს არის სიმდიდრე, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება. მე რომ რაიმე შემემთხვეს, ისეთი განძი წამყვება თან, რომლის დაკარგვას ერი არ გვაპატიებს, რომელსაც ვერავინ აღადგენს და ამ ცოდვის სიმძიმე მე და შენ დაგვაწვება კისერზე... შენ სისხლში გაქვს გურული სიმღერა გამჯდარი და ამიტომ, თუ მუსიკალურ განათლებას მიიღებ, ყველაზე მეტად შენ შეძლებ ამ საქმის გაკეთებას“.

მიიღო. შეძლო. აღადგინა.

და დაუწერელი თუ დასაწერი კინოსცენარის ერთი ეპიზოდი:

შვილიშვილი ჩამუხლულა არტემ ერქომაიშვილის საფლავთან და უხმოდ ელაპარაკება:

„ქართულ ხალხურ სიმღერას უკვე მთელ მსოფლიოში იცნობენ, ბაბუ. იუნესკომ ის კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური კულტურის შედევრად აღიარა“.

●

მხოლოდ ციფრები:

არსებობის ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ანსამბლმა „რუსთავმა“ მსოფლიოს ოთხმოცდ ქვეყანაში ექვსი ათასი კონცერტი გამართა, კომპაქტდისკზე ჩაწერა და ალბომებად გამოსცა ცხრაასზე მეტი სიმღერა.

ანსამბლის ორმოცდაათი წლის იუბილეს მიეძღვნა სანიმუშოდ გამოცემული ალბომი, რომელსაც ახლავს თექვსმეტი კომპაქტდისკი, ოთხასი სიმღერით.

●

აქამდე მისი მთავარი წიგნი სწორედ ის იყო, ბაბუას რომ უძღვნა და არა მხოლოდ თბილისში და ქართულად, არამედ ამერიკაშიც გამოიცა ინგლისურ ენაზე.

ბაბუას მისთვის რა და ვინ შეცვლის, მაგრამ...

სულ მალე, ასევე ორ ენაზე, თბილისშიც და ვაშინგტონშიც გამოვა ოთხასგვერდიანი წიგნი – **„მოგვითხრობს ანზორ ერქომაიშვილი“.**

ეს არის მისი რჩეული ნაწერების კრებული, რომელიც ქართველ ხალხს კიდევ უფრო თვალნათლივ დაანახებს, „თუ რა შვილი აჩუქა განგებამ“ (აკ. გაწერელია)...

●

უფრო მშვიდ, გაწონასწორებულ, ღიმილიან და მიმტევებელ გურულს, ალბათ, მთელ დუნიაზე ვერ მოძებნით, მაგრამ საოცარი გაკერპება იცის, როცა საქმე ზნეობრივი პრინციპების დაცვას ეხება.

ამიტომაც დატოვა, სხვადასხვა ეტაპზე: პარლამენტი, კომპოზიტორთა კავშირის სამდივნო, რუსთაველის პრემიების კომიტეტი...

ამიტომაც თქვა უარი „ვარსკვლავზე“.

როცა რუსთაველის პრემია მეტისმეტად გააუფასურეს, მისი დაბრუნებაც გადაწყვიტა, მაგრამ დიდი ხვეწნით გადააფიქრებინეს...

ერთადერთი თანამდებობა, რომელიც პროტესტის გამო არ დაუტოვებია, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელობაა – ორმოცდაათი წელი ვიყავი, საკმარისიაო და მუსიკალურ ხელმძღვანელად გადავიდა.

თუმც აქ შეუძლებელია, ლევან ღვინჯილიას ნათქვამს არ დავეთანხმოთ: „რა მნიშვნელობა აქვს, რას დაირქმევს?! არნოლდ ჩიქობავა ინსტიტუტის დირექტორობიდან რომ გადადგა, მაინც არნოლდ ჩიქობავად დარჩა და ყველაფერი ისევ თვითონ იყო. ანზორ ერქომაიშვილის შემთხვევაშიც ასე იქნება“.

უდავოდ, ზუსტი პარალელია...

●

გიგოსგან ჩვენ ვიწყებთ, თორემ ანზორ ერქომაიშვილს ბაბუა ეუბნებოდა, ამ გვარის ჩვენეული შტო სამას წელს ითვლის და შენ მეშვიდე თაობას მიეკუთვნებიო.

გიგო წუთისოფელს ამ სიტყვებით გამოეთხოვა:

„მე დიდხანს ვეღარ გავატან. მივდივარ და აბა, თქვენ იცით, სიმღერები შეინახეთ და გვარი არ წაშალოთ!“

არტემ ერქომაიშვილმა კი შვილიშვილს ეს დაუბარა:

„მე კი არ ვკვდები, მივდივარ. მივდივარ და ცოცხალი ვიქნები შენით. შენ შეგიძლია, მომკლა და შეგიძლია, საუკუნეები მაცოცხლო. ეს დამოკიდებულია იმაზე, გურულ სიმღერებს როგორ მოუვლი და შეინახავ“.

ქვეყანაა მოწმე, როგორ აცოცხლა და კვლავაც აცოცხლებს ანზორ ერქომაიშვილი თავის სათაყვანებელ ბაბუას.

●

და დაუწერელი თუ დასაწერი კინოსცენარის ფინალი, რომელსაც მთლიანად ანზორ ერქომაიშვილს დავესესხები:

„ჩვენი ბაღჩის ბოლოში იდგა ატმის ხე, რომელიც უგემრიელეს ნაყოფს ისხამდა. „თეთრ ბაბუს“ ძალიან უყვარდა ის ატამი, ამბობდა: ასეთი გემრიელი გორშიც კი არ მოდისო...

იმ ატმის ფესვზე რამდენიმე ახალი

ამონაყარი იყო. ბაბუამ ფესვი ფრთხილად გადაჭრა, ნერგი მომაწოდა და მთხოვა, გიგოს საფლავზე წავყოლოდი...

საფლავთან მივედით. ბაბუამ ბარით მიწა ორი მტკაველის სიღრმეზე ამოთხარა, ნერგი მომაწოდა და მთხოვა, ჩამერგო. ფესვები ორმოში კარგად ჩავალაგე და ფხვიერი მიწა ხელით მივაყარე. მერე ბაბუამ ერთი დოქი წყალი დაუსხა და მიწა კარგად მიუტკეპნა.

ატამმა იხარა. ტანი კარგად აიყარა და მეორე წელს უკვე ნაყოფი გამოისხა.

ატამი თანდათან გაიზარდა და ყოველ წელს ბლომად ნაყოფს ისხამდა.

გავიდა დრო. ატამი ნელ-ნელა გახმა, მაგრამ მის ფესვზე ახალი ნერგი ამოვიდა. ახლა იმან იხარა. მერე ისიც გახმა და ისევ ახალი ამოვიდა. ასე გრძელდება დღემდე...“

უკეთესი ფინალი რა გინდა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმისათვის?!

ან დაწერას რაღა უნდა?!

ნეტა გადაღებაც შემეძლოს...

●

შარშან ანზორ ერქომაიშვილმა ერთი პაწია წიგნიც გამოსცა – **„ნაფიქრალები.“**

პაწია კია, მაგრამ ბევრ ჭკვიანურ მოსაზრებას იტევს, ისეთი ოსტატობით გამოთქმულს, სენტენციისგან ბორხესი რომ მოითხოვდა.

გამონათქვამები „თემატურადაა“ დაყოფილი.

პირველი ქვეთავი ღირსებას ეძღვნება.

აი, ზოგიერთი ნიმუში:

„ჩემი ღირსება ჩემს სიცოცხლეზე წინ დგას“.

„ღირსეულად ატარო შენი გვარის ტრადიცია – დიდი ტვირთია.“

„ღირსება ოცნებაშიც უნდა შეინარჩუნო“.

„ღირსეულად განვლო მთელი ცხოვრება – ეს დიდ სიფრთხილესა და მორალურ სიმტკიცეს მოითხოვს“.

ვის დაეჯერება ეს ყოველივე დღევანდელ საქართველოში, თუ არა ანზორ ერქომაიშვილს?!

არადა, თვითონ, ყველაზე ნაკლებად დამჯერეა.

აი, რას წერს:

„თუ გენიოსი გიწოდეს, ბედნიერებაა, თუ დაიჯერე – უბედურება“.

ამ მოხდენილი ფრაზის ავტორი ეპითეტებს არ საჭიროებს, ყველაფერს მისი სახელი და გვარი ამბობს – უსაშველოდ ქართული და ტევადი სინტაგმა – ანზორ ერქომაიშვილი...